უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა[1]

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

[1]**შენიშვნა:** დაწესებულება, რომელსაც სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ავსებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმას.

თბილისი
2018

სარჩევი

ნაწილი I: შესავალი 4
1. დაწესებულების აღწერა 4
2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ 6
3. რაოდენობრივი მაჩვენებლები 7
3.1 პროგრამები 7
3.2 სტუდენტები 7
3.3 პერსონალი 8
3.4 სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები 8
4. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი 8
5. სამიზნე ნიშნულები 9
6. თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა 10
ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება 12
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება 13
1.1. უსდ-ის მისია 13
1.2. სტრატეგიული განვითარება 15
2. უსდ-ისორგანიზაციული სტრუქტურა დამართვა 19
2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 19
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები 26
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა 31
3. საგანმანათლებლო პროგრამები 34
3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება 34
3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 41
3.3. სწავლის შედეგების შეფასება 47
4. უსდ- პერსონალი 53
4.1. პერსონალის მართვა 53
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა 57
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები 61
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები 61
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები 67
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 72
6.1. კვლევითი საქმიანობა 72
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია 77

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება 82
7. მატერიალური, საინფორმაციოდაფინანსურირესურსები 85
7.1. მატერიალური რესურსი 85
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები..... 88
7.3. საინფორმაციო რესურსი 91
7.4. ფინანსური რესურსი..... 96
ნაწილი III: წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი 103
დანართი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით 108
დანართი 2. მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების და პროგრამების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით 109
დანართი 3. მონაცემები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით: 110
დანართი 4. სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით..... 111
დანართი 5. დაწესებულების ფართი მისამართების მიხედვით..... 112

ნაწილი I: შესავალი

1. დაწესებულების აღწერა

ამ ნაწილში მოკლედ უნდა იქნას მოყვანილი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ (მაგ. ისტორიული მიმოხილვა, ძირითადი ორიენტირები და მაჩვენებლები)

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (2011 წლამდე უმაღლესი სამედიცინო სკოლა ,,აიეტი'') ფუნქციონირებს 1992-1993 სასწავლო წლიდან. მისი დაარსების იდეა უკავშირდება საზოგადოდ განათლებასა და განსაკუთრებით სამედიცინო განათლებაში საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობის იდეას; როცა ნათელი გახდა, რომ ძალზე დიდი იყო განსხვავება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებსა და საბჭოური უმაღლესი განათლების სისტემებს შორის და რომ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენელობას, ქართული საზოგადოების განვითარებულ საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციას განსხვავებული მიდგომები და საგანამათლებლო სისტემა სჭირდებოდა: უპირველეს ყოვლისა ისეთი აკადემიური საზოგადოების (პედაგოგი და სტუდენტი) ჩამოყალიბება, როცა ინსტიტუციის წარმატება მისი თითოეული წევრის ინიციატივასა და წარმატებულ საქმიანობას ეფუძნება.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ახალი სამედიცინო სკოლის დაარსება მის დამფუძნებლებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს სამედიცინო განათლების სისტემაზე; აღზარდოს ისეთი პროფესიონალები, რომლებიც წარმატებით გაართმევენ თავს მომავლის ექიმის ყველა ფუნქციას. ამასთან, სამედიცინო განათლებაში საკუთარი, ნათლად განსაზღვრული ფილოსოფიური ბაზისის გარეშე, სამედიცინო სკოლა სწრაფად ტრანსფორმირდება ტრადიციული აქტივობების რუტინულ შემსრულებლად; ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ პრინციპებისგან გადახვევა ხანგძლივი პერიოდით იწვევს სამედიცინო განათლების „დეპრესიას". ამ თვალსაზრისით სწავლების პროცესის მართვის ორგანიზაციას, მეტიც მის წარმატებით იმპლემენტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს; შესაბამისად, საგანმანათლებლო ინსტიტუციის მთავარ კითხვასთან ერთად-,,რა ასწავლოს'' უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს ,,როგორ ვასწავლოთ''; სწორედ ასეთი მიდგომით შემუშავდა უნივერისტეტის პირველი პროგრამა სრულიად განსხვავებული და ალტერნატიული საქართველოში (მთლიანად საბჭოთა კავშირში) მანამდე არსებული პროგრამებისა.

კურსდამთავრებულთა პირველმა მიღწევებმა, მათი შრომის (სწავლის) შედეგების აღიარებამ მათ შორის საერთაშორისო დონეზე, დაადასტურა ,,აიეტის'' ავტორების და მისი აკადემიური საზოგადოების წევრთა რწმენა, რომ მხოლოდ ერთობლივი და მიზანმიმართული შრომით ხდება უნივერსიტეტთა ,,ხედვების'' და სტუდენტთა ,,ოცნებების'' რეალიზაცია. ამასთან, უნივერსიტეტის საქმიანობის პირველი წლები ყველაზე რთული იყო - სამოქალაქო ომის მდგომარეობაში მყოფი პოლიტიკური დაპირსიპირებების არენად ქცეულ, სინათლის, გათბობის, საკვების გარეშე დარჩენილ ქვეყანაში დტსუ-ს აკადემიური საზოგადოების წევრები ავლენდნენ გასაოცარ სიმტკიცეს; ყველა ზემოთაღნიშნულ პრობლემას სწავლებასა და სწავლაში განვითარებით პასუხობდნენ. დტსუ-ს აკადემიური საზოგადებისა და მისი მენეჯმენტის აზრი ამჟამადაც უცვლელია: ქვეყანა, მისი უნივერსიტეტები და ზოგადად საზოგადოება მის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას სწორედ ამ გზით უნდა პასუხობდეს. ეს საფუძველი ჩაშენდა დტსუ-ს ფუნდამენტში სწორედ იმ პერიოდში (უნივერსიტეტის განვითარების პირველი ათწლეული) და შემდგომი თაობების სახელმძღვანელო გახდა. ამასთან, ზემოთაღნიშნული სრულებით არ ნიშნავს, რომ იგი კორპორაციული ინტერესების მქონე ან ჩაკეტილ სისტემაზე დაფუძნებით ცხოვრობდა, მას ყოველთვის ჰყავდა გულშემატკივრები, რომელებიც თანამონაწილებით, სტუდენტთა

დახმარებითა და ხელშეწყობით გვერდში უდგანან უნივერისტეტს ექიმთა ახალგაზრდა თაობების აღზრდაში. ეს უპირველეს ყოვლისა ქართული სამედიცინო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ქართული უნივერსიტეტებია; ამ თანადგომას დტსუ ძალიან უფრთხილდება და აფასებს. ეს არის კლაიპედას (ლიტვა) უნივერსიტეტი, ჩარლზის უნივერსიტეტის გრადეც კრალოვის, კიოლნის, სხვა უნივერსიტეტები, რომლებიც დტსუ-ს სტუდენტებსა და დოქტორანტებს ხელს უწყობენ პროფესიულ ზრდასა და წინსვლაში.

უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების დაფუძნებამ და განვითარებამ (უნივერსიტეტი თავისი საქმიანობის მეორე დეკადის ბოლოს ავტორიზირებული და აკრედიტირებული პროგრამებით შეხვდა); უნივერისიტეტის საქმიანობის მესამე ათწლეულისათვის უმნიშვნელოვანესი იყო კერძო სამართლის იურიდიულ პირ უნივერსიტეტთა (დტსუ) ევროკავშირის დაფინანსებულ ერაზმუს + (ყოფილი ტემპუსი) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა (ePBLnet, PACT); რამაც მას ახალი პარტნიორები და გამოცდილება შესძინა, საშუალება და ვალდებულება – სრულად გააზიაროს ცოდნა, ასევე საკუთარი კვლევებით მიღებული გამოცდილება პარტნიორ და/ან დაინტერესებული უნივერსიტეტებისთვის. ეს არის შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ ქვეყნისათვის (მათ შორის დტსუ) შექმნილი შესაძლებლობა სამეცნიერო კვლევების შეფასების (საგრანტო კონკურსის ფარგლებში) განხილვის საერთაშორისო ექსპერტულ კონტექსტში. სწორედ ამ წლებიდან უნივერსიტეტი ხდება მისი განვითარებისთვის საინტერესო ყველა ევროპული და საერთაშორისო (AMEE, AMSE, EBMA, ORPHEUS, UEMS, EUA) პროფესიული ფორმატის წევრი.

უნივერსიტეტს 476 კურსდამთვრებული ჰყავს. ამჟამად 884 ქართველი და უცხოელი სტუდენტი სწავლობს დიპლომირებული მედიკოსის, დიპლომირებული მედიკოსის ე-პდს და სადოქტორო პროგრამებში; უნივერსიტეტში აკადემიური, ადმინისტრაციული, სხვა სწავლებისა და კვლევის ხელშემწყობი 271 თანამშრომელი საქმიანობს; ფუნქციონირებს 7 დეპარტამენტი: 5 აერთიანებს 39 დისციპლინას (მიმართულებები) სხვადასხვა მოდულებში 74 სასწავლო კურსის მისაწოდებლად; ასევე დეპარტამენტების სამეცნიერო-კვლევითი და კლინიკურ უნარებში ტრენინგის მისაწოდებლად.

ამჟამად დტსუ, ისევე როგორც მთლიანად ქართული სახელმწიფო და მისი სამედიცინო განათლების სისტემა, ახალი გამოწვევების წინაშეა: ინტერნაციონალიზაცია გახდა უმაღლესი განათლების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი; ის გახდა გამოწვევაც და შესაძლებლობაც სამედიცინო სკოლებისათვის მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. უნივერსიტეტებში ქართველებთან ერთად უცხოელი სტუდენტები სწავლობენ. უნივერსიტეტისთვის ერთის მხრივ ეს შესაძლებლობაა ქართული კადრი გაზარდოს მაღალი კონკურენციის მულტიკულტურალურ გარემოში, როცა კონკურენციას საფუძვლად უდევს სწავლის შედეგების ხარისხზე ორიენტირებული ურთიერთგანვითარება; და ამავდროულად ვალდებულება ,,აღებული'' იმ ქვეყნების საზოგადოების წინაშე, სადაც ისინი დაბრუნდებიან და განახორციელებენ პროფესიულ საქმიანობას.

2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

გთხოვთ, მიუთითოთ დაწესებულების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც მოქმედია საავტორიზაციო განაცხადის გაკეთების მომენტისთვის

სახელწოდება	**დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი**
სახელწოდება ინგლისურ ენაზე	**David Tvidliani Medical University**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
სახე	**უნივერსიტეტი**
საიდენტიფიკაციო კოდი	**211360203**
ძირითადი მისამართი(ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	**ლუბლიანას ქ. #13/მიხეილ ჭიაურელის ქუჩა#6, ქ. თბილისი, 0159, საქართველო**
ვებ-გვერდი	**www.dtmu.edu.ge**
ელ-ფოსტის მისამართი	**info@dtmu.edu.ge**
ტელეფონი	**2516898**
ხელმძღვანელი	**ლევან ტვილდიანი**
ხელმძღვანელის ელ. ფოსტის მისამართი	**rector@dtmu.edu.ge**
ხელმძღვანელის მობილური ტელეფონი	**599 555 187**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	**ნიკოლოზ გოგუაძე**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ელ.ფოსტის მისამართი	**chancellor@dtmu.edu.ge**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მობ. ტელეფონი	**592 896 556**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირი	**თამარ თალაკვაძე**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის ელ.ფოსტის მისამართი	**quality@aieti.edu.ge**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის მობილური ტელეფონი	**597 207 424**
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	**28-07-2011; 103**
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	**2018 წლის 10 სექტემბერი**

3. რაოდენობრივი მაჩვენებლები

3.1 პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	3
ბაკალავრიატი	0
მაგისტრატურა	0
ერთსაფეხურიანი	**2**
დოქტორანტურა	**1**
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0
ქართულ ენაში მომზადების	0

აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	**3**
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	0

3.2 სტუდენტები[4]

სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა			1000
სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			1000
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	884	134	42
ბაკალავრიატი	0	0	0
მაგისტრატურა	0	0	0
ერთსაფეხურიანი	**853**	105	42
დოქტორანტურა	**31**	29	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0	0	0
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	0	0	0
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	501	64	15
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	0	0	0

[2]დეტალური ინფორმაცია პროგრამების შესახებ შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართი 1 -ში მოცემული ფორმით

[3]იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

[4]მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების მიხედ ვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართ 2 -ში მოცემული ფორმით

3.3 პერსონალი[5]

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	271
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**68**
პროფესორი	**17**
ასოცირებული პროფესორი	**39**
ასისტენტ პროფესორი	**12**
ასისტენტი	**0**
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	**–**
მეცნიერი	**–**
პოსტდოქტორანტი	**–**
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**64**
აფილირებული პროფესორი	**17**
აფილირებული ასოცირებული პროფესორი	**36**
აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**11**
აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	**5**
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	**116**
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	**82**

3.4 სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები

ბოლო ავტორიზაციის პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე კვლევების რაოდენობა	37
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა	0
უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტი	7 403 439
კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაზე გამოყოფილი ბიუჯეტი	345 000
ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი	32 000
საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი	204
სტუდენტთა რაოდენობა, რომელზეც გათვლილია სტუდენტური საცხოვრებელი	369

4. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი[6]

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3083.01კვ.მ აქედან 334.44 კვ.მ საერთო სარგებლობაში
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2048.6 კვ.მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1034.41კვ.მ

[5]მონაცემები უსდ-ში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის (აფილირებული პერსონალის მითითებით) შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართ 3-ში მოცემული ფორმის მიხედვით

[6]დეტალური ინფორმაცია ცალკეულ მისამართებზე არსებული შენობა-ნაგებობების ფართების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ 5-ში მოცემული ფორმით

5. სამიზნე ნიშნულები[7]

	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულების მიღწევის სავარაუდო თარიღი[8]
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	0.82	1.22	2021 წელი
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	0.25	0.41	2021 წელი
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	0.56	1.38	2021 წელი
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	0.2	0.17	2021 წელი
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	63	57.3	2021 წელი
ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	0.09	0.1	2021 წელი
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	0.34	0.56	2021 წელი
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	0.07	0.082	2021 წელი
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	0.97	1.33	2021 წელი
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	0.92	1	2021 წელი

[7]ინფორმაცია სამიზნე ნიშნულების შესახებ ფაკულტეტების მიხედვით წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ 4-ში მოცემული ფორმის მიხედვით

[8]სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს

მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	0.81	1	2021 წელი
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	0.87	1	2021 წელი
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)[9]	88%	92%	2021 წელი
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	86%	90%	2021 წელი
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	5	5	2021 წელი
ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან	9.3%	7%	2021 წელი
კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-მთლიანი ბიუჯეტთან	4.7%	10%	2021 წელი
(უსდ-ს მიერ დადგენილი სხვა სამიზნე ნიშნულები			
(უსდ-სმიერდადგენილისხვასამიზნენიშნულები			
(უსდ-სმიერდადგენილისხვასამიზნენიშნულები			

6. თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა

აღწერეთ თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობა, მათი პასუხისმგებლობის სფეროები და მთლიანად თვითშეფასების პროცესის მიმდინარეობა(დაახლოებით 1200 სიტყვა)

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის თვითშეფასების პროცესის ფარგლებში პირველ რიგში განსაზღვრულ იქნა შესაბამისი მიმათულებები:

1.სიტუაციის ანალიზი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ მოხდა განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების ანალიზი და შეფასებულ იქნა არსებული მდგომარეობა მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხის იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნულის რეალიზაციისათვის ჩატარებულ იქნა შეხვედრები უნივერსიტეტის სამსახურებსა და შესაბამის პერსონალთან. აღნიშნულმა პროცესმა გამოავლინა საჭიროებები მონაცემებისა და ინფორმაციის ორგანიზებისა და წარმოდგენის მიმართულებით. სიტუაციის ანალიზი და შეფასება განხილულ იქნა რექტორის საბჭოს სხდომაზე.

2. თვითშეფასების პროცესის კოორდინაციის ჯგუფის შექმნა

[9]კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი პროგრამების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილია დანართ 1-ში მოცემული ფორმის მიხედვით

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა თვითშეფასების პროცესის კოორდინაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღანელები, ასევე შემდეგი ძირითადი სამსახურებისა და დეპარტამენტების წარმომადგენლები:

- ✓ სტრატეგიული მართვისა დ აგანვითარების დეპარტამენტი
- ✓ საწავლო მეთოდური დეპარტამენტი
- ✓ კანცლერი
- ✓ ფაკულტეტის დეკანი
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
- ✓ სამეცნიერო კვლევითი სამსახური
- ✓ სამედიცინო განათლების ცენტრი
- ✓ საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი
- ✓ ფინანსური სამსახური
- ✓ იურიდიული დეპარტამენტი
- ✓ უცხოეთთანურთიერთობის დეპარტამენტი
- ✓ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი
- ✓ დეფნი ჰეარის სახელობის ბიბლიოთეკა
- ✓ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ჯგუფის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებით პროცესი გაგრძელდა თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმატში, რომლებიც ავტორიზაციის სტანდარტის ცალკეული კომპონენტისთვის ამზადებდნენ შესაბამის ინფორმაციას და მონაცემები, რომელთა განხილვა ხდებოდა კოორდინაციის ჯგუფის ფორმატში.

სტანდარტი	პასუხისმგებელი
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიულიგ ანვითარება 1.1 უსდ-ის მისია 1.2 სტრატეგიული განვითარება	ლევან ტვილდიანი სერგო თაბაგარი მალხაზ კოკიჩაშვილი ნინო თაბაგარი
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები 2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	ლევან ტვილდიანი ნინო თაბაგარი თამარ თალაკვაძე პაატა ცაგარეიშვილი
3. საგანმანათლებლო პროგრამები 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 3.3 სწავლის შედეგების შეფასება	ნინო თაბაგარი მალხაზ კოკიჩაშვილი თამარ თალაკვაძე პაატა ცაგარეიშვილი
4. უსდ-ის პერსონალი 4.1. პერსონალის მართვა 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	სერგო თაბაგარი ეკატერინე ზანგალაძე ჯიმშერ ბრეგვაძე ნინო გიორგაძე
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები 5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	ნინო თაბაგარი დავით ტვილდიანი სალომე ჩხეიძე

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	ნინო გიორგაძე
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 6.1 კვლევითი საქმიანობა 6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია 6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება	სერგო თაბაგარი თინა ზურაშვილი ვერიკო მირცხულავა
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები 7.1 მატერიალური რესურსი 7.2 საბიბლიოთეკო რესურსები 7.3 საინფორმაციო რესურსი 7.4 ფინანსური რესურსი	ნიკოლოზ გოგუაძე დავით დემეტრაშვილი ნათელა ჯავრიშვილი არსენ დემურიშვილი

3. თვითშეფასების ანგარიშის მომზადება

კოორდინაციის ჯგუფის ფარგლებში და ხარისხის უზრუნველყოფის (ხუ) სამსახურის კოორდინირებით განხორციელებულ იქნა შემდეგი საქმიანობა:

- ✓ **რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება** - თვითშეფასების პროცესისთვის აუცილებელი მონაცემების დიდი ნაწილი დტსუ–ში ხელმისაწვდომი იყო და არ საჭიროებდა დამატებით ძალისხმევას, თუმცა მთელი რიგი რაოდენობრივი მაჩვენებლები საჭიროებდა დამატებით მოძიებას და დამუშავებას. აქამდე შესაბამისი საჭიროების არარსებობის პირობებში აუცილებელი გახდა აღნიშნული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მიდგომების შემუშავება.
- ✓ **მონაცემების ანალიზი** – მონაცემების ანალიზის პროცესი მოიცავდა, როგორც რაოდენობრივ ასევე თვისობრივ ანალიზს.
- ✓ **თვითშეფასების ანგარიშის დაწერა** – დტსუ-ს მიერ განახლებული სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების ანაგარიში პირველად იქნა შემუშავებული
- ✓ **თვითშეფასების ანგარიშის რევიზირება – რედაქტირება**

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

თვითშეფასების ფორმა უნდა ასახავდეს დაწესებულების საქმიანობის ანალიზსა და შედეგების შეფასებას, ასევე, საქმიანობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასება უნდა იყოს სტილისტურად გამართული, გასაგებად და ნათლად დაწერილი. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში გაკეთებული თითოეული განაცხადი უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს. სტატისტიკურ მონაცემთა და სხვა ფაქტობრივი ინფორმაციის მეტი სიცხადისთვის, დაწესებულებას შეუძლია ტექსტში ჩანართის სახით გამოიყენოს კონტექსტთან შესაბამისი, სათანადო გრაფიკული გამოსახულებები.

***დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობისთვის, აუცილებელია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმა სრულყოფილად იქნასშევსებული. თვითშეფასების ფორმის არასრულყოფილად შევსება წარმოადგენს განაცხადისთვის ხარვეზის დადგენის საფუძველს. თვითშეფასების ფორმა სრულყოფილად შევსებულად ითვლება თუ:**

- ➢ თვითშეფასების ფორმით გათვალისწინებული თითოეული ველი შევსებულია (იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულებას, თვითშეფასების მომენტისთვის, კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, დაზუსტებული ინფორმაცია არ მოეპოვება ან მისათითებელი ინფორმაცია არარელევანტურია, შესაბამის ველში გაკეთებულია განმარტება);

- თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია პირდაპირ პასუხობს შესაბამისი სტანდარტის კომპონენტის აღწერითა და შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი ინფორმაციის დადასტურებისას, გათვალისწინებულია სტანდარტების დოკუმენტის მტკიცებულებების/ინდიკატორების გრაფაში მითითებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალი; ყველა დოკუმენტი, რომელზეც თვითშეფასების ტექსტში კეთდება მითითება უნდა დაინომროს თანმიმდევრულად და წარმოდგენილ იქნას დანართის სახით.;
- თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით, თითოეული კომპონენტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1. უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
აღწერა და შეფასება დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (დტსუ) მიერ ფორმულირებული მისია და მისი განხორციელების პრინციპები, ისევე როგორც სტრატეგიული განვითარების მიმართულებები და მიზნები ასახავს უნივერსიტეტის ფართო ხედვას იმ მოლოდინებზე, რაც მას გააჩნია აკადემიური საზოგადოების წევრთა განვითარებასა და განათლებაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანასთან მიმართებაში (დანართი #1). „მეცნიერება“-სა და „საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება“-ზე დაფუძნება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მისიის ინტეგრალური და მთავარი კომპონენტებია; შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების მიზნებს; მისია და ასევე მისიის განხორციელებისთვის განსაზღვრული პრინციპები ეხმარება ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციიური ვალდებულების: - „სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში“ - რეალიზაციას. იგი (ჰარმონიზაცია) გულისხმობს „უმაღლესი განათლებისა და კვლევის მუდმივ შესაბამისობას ცვალებად საჭიროებებთან, საზოგადოების მოთხოვნებსა და მეცნიერული ცოდნის განვითარებასთან“, რომლის უზრუნველყოფა შეუძლებელია უნივერსიტეტების დამოუკიდებლობისა და ავტონომიის გარეშე, რაც საფუძველია ევროპულ სივრცეში უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპების აღორძინებისთვის. აქ აღნიშნულ „ავტონომია“-ს, „დამოუკიდებლობა“-ს ეხმიანება მისიის განაცხადის ფოკუსირება „სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების რეალიზაცია“ და „სწავლებისა და კვლევებისთვის ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა“; ამასთან, ორივე (ავტონომია, დამოუკიდებლობა) ასევე უსაგნოა თუ „ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას“ (მისიის განაცხადი) არ ემსახურება. საკითხის ანალიზთან მიმართებაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მისიის განაცხადის ფორმულირებამდეც უნივერსიტეტი და მისი სამედიცინო განათლების პროგრამა შეიქმნა (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან პირველივე წლებში), როგორც

ალტერნატიული სამედიცინო განათლებაში იმ უნიფიცირებული პროგრამისა, რაც მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებობდა (დანართი #2); და ესეც ერთგვარი „განაცხადი“ იყო „ავტონომიასა“ და „დამოუკიდებლობაზე“ და იმაზე, რომ აკადემიური საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს ჰქონდა საკუთარი წარმოდგენა რა პრობლემები ჰქონდა სამედიცინო დარგსა და სამედიცინო განათლებას, რა სჭირდებოდა სტუდენტსა და მის პროფესორს და მთლიანად ქართულ საზოგადოებას. ამჟამად, დტსუ როგორც ბოლონიის პრინციპების მიმდევარი არის ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ასოცირებული წევრი; ასევე უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპები მისი წესდების (უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმა შპს) ნაწილია; შესაბამისად, მისიაში გაცხადებული „მეცნიერებაზე და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული“, „სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შესაძებლობათა რეალიზაცია“ არა მხოლოდ შესაბამისია საქართველოს და ევროპის ძირითადი მიზნების, არამედ ფორმალურად გარანტირებულია უნივერსიტეტის დამფუძნებლის მიერ (დანართი #3) და პრაქტიკაში დანერგილი მისი აკადემიური საზოგადოების საქმიანობით.

ზ/ა ჰარმონიზაციის კონტექსტში საქართველოსთვის მნიშვნელოვანია „მედიცინის დარგში ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე სასწავლებლის როლის ზრდა“ (მისიის სახელმძღვანელო პრინციპი 4), რაც შეუძლებელია „სწავლების, სწავლის, კვლევის და მენეჯმენტის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების“ (მისიის სახელმძღვანელო პრინციპი 1) გარეშე და ხელს უწყობს ევროპის საუნივერსიტეტო სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციას. ამასთან, მისიის განაცხადის ეს პრინციპები (სრულიად შესაბამისი ქვეყნის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მიზნის) თავისთავად ვერ „უზრუნველყოფს“ ზემო აღნიშნულს, თუ ის საუნივერსიტეტო ცხოვრების ნაწილი არ არის. წლების განმავლობაში უნივერსიტეტის ჩართულობა ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო, საუნივერსიტეტო და პროფესიულ ქსელებსა და ასოციაციებში როგორც ინსტიტუციურ, ასე პროგრამულ და ინდივიდუალურ დონეებზე არის უნივერსიტეტის ამ პრინციპებით საქმიანობის დასტური; რაც ასევე სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად ხელს უწყობს ქვეყნის ინტეგრაციასა და მისი როლის გაზრდას რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

„განათლებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნაში წვლილის შეტანა“ უნივერსიტეტის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო პრინციპია. უნივერსიტეტებს (მათ შორის დტსუ–ს) ნებისმიერ ქვეყანაში „ავტონომია“ და „დამოუკიდებლობა“ სჭირდება; თუმცა ეს არ არის თვითმიზანი, არამედ მხოლოდ საშუალება შექმნან ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომელიც თავის მხრივ იქნება მათი „ავტონომიის“ და „დამოუკიდებლობის“ გარანტი; და უზრუნველყოფს ამ ინსტიტუციების მიერ ახალი ცოდნის გენერირებას გამიზნულს ისევ საზოგადოების სამსახურისთვის. შესაბამისად, დტსუ-ს მისიის განაცხადის ეს პრინციპიც ფორმალურად სრულ შესაბამისობაშია საქართველოს და ევროპის უმაღლესი განათლების მიზნებთან, განსაზღვრავს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ როლს და პასუხისმგებლობას; რაც დასტურდება უნივერსიტეტის შექმნის დღიდან მის მიერ გამოშვებული კადრის ხარისხით, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა, მასწავლებელთა აქტივობითა და ჩართულობით ეროვნულ/საერთაშორისო დონეზე აკადემიურ, პროფესიულ და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ვებგვერდი http://www.dtmu.ge/index.php?Cat=1&sub=2&lang=2

2. უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა (დანართი #1)
3. საავტორო უფლება (დანართი #2)
4. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება (დანართი #3)

1.2. სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი)
უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას
უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

აღწერა და შეფასება

დტსუ-ს აქვს გეგმა, რომელიც მისი მომავალი განვითარებისთვის მიმართულებების და აქტივობის განმსაზღვრელი ფუნდამენტური სტრატეგიული დოკუმენტია. მასში ასახულია უნივერსიტეტის შვიდწლიანი განვითარების და სამწლიანი სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი შედგება შესავალი ნაწილისგან, ასევე კონტექსტის თავისგან, რომელიც აღწერს და ერთგვარ შეფასებას აძლევს უნივერსიტეტის საქმიანობის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს; რაც მნიშვნელოვანია, მათ შორის დასახული მიზნების რეალიზაციის გზაზე რისკებისა და შესაძლებლობების ანალიზისთვის. გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის მისია და მიზნები (12 მიზანი); თითოეული მიზნისთვის განსაზღვრულია სტრატეგიები; ასევე, თითოეული მიზნის ირგვლივ დოკუმენტში აღწერილი და განხილულია უნივერსიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში (2011-2016 სასწ. წ.) განხორციელებული საქმიანობა და ამჟამად საკითხთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია, რაც ხელს უწყობს დოკუმენტის მომდევნო ნაწილში დასახულ შვიდწლიან სამიზნეთა მიღწევის პერსპექტივების ანალიზსა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთებას (დანართი #1).

გეგმაში განსაზღვრული ყველა მიზანი (სამიზნე) მოიცავს საუნივერსიტეტო საქმიანობისთვის მნიშვნელოვან ყველა ასპექტს (სწავლების ხარისხი, კვლევის, ადამიანური რესურსების ხარისხი, ა. შ.) და თითოეული ფორმულირებულია თანამედროვე სამედიცინო განათლებისთვის და დტსუ-თვის მნიშვნელოვანი შინაარსით: განსჯა ხდებოდა თანამედროვე სამედიცინო განათლებაში მეცნიერულად დასაბუთებული კვლევებისა და კონცეფციების გაცნობით და საკუთარი (დტსუ-ს მიერ განხორციელებული) კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზით; რაც მნიშვნელოვანია „მიზნების სისწორის“ („მიზნების შესაბამისობა“) გასაცნობიერებლად. მიზნის მისაღწევი სტრატეგიები ფორმულირებულია თითოეული მიზნის ირგვლივ. მათი (მიღწევის ინსტრუმენტების) „მიზნებთან შესაბამისობა“ დასტურდება დტსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016-2017 და 2015-2016 სასწ. წელს ჩატარებული თვითშეფასების ანგარიშით (დანართი #4; დანართი #5).

თვითშეფასების ზ/ა ანგარიშის, ასევე ხუ-ის და სხვა ანგარიშების, საბაზისო მონაცემების და დოკუმენტების, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვების და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე დაიწყო სტრატეგიული განვითარების სამუშაო ვერსიების ფორმირება. შეთანხმების პროცესში (შეთანხმება ამოცანებზე, მათი ერთგვაროვანი გაცნობიერება) ჩართულ თითოეულ პირს სჭირდებოდა საკუთარ მოთხოვნათა ნათლად ფორმულირება, ხოლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელ ჯგუფს ევალებოდა მათი თვალსაზრისების განხილვა და შემლებისდაგვარად ასახვა და „გადატანა“ უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ამოცანებში (დანართი #6). შესაბამისად, დტსუ-ს სტრატეგიული

განვითარების ახალი დოკუმენტი არის „შედეგი“ სხვადასხვა პროცესების, დაინტერესებულ პირთა კომუნიკაციის და ერთობლივი მუშაობის. ასევე, გეგმის შემუშავების აღნიშულ ეტაპზე პროცესში ჩართულთათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ამოცანები ყოფილიყო ნათელი და ყველას მიერ ერთგვაროვნად გაცნობიერებული, რატომ არიან სპეციალურ აქტივობებში ჩართული და პასუხისმგებელი პროცესებზე, რომელიც უნდა იყოს ამოცანების შესაბამისად მიღწეული. წევრებს ასევე ესმოდათ, რომ გარემოებები შეიძლება შეიცვალოს და განვითარდეს და შესაძლებელია გარკვეული ამოცანა (და/ან სამიზნე) ცვლილებებს საჭიროებდეს.

სამწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამოცანები, მათი განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, პროგრამის შეფასების ინდიკატორები, ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და/ან სტრუქტურები (დანართი #4). ამოცანების შესაბამისად განხორციელებული აქტივობები, პროგრესის შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება, შესაძლებლობის ანალიზი და შეცვლილ გარემოებებთან ადაპტაცია არის მის (სამოქმედო გეგმა) განხორციელებაზე მონიტორინგის შინაარსი და ადასტურებს, რომ დაგეგმილი სამუშაო მიმდინარეობს დასახული კურსით. მონიტორინგისას სამუშაოს რევიზირების ან შეფასების პროცესი ასევე უმნიშვნელოვანესია, რადგან ჩართული ადამიანები იღებენ გამოცდილებას და აქ (ამ კუთხით) ჩვენთვის როგორც „ჩავარდნა“, ასე „მიღწევა“ თანაბრად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, დტსუ-ში დოკუმენტის (სტრატეგიული გეგმა) დაგეგმვა და შეფასება ერთგვარად უწყვეტი ციკლია შეფასების, მონიტორინგის, რევიზირების და კვლავ შეფასების; მათ შორის თავად გეგმაში ცვლილებების აუცილებლობის განსაზღვრისა და ასეთის (ცვლილებების) განხორციელების ჩათვლით. ამასთან, სამუშაო ყოველთვის არ ვითარდება პირდაპირი (იდეალური) ციკლის გზით: რამდენადაც სამუშოს განვითარების ყველა ეტაპი მოიცავს სწავლის და ცვლილებების შესაძლებლობას, დტსუ-თვის ეს პროცესი უფრო „სპირალია“ ვიდრე „ციკლი“ (დანართი #7).

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში, ისევე როგორც განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურა, თვითმართველი ორგანო და აკადემიური საზოგადოების წევრთა წარმომადგენლობა; კერძოდ, 1) სტრატეგიული განვითარების კომიტეტი, პასუხისმგებელი პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგზე: სტრატეგიული გეგმის შემუშვება, მონიტორინგის გეგმა, ზოგადი მონიტორინგის განხორციელება, შედეგების მოსმენა, ანალიზი; 2) ხუ-ის სამსახური: ხუ-ის „სამიზნეების“ განსაზღვრა; „სამიზნეებთან“ მიმართებაში არსებული მდგომარეობის აღწერა და მიღწეული შედეგების შეფასება (ძლიერი და სუსტი მხარეები), ეფექტური სტრატეგიების (მიღწევის ინსტრუმენტები) შეფასება, ახალი ინსტრუმენტების მოძიებაში დახმარება; 3) ფაკულტეტის პროგრამათა მართვის ჯგუფები (კომიტეტები, ფაკულტეტის სტრუქტურები): დაგეგმვასა და დაგეგმილ აქტივობათა განხორციელებით; თვითშეფასებაში მონაწილეობა, მასწავლებელთა, სტუდენტთა, ადმინისტრაციული ჯგუფების კონტრიბუცია დისკუსიებსა, განხილვებსა და გამოკითხვებში მონაწილეობით; 4) სხვა სტრუქტურები: საბჭოები, სამედიცინო განათლების ცენტრი, ბიბლიოთეკა, IT სამსახური, სასწავლო განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი; დაგეგმვასა და დაგეგმილ აქტივობათა შეფასების ანგარიშებით და განხილვებში მონაწილეობით (ზ/ა პირთა/სტრუქტურათა პასუხისმგებლობა დაგეგმილი მიზნის შესაბამისად (დანართი #4). დაგეგმილი სამუშაოს ეფექტური განხორციელებისთვის უნივერსიტეტს აქვს სამწლიანი სამუშაო აქტივობების თვეების მიხედვით გაწერილი შიდა მონიტორინგის გეგმა, რათა დროულად მოხდეს სამუშაოს შესრულებული ნაწილის ძლიერი და

სუსტი მხარეების განსაზღვრა, სამუშაოზე პასუხისმგებელი პირისთვის დროულად იქნას მიწოდებული საჭირო ინფორმაცია, რათა მათ სწრაფად ჰქონდეთ სწორი გადაწყვეტილებების მიღების საშუალება (დანართი #8).

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს მისი განვითარებისა და განვითარებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს; თითოეული მათგანი უნივერსიტეტის მისიიდან დაწყებული და სამოქმედო გეგმის თითოეული მიზნით დამთავრებული უნივერსიტეტისთვის განიხილება საზოგადოებრივ სარგებელში წვლილის შეტანის კონტექსტში; უნივერსიტეტის საქმიანობის თითოეული ასპექტი „პროგრამის გაუმჯობესება“, „მასწავლებელთა მომზადება“, „სტუდენტთა ხელშეწყობა“, ა. შ. საკუთრივ უნივერსიტეტის განვითარება და გაძლიერება განიხილება და გამიზნულია საზოგადოების განვითარებასა, ცოდნის გაზიარებას და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში წვლილის შეტანაზე. ამასთან, „საზოგადოების განვითარებაში წვლილის“ კონტექსტში, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში წინამდებარე თვითშეფასებით მოთხოვნილი ფორმულირებული აქვს შემდეგნაირად: „X. საზოგადოებასთან ურთიერთობა: მიზანი - საზოგადოებისთვის სამსახური ცხოვრების ხარისხის, კულტურალური სიძლიერისა და ინტელექტუალური კაპიტალის ზრდით (დანართი #1). ამ მიზნის შესაბამისი სტრატეგიები, საანგარიშო პერიოდში განხორციელებულის მიმოხილვა, ასევე ახალი 7 წლიანი და 3 წლიანი სამიზნეები აღწერილია სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში; უნივერსიტეტი მუშაობს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ეროვნულ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, სხვა უნივერსიტეტებთან და აკადემიურ ჯგუფებთან მათ მიერ ორგანიზებულ და/ან ერთობლივად დაგეგმილ და/ან დტსუ-ს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობით; სამუშაო ფორმატებია განხილვები, დისკუსიები, ცოდნის გაზიარება, კონფერენციის ფორმატი (მათ შორის დტსუ-სმიერ დაფუძნებული კონფერენცია - „აკადემიური სტანდარტების გაუმჯობესება განათლებაში“: ISE; დტსუ სტუდენტთა კონფერენციები და ღონისძიებები); უნივერსიტეტის წევრთა წარმომადგენლობის (შტატი, სტუდენტი) ფინანსური და სხვა ხელშეწყობა პროფესიულ ასოციაციებში აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფისთვის (AMEE, AMSE, GMSA, GAMSI, EBMA, GIMPHA, ა. შ.), ასევე უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში მათი მონაწილეობა. დტსუ-ს სტრატეგიული სამიზნეებისა და ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ფარგლებში ესტონეთის სამედიცინო კლასტერთან ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები (დანართი #9).

უფრო ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში აღსანიშნავია უნივერსიტეტის პედაგოგთა, დოქტორანტთა მონაწილეობა უფასო სამედიცინო გასინჯვებში, საზოგადოების განათლებაზე გამიზნულ სატელევიზიო გადაცემებში, სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ შეხვედრებში, საკონსულტაციო სემინარებში (სკოლები), საგანმანათლებლო საკითხებში (დაავადებათა პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, ა. შ.) საგანმანათლებლო ფლაიერების, ბროშურების, ა. შ. შედგენა და გავრცელებაში (დანართი #9).

დტსუ-ის სტუდენტების ინიციატივებით მომზადებულია და ჩატარებულია (ზოგი ტარდება ყოველწლიურად):

„ნორმასა და პათოლოგიაში ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურის (ანატომია) და ფუნქციის (ფიზიოლოგია) საბაზისო სამედიცინო საკითხები კლინიკური ინტერპრეტაციით და

სისტემებზე დაფუძნებული ორგანიზებით“ - საქართველოს ექთნების ასოციაციის, დტსუ და მედი ქლაბ ჯორჯიას ერთობლივი პროექტი; კურსი მიეწოდა ამ ასოციაციის წევრ 27 ექთანს (დანართი #9); გულის მსოფლიო დღე - დტსუ სტუდენტების მიერ მომზადებული ღონისძიება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით (თეატრალური სანახაობა, ფლაიერები, ა. შ. თბილისის სხვადასხვა უბანში); დიაბეტის საერთაშორისო დღე - დტსუ სტუდენტების და ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ ერთობლივი აქცია (სტენდი, ფლაიერი, ჯანსაღი ცხოვრების და დიაბეტის პრევენციის მიზნით მიწოდებული სლოგანები, მომხმარებელთა კონსულტაცია და ახსნა დიაბეტის პრევენციისა და მართვის მნიშვნელობაზე); სკრინინგ ცენტრი „შვილები მშობლებისთვის ძუძუს კიბოს წინააღმდეგ“ აქციაში დტსუ 40 სტუდენტის ჩართულობა; პირველადი დახმარების ტრენინგები უნივერსიტეტსა (120 დაინტერესებული პირი) და სკოლებში (600-650-მდე მოსწავლე); მოსახლეობის განათლების მიზნებისთვის დტსუ ჯგუფის მიერ შექმნილი „იმუნიზაციის და ვაქცინოლოგიის ასოციაცია“; სტუდენტების (30 სტუდენტი) მონაწილეობა ვერეს ხეობაში დატბორილი ტერიტორიის დასუფთავებაში და დაზარალებულებისთვის პირველადი დახმარების გაწევაში; დტსუ 2015 წლიდან თანამშრომლობს „სოლიდარობის ფონდთან“ და თითოეული სტუდენტის სწავლის წლიური ღირებულებიდან ამ ფონდში რიცხავს თანხას; ასევე ეხმარება საერთაშორისო ჰუმანიტარულ კავშირ „კათარზისს“, სპონსორობს მასმედიას (დანართი #9).
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სტრატეგიული გეგმა (დანართი #1) 2. სამოქმედო გეგმა (დანართი #4) 3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დანართი #6) 4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები (დანართი #7) 5. უსდ 2015-2016; 2016-2017 სასწავლო წლის (ხუ თვითშეფასების) ანგარიშები (დანართი #5) 6. შიდა მონიტორინგის გეგმა (დანართი #8) 7. საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით განხორციელებულ აქტივობათა შესახებ ანგარიში (დანართი #9)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები 1. უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს და შესაბამისია საქართველოს და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების და პრიორიტეტების; 2. უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების მიხედვით დაგეგმილი სტრატეგიული გეგმა; 3. უნივერსიტეტის მიერ სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის პროცესში

თანამონაწილეობითი მუშაობა; 4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია შემუშავებულია ლოგიკური ჩარჩო მიდგომით (LFA); 5. სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები და განსახორციელებელი სამუშაო ლოგიკურ ბმაშია მიზნებთან, გაწერილია ინდიკატორები და პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები; 6. სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე ეფექტური მონიტორინგისთვის შიდა სამუშაო გეგმის არსებობა; 7. სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმში ჩართულ პირთა განვითარების გათვალისწინება; 8. უნივერსიტეტი საზოგადოებაში აზიარებს დაგროვილ ცოდნას, რაც ასევე ასახულია მის მომავალ სტრატეგიულ გეგმასა და დაგეგმილ აქტივობებში
გასაუმჯობესებელი მხარეები 1. სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმით გათვალისიწინებულ ჩართულ პირთა განვითარების სრულფასოვანი რეალიზაცია 2. სამუშაო პროგრესის შეფასების პროცესში შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე სამუშაო ჯგუფი და დანარჩენი აკადემიური საზოგადოება შეთანხმებულია („ხარისხი“ შეთანხმებულია)

2. უსდ-ისორგანიზაციული სტრუქტურა დამართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას; უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი; უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას; უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნების შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
აღწერა და შეფასება უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა ერთობლივი მუშაობით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ საქმიანობას (დანართი #10). მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით (დტსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის სტრატეგიის შერჩევისა და ჩამოყალიბების) უნივერსიტეტის მიერ გავლილი განვითარების გზა; უნივერსიტეტის შექმნის პერიოდში: პირად ურთიერთკავშირსა და ერთიან (ერთნაირ) ღირებულებებზე დაფუძნებული, ნაკლებად ფორმალიზებული; ამავდროულად თავიდანვე პირადი (დტსუ ჩამოყალიბდა და არის ფინანსურ მოგებაზე ორიენტირებული კერძო სამართლის სუბიექტი) და საზოგადოებრივი ინტერესის საჭირო ინტეგრაციით (როცა კერძო

სამართლის სუბიექტისათვის მინიჭებული გარკვეული „თავისუფლება“ ხმარდება საუნივერსიტეტო საქმიანობასა და საზოგადოებრივ ინტერესზე ფოკუსირებას), (დანართი #3). ამჟამად, იგი სტრუქტურული ჩამოყალიბების ინტეგრაციის საფეხურზეა (დეცენტრალიზაციისთვის შესაძლებელთაგან მაქსიმალური ხარისხით), რაც რაციონალური განვითარების გზაა შემდეგი მიზეზების გამო: (i). ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი ნაწილები არსებობს და მათ შორის საჭირო კავშირები დადგენილია; (ii). სტრუქტურის ნაწილები, დეპარტამენტები, სამსახურები, ფუნქცია-ამოცანების შესრულების მიზნითაა ჩამოყალიბებული და აქვს კონკრეტული მიზნები და პასუხისმგებლობის სფეროები; (iii). უნივერსიტეტში არსებობს გამოცდილება და პრაქტიკა, როგორც ვერტიკალური ასევე ჰორიზონტალური საკომუნიკაციო არხების აქტიური გამოყენებით ინფორმაციის გადაცემის დაჩქარების მიზნით და შესაბამისად (iv). შესაძლებელია დეცენტრალიზირებული გადაწყვეტილებების მიღება და პროცესის „უსაფრთხოდ“ განხორციელება.

ყველა ზემოთ აღნიშნული არის მნიშვნელოვანი, რადგან უნივერსიტეტი სტრუქტურულ ერთეულებს აძლევს საშუალებას მოქმედებდეს ურთიერთანამშრომლობის და ურთიერთხელშეწყობის პრინციპით; უნივერსიტეტის სტრუქტურულ ორგანიზაციაში მართვის იერარქიული დონეების საქმიანობა დამოკიდებულია ყველა სხვა დანარჩენის მოქმედების ხარისხზე და ექვემდებარება უნივერსიტეტის საერთო მიზნებს და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას (დანართი #11);

უნივერსიტეტის თვითმმართველი ორგანოებია- „მმართველი ჯგუფი“, რექტორი, კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორის საბჭო, აკადემიური საბჭო, სადისერტაციო საბჭო, დისციპლინარული კომისია;

მმართველი ჯგუფი - დამფუძნებლის მიერ და მისი მონაწილეობით შექმნილი თვითმმართველი ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია, მხოლოდ აკადემიური საზოგადოების წინაშე;

რექტორი- უნივერსიტეტის აღმასრულებელი ხელმძღვანელი. მმართველი ჯგუფის წინაშე წარადგენს და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს ბრძნებას შიდა რეგულაციების, ბიუჯეტის გეგმების, რეგულარული ანგარიშების, ფუნდამენტური ხასიათის და/ან სხვა დოკუმენტების შესახებ(მნიშვნელოვანს მთლიანად უნივერსიტეტისთვის); რექტორს ჰყავს ორი პრორექტორი - სასწავლო დარგში და სტრატეგიული განვითარებისა და მართვის დარგში, თითოეული ხელმძღვანელობს შესაბამის დეპარტამენტს და არის მმართველი ჯგუფის წევრი;

რექტორის საბჭო - თვითმმართველი ადმინისტრაციული მართვის ორგანო, რომელშიც წარმოდგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრები (პედაგოგი, სტუდენტი) და უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული სტრუქტურების ხელმძღვანელები.საბჭო განიხილავს რექტორის ქვემდებარე შიდა რეგულაციებს, ბიუჯეტირების გეგმებს, სხვა დოკუმენტებს, ანგარიშებს და განცხადებებს; განიხილავს უნივერსიტეტის საორგანიზაციო ერთეულების ჩამოყალიბების საკითხებს, ამტკიცებს დეკანის მიერ წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშებს;

კანცლერი -ადმინისტრაციული მმართველი სამეურნეო, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში (ტექნიკური პერსონალის ნაწილში). წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში,

უფლებამოსილების ფარგლებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს როგორც, კვლევებისა და ზოგადი ინსტიტუციური მენეჯმენტის შეფასებას, ასევე უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის სტანდარტებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას; მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის კონტროლის გარე სააგენტოებთან.

აკადემიური საბჭო - პირველადი ორგანო სამეცნიერო და პედაგოგიური აქტივობების თვალსაზრისით, რომელიც განიხილავს სტრატეგიულ გეგმას, აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან კონტექსტში, ამტკიცებს ფაკულტეტზე განსახორციელებელ სასწავლო პროგრამებს.

სადისერტაციო საბჭო - მედიცინისა და ბიოლოგიაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი თვითმმართველი ორგანო, რომლის გადაწყვეტილებას ამტკიცებს აკადემიური საბჭო, საბოლოოდ კი ფორმდება რექტორის ბრძანებით.

დისციპლინარული კომისია - დადგენილი ვადით შექმნილი წამომადგენლობითი ორგანო, რომელიც იხილავს დისციპლინური გადაცდომის საკითხებს; შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური და რექტორის საბჭოს შემადგენლობიდან. დისციპლინური კომისიის სტუდენტური წარმომადგენლობის რაოდენობა არ შეიძლება იყოს სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლები.

დტუს-ს აქვს ორი სკოლა - სამედიცინო სკოლა „აიეტი“ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა; ეს უკანასკნელი (საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა) ამჟამად არ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამომავლოდ ორიენტირებულია კვლევებისა და პოსტდიპლომური განათლების და გადამზადების კურსების განვითარებაზე.

სამედიცინო სკოლა “აიეტი”, მედიცინის ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) სამედიცინო განათლებაში სწავლებასა და კვლევებზეა ორიენტირებული, ახორციელებს სტუდენტთა მომზადებას სამედიცინო განათლებაში დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი კვალიფიცირებისათვის; პოსტდიპლომური სპეციალიზაციის პროგრამებს უწყვეტი პროფესიული განვითარების ჩათვლით; ფაკულტეტი ამჟამად დიპლომირებული მედიკოსის 6 წლიან, მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებულ ორ პროგრამას ახორციელებს: დიპლომირებული მედიკოსისა და დიპლომირებული მედიკოსის - ეპდს-ს; ასევე აწვდის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში“ სადოქტორო პროგრამას; ახორციელებს ორ სარეზიდენტო პროგრამას „საოჯახო მედიცინასა“ და „შინაგან მედიცინაში“. ფაკულტეტი მოქმედებს, როგორც უნივერსიტეტის გარკვეულ ფარგლებში დამოუკიდებელი სტრუქტურა (ერთეული, ნაწილი); იგი არ არის დამოუკიდებელი ბიუჯეტის მფლობელი, ამასთან იღებს გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის სახელით საკითხებში, რომელიც განხილულია რექტორის ან/და დეკანის საბჭოზე. ფაკულტეტი პასუხისმგებელია (სხვა საუნივერსიტეტო ერთეულებთან ერთად) უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების და გეგმების რეალიზაციაზე; კერძოდ ის უფლებამოსილია (და ვალდებულია) სასწავლო პროგრამის შექმნასა და განხორციელებაზე, სამეცნიერო, კვლევით და სხვა აქტივობების ორგანიზებაზე, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად ადაპტაციისა და პროფესორების დანიშვნის პროცედურაზე, საგარეო ან სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობაზე, ფაკულტეტის შიდა თვითმმართველობის/ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე.

აკადემიური საზოგადოების წევრთა მიერ უნივერსიტეტის თვითმმართველობა ხორციელდება აკადემიური-თვითმმართველობის ორგანოთა მეშვეობით;

უნივერსიტეტის სხვა აკადემიური და ადმინისტრაციული ნაწილებია: სასწავლო დეპარტამენტი, სტრატეგიული განვითარებისა და მართვის დეპარტამენტი, სამედიცინო განათლების ცენტრი, დეფნი ჰეარის სახელობის სამედიცინო ბიბლიოთეკა, რექტორის აპარატი,კანცლერის აპარატი; ფაკულტეტის - დეკანის ოფისი, სხვა სამსახურები.

სასწავლო დეპარტამენტი - ახორციელებს სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, დაგეგმვის, ორგანიზების, კონტროლისა და ანალიზის საფუძველზე; დეპარტამენტი აერთიანებს სასწავლო მეთოდურ განყოფილებას, კომპიუტერული სწავლებისა და შეფასების ცენტრს, სასწავლო ინპექტორებს;

სტრატეგიული განვითარებისა და მართვის დეპარტამენტი - ხელს უწყობს მმართველი ჯგუფის მუშაობას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას, საუნივერსიტეტო საქმიანობაში არსებული მდგომარეობის თვითშეფასების სიღრმისეულ ანალიზზე დაფუძნებით; მისი საქმინობა მოიცავს სტრატეგიული გეგმის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულამდე დაყვანას, უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ზრდას და ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნვას. პრორექტორი ხელმძღვანელობს დტსუ-ს სტრატეგიული განვითარების და მართვის მუდმივმოქმედ კომიტეტს; მისი პასუხისმგებლობის სფეროში შედის უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი; საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი.

სამედიცინო განათლების ცენტრი - შექმნილია (პროექტი #530519-TEMPUS-1-2012-1-UK-TEMPUS-JPCR - ePBLnet ფარგლებში) რათა ხელი შეუწყოს საქართველოს ინტეგრირებას უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში; ასევე - ხარისხიანი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას და მისი განვითარების მუდმივად განახლებადი და უწყვეტი პროცესების შენარჩუნებას; ჩაატაროს და ხელი შეუწყოს სამედიცინო განათლების სფეროში სამეცნიერო კვლევების განხორციელებას;

დეფნი ჰეარის სახელობის სამედიცინო ბიბლიოთეკა - სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო და კულტულურ საგანმანათლებლო ქვედანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს, სამეცნირო-კვლევით და პედაგოგიურ მუშაობას ლიტერატურითა და საინფორმაციო მასალებით.

რექტორის უშუალო დაქვემდებარებაში შედის ფინანსური და იურიდიული დეპარტამენტი. ფინანსური დეპარტამენტი პასუხისმგებელია დეპარტამენტის დაწესებულების მიერ დადგენილი ეკონომიკური და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელებაზე; დადგენილი ბიუჯეტის ფარგლებში ქმედებების განხორციელებაზე; იურიდიული დეპარტამენტი უზრუნველყოფს დაწესებულების და ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული საქმინობის სამართლებრივ უზრუნველყოფასა და ექსპერტიზას.

კანცლერის პასუხისმგებლობის სფეროში შედის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური და სამეურნეო-ტექნიკურ სამსახური; იგი (კანცლერი) ვიცე კანცლერის მეშვეობით ახორციელებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მიმდინარე პროცესების კონტროლსა და მონიტორინგს; თავისმხრივ თითოეული სამსახური უზრუნველყოფს შიდა რეგულაციებით დადგენილი ფუნქციების

განხორციელებას, აუცილებელს უნივერსიტეტის ნორმალური, გამართული ფუნქციონირებისათვის.

დეკანის ოფისი - შემადგენლობა შეესაბამება დეკანატის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნებს. დეკანს ჰყავს სამი მოადგილე - სამედიცინო განათლების, სამეცნიერო და სტუდენტებთან ურთიერთობის დარგში; ასევე მოიცავს დეკანის ასისტენს, სტუდენტური რეესტრის ადმინისტრატორს, კოორდინატორთა სამსახურს.

ფაკულტეტთან არსებული სამსახურები - სამეციერო კვლევითი, დიპლომისშემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების, სადოქტორო კომიტეტი, კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და კურსდამთავრებულთან თანამშრომლობის, ფაკულტეტის დეპარტამენტები (მიმართულებები) და კლინიკები.

სამეცნიერო კვლევითი სამსახური - ხელს უწყობს ბიოსამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სამეცნიეროდ აქტუალური კვლევების განხორციელებას უნივერსიტეტის ბაზაზე და უზრუნველყოფს დოქტორანტების და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარებას.

დიპლომისშემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი - სათანადო წესით შეიმუშავებს და ახორციელებს სარეზიდენტო პროგრამას; შეიმუშავებს უწყვეტი პროფესიული განვითარების შემდგომი გაძლიერების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

სადოქტორო კომიტეტი - სადოქტორო კომიტეტი ფაკულტეტზე არსებული აკადემიური სტრუქტურა, რომელიც დეკანატსა და დეკანის საბჭოსთან ერთად ახორციელებს დოქტორანტურის სამეცნიერო, აკადემიურ და ადმინისტრაციულ მართვას.

კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და კურსდამთავრებულთან თანამშრომლობის დეპარტამენტი - უნივერსიტეტის გაცხადებული მისიის გათვალისწინებით ახორციელებს პერსონალისა და სტუდენტთა მხარდაჭერასა და ხელშეწყობას დარგში კარიერული ზრდისთვის.

ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტები: დტსუ-ში 7 დეპარტამენტია. 5 - აერთიანებს 39 დისციპლინას (მიმართულებები) სხვადასხვა მოდულებში 74 სასწავლო კურსის მისაწოდებლად; ასევე დეპარტამენტები სამეცნიერო კვლევითი და კლინიკურ უნარებში ტრენინგის მისაწოდებლად. სასწავლო დეპარტამენტების ორგანიზაციული სტრუქტურა (დანართი #12):

- ასახავს მათში შემავალი სამედიცინო დისციპლინების ე.წ. სპეციალიზაციურ სიახლოვეს, რაც აადვილებს მათ შორის კომუნიკაციას საკითხებზე: (i) რისი მიწოდება და რა მოცულობითაა აუცილებელი დეპარტამენტებში შემავალი დისციპლინების მიერ პროგრამულ მოდულში; ასევე (ii) გამიზნულია პროგრამის განვითარებაზე: ახალი მოდულის შეთავაზების შემთხვევაში როგორი (დეპარტამენტში შემავალიდან) „მხარდაჭერა“ და მონაწილეობაა მიზანშეწონილი მისი შემუშავებისა და მიწოდებისთვის;
- ხელს უწყობს ფართო დისციპლინარულ კონტექსტში სტუდენტის დარგობრივი ცოდნის/უნარების ნაწილში საჭირო კომპეტენციების (ცოდნა, უნარები, პროფესიული ღირებულებები,მიდგომები) დაგეგმვის, ეტაპობრივ გამომუშავებაზე მონიტორინგის და შეფასების პროცესებს;
- ხელს უწყობს კვლევების (სხვა კვლევითი აქტივობა) დაგეგმვის, მასში ჩართულობის და/ან

შეფასების ნაწილში (განსაკუთრებით სადოქტორო პროექტები) მათ ურთიერთთანამშრომლობას;

- საუნივერსიტეტო სტრუქტურებსა და კომიტეტებში მათ (დეპარტამენტების) ჩართულობას და წარმომადგენლობით მხარდაჭერას;
- ხელს უწყობს მათ ინტერდისციპლინარულ თანამშრომლობას უწყვეტი პროფესიული განვითარების [უპგ (მიმართულებები და/ან მიმართულებებს შორის დეპარტამენტის ფარგლებში)] და/ან უწყვეტი სამედიცინო განვითარების (უსგ) ფარგლებში (დეპარტამენტებს შორის);
- დეპარტამენტის შიდა მიმართულებები საბაზისო-სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებები, სპეციალიზაციისთვის დამახასიათებელი ვიწრო (სპეციალიზაცია) სპეციფიკით, ხელს უწყობს მომავალი სპეციალობის დარგობრივ ჩარჩოში (მედიცინა) სტუდენტის მიერ სპეციალიზაციის ფარგლების გაცნობიერებას, ასევე მნიშვნელოვანს მომავალი კარიერული არჩევანის და განვითრებისათვის: მათი (სპეციალიზაცია) სიღრმისეული გაცნობიერებისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მხარდაჭერა და/ან სამეცნიერო მუშაობის არჩევანის შესაძლებლობით.

დეპარტამენტების მიერ მიწოდებული კლინიკური ნაწილის განსახორციელებლად დტსუ-ს მიერ გაფორმებულია თანაშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები ქვეყნის წამყვან კლინიკებთან და უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორებთან (დანართი #88).

მართვის ორგანოების მიერ აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან მიმართებაში დროული, ეფექტურ და „სწორი“ (გამიზნული სტუდენტთა აკადემიური წარმატების გაუმჯობესებაზე, კვლევების ხელშეწყობაზე, პედაგოგთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე და ა.შ. იხ. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიზნები) გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა რიგი სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები, კერძოდ: (i) ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის მმართველი ჯგუფი; შემუშავდა უნივერსიტეტის ახალი წესდება; (ii) შეიქმნა უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვისა და განვითარების სტრუქტურა (პრორექტორი აღნიშნულ მიმართულებაში); (iii) კადრით გაძლიერდა სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულები (მაგ: დეკანატი, სასწავლო დეპარტამენტი); (iv) შეიქმნა დიპლომისშემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი; (v) სამეცნიერო კვლევითი სამსახური; (vi) კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის სამსახური. რაც მართვის არსებული საორგანიზაციო სტრუქტურის პირობებში (საუნივერსიტეტო სისტემის ფარგლებში ლოგიკურად დაკავშირებული ერთიანი ფუნქციური სისტემა) ასეთი მართვის (დროული და „სწორი“) ეფექტურობის ხელშემწყობი იქნება; შემდეგი არგუმენტების გათვალისწინებით:

მართვის იერარქიული დონეების საქმიანობა დამოკიდებულია ყველა სხვა დანარჩენის (ახალი სტუდენტები, დამატებითი კადრი) საქმიანობის ხარისხზე;შესაბამისად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ორგანიზაციის განვითარება; ასევე ადამიანური რესურსების მართვაში უნივერსიტეტმა შეიმუშავა განვითარების ახალი კონცეფცია (იხ. აგრეთვე ამ დოკუმენტის მე-4 სტანდარტი და დანართი 43), რომლის დანერგვას, ასევე ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში კადრის განვითარებასა და სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგების შეფასებას კვლევათა დაგეგმვა

და ჩატარება სჭირდება (გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ).
უნივერსიტეტში არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, კანონიერი და წესდებასთან შესაბამისი (დანართი #13); უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მართვის ორგანოებში პირთა დანიშვნა ხორციელდება პირდაპირი წესით, დამფუძნებლის და რექტორის მიერ, კერძოდ: უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის დამფუძნებელი; რექტორი (დტსუ წესდების მიხედვით პროფესორი) თანამდებობაზე ნიშნავს პრორექტორებს, კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დეკანს, ბიბლიოთეკის გამგეს.
ყველა სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები თანამდებობაზე ინიშნება უშუალო ხელმძღვანელის ან/და რექტორის მიერ რექტორის საბჭოსათვის კანდიდატის წარდგენითა და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.
მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის პოლიტიკად უნივერსიტეტი მოიაზრებს თვითრეგულაციის მექანიზმს მართვის უკუკავშირის უზრუნველსაყოფად (დანართი #16).
უსდ-ს საქმისწარმოების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას (დანართი #14), თუმცა ელექტრონული საქმისწარმოება პროგრამულად ამჟამად არ არის დანერგილი (დაგეგმილია შემენა); უზრუნველყოფილია კანონმდებლობასთან შესაბამისი, საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოება.
უნივერსიტეტს ძირითადი პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად შემუშვებული აქვს გეგმა რისკების სრულად ან ნაწილობრივად თავიდან აცილების მიზნით. გეგმა აღწერს ბიზნესპროცესების უწყვეტობისთვის მნიშვნელოვან ყველა ძირითად საკითხს, გეგმის მიზნებს, პოლიტიკას, როლებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას, ტრენინგის ხერხებს და საშუალებებს. განსაზღვრავს რისკების ალბათობასა და პოტენციურ ზეგავლენას, საპასუხო მექანიზმებს და დროს (დანართი #15). შემუშავებული გეგმის იმპლემენტაციაზე მუშაობა მიმდინარეობს.
უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას: დტსუ-ის დაარსებაც კი ეფუძნებოდა საზოგადოდ განათლებასა და განსაკუთრებით სამედიცინო განათლებაში ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობის იდეას; თავდაპირველად ექიმთა უცხოეთში სპეციალიზასიითვის დამფუძვნებელთა მიერ შექმნილმა ფონდმა დააფუძნა უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“, შემდგომში დტსუ, მისი სასწავლო პროგრამა განსხვავებული იყო (მოდულარულად ინტეგრირებული) და მოითხოვდა ინგლისურენოვან თანამედროვე სახელმძღვანელოებით სწავლას; სწავლის ენად იმთავითვე (ბუნებრივად) განისაზღვრა ქართული და ინგლისური ენები, რაც მის კურდამთვრებულს კონკურენტუნარიანობას სძენდა დიპლომისშემდგომი განათლების და სარეზიდენტო მზადების პროგრამებში ჩასართველად; ინგლისური ენის მოთხოვნის საჭიროებას განაპირობებდა ასევე გლობალიზაციის პერიოდში პროფესიულ კონტექსტში ქართველი კადრის (სტუდენტი და ექიმი) საერთაშორისო პროფესიულ კომუნიკაციაში ჩართვის აუცილებლობა; რამაც (ინტერნაციონალიზაცია) ასახვა ჰპოვა უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმებში და საუნივერსიტეტო საქმიანობის პრაქტიკად იქცა (დანართი #17). ამჟამად, უნივერსიტეტს უცხოელი სტუდენტებიც ჰყავს რამაც ასევე მის ორგანულ ნაწილად აქცია ინტერნაციონალური დიალოგი, კოლაბორაცია და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა. უნივერსიტეტი

მისი განვითარებისთვის საინტერესო კოლაბორაციაშია ჩართული (კერძოდ წევრია AMEE, AMSE, EBMA, ORPHEUS, UEMS, EUA), რაც ასახულია მის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში (იხ. სტრატეგიული გეგმის მეხუთე სამიზნე) მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში (PACT; ePBLnet, INTEGRITY); მზად აქვს ახალი (TASk, BIOTUNE, CDMed, DREAM, HERD) პროექტები; მიღებულ გამოცდილებას ნერგავს საკუთარ უნივერსიტეტში და აზიარებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; ხელს უწყობს სტუდენტთა სასწავლო და კვლევის მიზნებისთვის მათ საერთაშორისო მობილობას (იხ. წინამდებარე დოკუმენტში სტანდარტი 5-ში ასახული) და მათი გამოცდილების თანასწორთა შორის გაზიარებას; ხელს უწყობს პედაგოგთა განვითარების და გამოცდილების გაზიარების მიზნით მათ მობილობას და უცხოელ ექსპერტთა საქართველოში მოწვევას (EBMA, ORPHEUS, WFME) სტუდენტთა და ახალგაზრდა ექიმების, ასევე პედაგოგების საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებში ჩართულობას (IFMSA/GMSA, UEMS/GAMS) საწევრო გადასახადებსა და მობილობაში ხელშეწყობით; ამყარებს საერთაშორისო კონტაქტებს დოქტორანტთა მზადების და კვლევების ხელშეწყობისთვის უცხოელი კონსულტანტის და/ან ოპონენტის მოწვევის მიზნით. თანამშრომლობს ევროპასა და აშშ-ში დტსუ კურსდამთავრებულებთან, ასევე GIMPHA-თან უნივერსიტეტის სტუდენტთა მომავალი კარიერული ზრდის (მათ შორის საზღვარგარეთ სპეციალიზაციის შესაძლებლობა) ხელშეწყობისთვის. განხორციელებული საქმიანობის შეფასებისა და სამომავლო განვითარების მიზნით ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას ეთანხმება უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება (დანართი #18).
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დტსუ სტრუქტურა (დანართი #10) 2. დტსუ წესდება (დანართი #3) 3. უსდ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (დანართი #11) 4. ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტის ორგანიზაციული სტურქტურა (დანართი #12) 5. მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი და პროცედურები (დანართი #13) 6. უსდ საქმისწარმოების წესი (დანართი #14) 7. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა (დანართი #15) 8. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სიტემა (დანართი #16) 9. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (დანართი #17) 10. პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით (დანართი #18) 11. ხელშეკრულებები ბაზებთან (დანართი #88) 12. ადამიანური რესურსების მართვაში უნივერსიტეტის (დტსუ) განვითარების კონცეფცია (დანართი 43)
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფი სფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას; უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
აღწერა და შეფასება უნივერსიტეტის ოფიციალური სტრუქტურები და ორგანოები უზრუნველყოფენ ხუ-ის

პროცესში ხუ-ის სამსახურთან თანამშრომლობის ფორმატს; ხუ სამსახური ყოველწლიური თვითშეფასების დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის ქმნის ხარისხის შეფასების ჯგუფს აკადემიური შტატის და სტუდენტთა სავალდებულო ჩართულობით. ხუ-ის სამსახურის საქმიანობის (მათ შორის ამ წესით) გამოცდილებამ აჩვენა, რომ აკადემიური საზოგადოების წევრთა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფში ჩართულობას დამატებითი სარგებელი მოაქვს სწავლისა და სწავლების პროცესების გაუმჯობესებაში.

საუნივერსიტეტო დონეზე ხუ-ის სამსახურის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ხუ და სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შესრულებაზე. მისი ფუნქციებია:

- ✓ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის სხვა ნაწილების საქმიანობის ხარისხის საკითხებში ექსპერტიზა და ხელშეწყობა;
- ✓ უნივერსიტეტის მაშტაბით ხუ-ის აქტივობების კოორდინირება;
- ✓ გარე მოთხოვნების, როგორიცაა ხარისხის გარე შეფასების სააგენტოს ინსტრუქციების განხილვა ინტერპრეტაციისა და უნივერსიტეტის კონტექსტში ადაპტაციისთვის;
- ✓ სამსახურების საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი და ინფორმაციის მოგროვება მაგალითად სტრატეგიული მენეჯმენტის მიზნებისთვის;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ამოცანების მართვა, როგორიცაა სტუდენტთა გამოკითხვები ან ხარისხის გარე შეფასების სააგენტოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის მომზადება;

ყოველწლიურად ხარისხის თვითშეფასების მიზნებისთვის ხდება სამუშაო გეგმის შემუშავება:

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის „სამიზნეების“ განსასაზღვრად;
- ✓ „სამიზნეებთან“ მიმართებაში არსებული მდგომარეობის აღსაწერად;
- ✓ დოკუმენტით (სტრატეგიული განვითარების) განსაზღვრულ (მიზნის მისაღწევი სტრატეგიები) და მიღწეული შედეგების შეფასებისთვის (ძლიერი და სუსტი მხარეები);
- ✓ ეფექტური სტრატეგიების მიხედვით მუშაობის გაგრძელებისა და ახალი სტრატეგიების მოძიებისთვის კვლევის შედეგებით დასაბუთებული საფუძვლების შესაქმნელად.

ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიად იგი იყენებს ხარისხის შეფასების მიზანთან შესაბამისად არსებული სიტუაციის აღწერას, ჩატარებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას დაფუძნებულს ხარისხის ინდიკატორებსა, ჩატარებულ სამუშაოსა და მტკიცებულებებზე (დანართი #19).

ხარისხის შიდა შეფასების ანგარიშების განხილვა ხდება სტრატეგიული განვითარების და მართვის კომიტეტზე; ანგარიშები, მოხსენება და დამტკიცება ხდება რექტორის საბჭოზე. ხარისხის შეფასების შედეგების ასახვა ხდება უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმებში (კორექტირების, დაზუსტებისა და/ან ახალი აქტივობების დაგეგმვის მიზნით), რაც უზრუნველყოფსხარისხის შეფასების შედეგებზე დაფუძნებით უნივერსიტეტის შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესებასა და განვითარებას.

დტსუ პედაგოგთა შეფასების სისტემა ამჟამად ძირითადად ეფუძნება სტუდენტთა შეფასებებს, რომლისთვისაც წლებია გამოიყენება ე.წ. DREEM (Dundee Ready Education Environment Measure) კითხვარი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სტუდენტთა მიერ პედაგოგთა შეფასებას ასახავს. ეს არის სამედიცინო განათლებაში საგანმანათლებლო გარემოს გამზომი საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტი, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს და

გამოცდილებამ აჩვენა (სტუდენტთა შეფასებაზე დაფუძნებით გატარებულმა რიგმა ღონისძიებებმა), რომ კონკრეტულ საკითხებში მათი შეფასების მაჩვენებელი გაუმჯობესდა (2009-2010 სასწავლო წლის მაჩვენებლებთან შედარებით). ბოლო გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ პედაგოგთა შეფასების საერთო DREEM ქულა არის 35/44, რაც იდენტურია "იდეალური მასწავლებლისა".

თუმცა რჩება რიგი „დაუძლეველი საკითხები" მაგ: „პედაგოგები ავტორიტარულნი არიან", „ადექვატული უკუკავშირის უნარი", „უნარი სტუდენტები კონსტრუქციულად გააკრიტიკონ" ; ამასთან, სწორედ პედაგოგთა შეფასების ნაწილში (თუ ერთმანეთს შევადარებთ 2009/2010 და 2017/2018 სასწავლო წლის მონაცემებს), ნათელია რომ ბოლო წლების განმავლობაში მიღწეულია გაუმჯობესება (დანართი #20).

ასევე, პედაგოგთა შეფასება მუდმივად ხდება ახალი სასწავლო კურსის და/ან სასწავლო კურსის ფორმატის ცვლილებების პროცესში, მათ შორის პროგრამის გაუმჯობესებაზე გამიზნული გამოკითხვების დროს (სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები) (დანართი #35-ში 3,4).

საინტერესო კვლევებია ჩატარებული ხუ სამსახურის მიერ იმის დასადგენად რამდენად შეუძლიათ სტუდენტებს მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს თვით–შეფასება და რამდენადაა ეს შესაბამისი ფაკულტეტის შეფასებასთან. კვლევის ფარგლებში დტსუ–ს PBL სწავლების სტუდენტებისთვის შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც საშუალებას აძლევდა სტუდენტებს შეეფასებინათ საკუთარი და სხვა სტუდენტების მუშაობა PBL სწავლების იმავე კატეგორიებში, რაშიც ყველა მათგანი ასევე ფასდებოდა ტუტორის მიერ: (1) მომზადება PBL სესიისთვის; (2) წვლილის შეტანა PBL სესიაში და (3) დამოკიდებულება სტუდენტებისა და ტუტორის მიმართ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა სტუდენტთა თვით–შეფასებასა და ერთმანეთის შეფასებაში განვითარებული ცვლილებების დინამიკა კვლევის პერიოდის განმავლობაში. ამასთან, მეტი შემდგომი კვლევებია საჭირო იმის განსასაზღვრად სტუდენტის „გადაჭარბებული" ან „დაბალი" თვით–შეფასება როგორ ზემოქმედებს მათ საგანმანათლებლო სტრატეგიებზე, ასევე იძლევა პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს; კერძოდ, (i) მონაცემთა ანალიზი დმ-ის პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებს აძლევს საშუალებას გააცნობიერონ რამდენად შეუძლიათ სტუდენტებს მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს თვითშეფასება და რამდენადაა ეს შესაბამისი ფაკულტეტის შეფასების; (ii) იძლევა სტუდენტთა (როგორც მომავალ ექიმთა) ინდივიდუალური შეფასებისთვის მახასიათებლების შემუშვებას უკუკავშირის მიზნით და განვითრების შესაძლებლობისთვის; შეფასების შედეგები უკუკავშირისთვის, შეფასებაში განვითარებისთვის შესაძლოა სასარგებლო იყოს ტუტორის განვითარებისთვისაც (დანართი #21).

2016-2017 და 2017-2018 წლებში ჩატარდა პირველკურსელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების კონტექსტში, რომლის მიზანი იყო ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით დტსუ-ში ჩარიცხვის მოთხოვნების/კრიტერიუმების გაუმჯობესება (დანართი #22). ანგარიშის ფარგლებში სწავლაში პროგრესის აღწერის მიზნებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მაჩვენებლები: ა) „ქვიზზე დაშვების" მაჩვენებელი - ამოწმებს და ჯამურად ასახავს სტუდენტის ყოველდღიურ/მიმდინარე მუშაობას; ბ) „ქვიზის ჩაბარების მაჩვენებელი - შემაჯამებელი შეფასება, რომელიც ამოწმებს და ჯამურად ასახავს, რომ უნივერსიტეტის სასწავლო მოდულით დაგეგმილი შედეგები

მინიმალურ დონეზე მაინც მიღწეულია. ანგარიშების მოსამზადებლად გამყენებული იქნა: 1. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოყენებული ინფორმაცია (აბიტურიენტთა მიერ მოპოვებული გრანტების ოდენობა; რომელ არჩევანზე ჩაირიცხა იგი; მათ მიერ ჩაბარებულ საგნებში მიღებული ნედლი/სკალირებული ქულა და საკონკურსო ქულა, რომელი არჩევითი საგნით მოხდა აბიტურიენტის ჩარიცხვა); 2. დტსუ-ში მათ მიერ მოდულის შემაჯამებელ კომპლექსურ ტესტურ გამოცდაში მიღებული ქულები. აღნიშნული მონაცემები განხილულია სტუდენტთა ნაკადების (პირველი და მეორე), ასევე მათ (ნაკადები) შედარების მიხედვით, რადგან პირველ სემესტრში სტუდენტთა ჯგუფებად და ნაკადებად განაწილება ხდება ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით (საკონკურსი ქულა), და ასევე იმ მიზეზით, რომ პირველ და მეორე ნაკადის ჯგუფებში სტუდენტებს სემესტრულად ერთი შინაარსის მოდულები მიეწოდებათ სხვადასხვა თანმიმდევრობით, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს აკადემიური პროგრესის შედეგებზე.

ბოლო ორი წლის კვლევის შედეგები აჩვენებს:

- ✓ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული სკალირებული ქულის და გრანტის არსებობის, ასევე მისი ოდენობის ძლიერ გავლენას სტუდენტთა აკადემიური პროგრესის რიგ მახასიათებლებზე: ქვიზზე დაშვების, ქვიზის I გასვლით ჩაბარების, მეორე სემესტრში გადასვლის მაჩვენებლებზე;
- ✓ მოტივაციურ ფაქტორს (ფასდება დტსუ- I არჩევანი) გარკვეული (სკალირებულ ქულასთან კავშირში და გრანტის არსებობის პირობებში) გავლენა აქვს სტუდენტთა I სემესტრში აკადემიურ მოსწრებაზე;
- ✓ აკადემიურ პროგრესზე, ჩვენი მონაცემებით, ყველაზე დიდი გავლენა აქვს საშუალო სკალირებულ ქულას და არა თავისთავად დაფინანსებას (თუმცა ეს ორი პარამეტრი ერთმანეთთანკავშირშია);
- ✓ დტსუ-ს სტუდენტთა უმრავლესობა ჩარიცხულია საგან – "ბიოლოგიით".
- ✓ გრანტის არ არსებობის პირობებში "ბიოლოგით" ჩარიცხულებში დაბალია აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
- ✓ I სემესტრში ერთიანი ეროვნული გამოცდებით (ეეგ) რიცხულ სტუდენტებს (ყველა კატეგორია, ჯამურად) უფრო მეტად უჭირთ სასწავლო პროგრამით გათალისწინებულ II მოდული: შესავალი სამედიცინო მეცნიერებებში 2.

კვლევამ დადო გარკვეული პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელსაც უნივერსიტეტი გაითვალისწინებს სტუდენტთა კონტინგეგტის და მოთხოვნების დაგეგმვის დროს.

ეეგ-ით სტუდენტთა ჩარიცხვის კრიტერიუმების ანალიზი და მინიმალური ოდენობის გრანტის მოთხოვნის განხილვა;

რეკომენდაცია 1-ის შეუძლებლობის პირობებში სტუდენტთა აკადემიურ პროგრესში დახმარების სხვა ალტერნატივების (სილაბუსი პრე-სამედიცინო დისციპლინებში: მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია და/ან საკვირაო სკოლები; პროგრამათა მეტი "ინდივიდუალიზაცია") განხილვა;

- ✓ ეროვნული გამოცდების ცენტრში განაცხადის წარდგენისას მეტი ყურადღება მიექცეს არჩევითი საგნების პროცენტულობის განსაზღვრას;
- ✓ მოტივაციურ ფაქტორზე მეტი "მუშაობა": პროგრამის დეტალებზე მეტი ინფორმირებულობა, როგორც აბიტურიენტებში, ისე სწავლების საწყის ეტაპზე (I კვირა,

I თვე).

- ✓ შესავალი სამედიცინო მეცნიერებებში 2-ის მიზანმიმართული "გადახედვა": სწავლების დრო, ფორმატი (დამატებითი ფორმები), კურსების თანმიმდევრობა, მოდულის განმახორციელებელ შტატთან და საგამოცდო ცენტრთან კომუნიკაცია ანალიზისა და გაუმჯობესების მიზნით.
- ✓ ეროვნული გამოცდების ცენტრთან მიზანმიმართული კომუნიკაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების მეტ დეტალებზე, მაგ: სკალირებული ქულის გაანგარიშების ტექნოლოგია, არჩევითი საგნის გავლენა, ა.შ და ინფორმაციაზე, რომელიც სასარგებლო შეიძლება იყოს ანალოგიური ანალიზის ჩატარებისათვის (დანართი #22).

შეფასების შედეგების ასახვა ხდება სამოქმედო გეგმასა და/ან უნივერსიტეტის (7 წლიან) სამიზნეებში, მათ შორის შეგროვებული მონაცემების ფოკუს-ჯგუფებში შიდა განხილვებით.

ხარისხის შიდა კულტურის განვითარების შესაძლებლობა ასახულია სტრატეგიულ გეგმაში (მე-12 მიზანი); განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი პრინციპები მოცემულია წინამდებარე თვითშეფასების ანგარიშის დანართში #19 დტსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მახასიათებლები და განვითარების მნიშვნელოვანი პრინციპები; ხარისხის შეფასების პროცედურა და საანგარიშო პერიოდში ჩატარებული შედეგების გამოყენების ანგარიში ასახულია დანართ #23-ში: ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში.

ზ/ა კვლევა (დანართი #22) ასევე მნიშვნელოვანი იყო მისაღები კონტიგენტის დაგეგმვის თვალსაზრისით, რომლის ფარგლებს საზოგადოდ სახელმწიფო ადგენს ავტორიზაციის მექანიზმით. დაგეგმვა ხორციელდება ადამიანური, ფინანსური რესურსების და ინფრასტრუქტურის, პედაგოგთა აკადემიური დატვირთვის დადგენილი ფარგლების (დანართი #56) და შესაბამისად სტუდენტ-პედაგოგთა „ნორმის" გათვალისწინებით. ასევე ყოველწლიური სიტუაციის პროგრამაში რიცხული სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობის (დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში (დტსუ) პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ) და დტსუ-ში სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმის შესაბამისად (დანართი # 24).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მახასიათებლები და განვითარების მნიშვნელოვანი პრინციპები (დანართი #19)
2. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში (დტსუ) პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ დებულება (დანართი #56)
3. „პირველკურსელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების კონტექსტში" - (დანართი #22)
4. DREEM გამოკითხვა და შედეგების ანალიზი (დანართი #20)
5. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი (დანართი #24)
6. სტუდენტთა თვით – და ურთიერთ – შეფასება PBL–ში: ტუტორთა შეფასებასთან თანხვედრისა და მათ სამომავლო პროფესიული პროგრესის სარგებელთან შედარებითი ანალიზი (დანართი #21)
7. ხარისხის შეფასების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში (დანართი #23)

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია; უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები; უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
აღწერა და შეფასება დტსუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა და პერსონალისთვის ეთიკისა და ქცევის წესები; რომლის განვითარებაზე ბოლო წლების განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის, მისი აკადემიურ საზოგადოების წევრად ქცევის „ნორმად“ დამკვიდრების, პლაგიარიზმის პრევენციის ახალი მეთოდების და საშუალებების შერჩევის, მათზე „სწორი“ რეაგირების გზების მოძიების (მათ შორის პრევენციის) მიზნით. ამ კუთხით უნივერსიტეტმა მიზანმიმართული მუშაობა ჩაატარა: შეიმუშავა სპეციალური სწავლას, კვლევასა და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კონცეფცია, რაც მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ ერთის მხრივ გახსნა და „ერთიანი“ გახადა საერთაშორისო აკადემიური სივრცე; ინტერნეტის სხვა რესურსების მეშვეობით ღირებულ მასალასთან (აკადემიური ნაშრომები თუ სხვა) ხელმისაწვდომობამ გაადვილა სასურველი ინფორმაციის მოძიება. რაც უაღრესად დადებითი მოვლენაა, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისთვის; თუმცა, ასევე გაჩნდა „პლაგიატის“ მატების რეალური პრობლემაც როგორც საერთაშორისო, ასევე ქართულ აკადემიურ სივრცეში. საუნივერსიტეტო სივრცეში პლაგიატთან „სწორი“ დამოკიდებულება, მისი პოლიტიკის პრაქტიკაში გატარება და ადექვატური რეაგირება უნივერსიტეტის ყველა სამსახურის, აკადემიური პერსონალის და თვით სტუდენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, რომელიც მხარდაჭერილი და მონიტორირებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. ზ/ა კონცეფცია აღწერს აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დამოკიდებულებას; კერძოდ მისი პრევენციის, მასზე მონიტორინგისა და რეაგირების წესებს. ასევე ასახავს უნივერსიტეტში უკვე არსებულ პრაქტიკას და ამ კონკრეტული კუთხით განვითარების შესაძლებლობებს. ეს აღიარებულია და გაზიარებულია როგორც აკადემიური და სამეცნიერო, ასევე მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ, რადგან სრულიად გასაგებია, რომ „კეთილსინდისიერების“ გარეშე არც ახალი ცოდნა არ იქმნება და არც სპეციალისტი არ ყალიბდება (დანართი #25). საჭირო ცვლილებები განხორციელდა „სტუდენტთა ეთიკის კოდექსში“, „სტუდენტთა შინაგანაწესში“, „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, „აკადემიური პერსონალის შრომით შინაგანაწესში“, „ადმინისტრაციის თანამშრომელთა შრომით შინაგანაწესში“, „სადისერტაციო საბჭოს დებულებაში“, „სადოქტორო კომიტეტის დებულებაში“ (დანართი #26, დანართი #27; დანართი #39). საკითხთან მიმართებაში ამ ეტაპზე არსებული საუნივერსიტეტო რესურსები გულისხმობს სასწავლო კურსებს (თემასთან მიმართებაში) და პლაგიატის აღმოჩენის ტექნოლოგიას. აკადემიური წერის უნარების განვითარება და აკადემიური კეთილსინდისიერების ცნობიერების შესახებ ამაღლება დტსუ-ში ხორციელდება როგორც დიპლომამდელი, ასევე სადოქტორო სწავლების სტუდენტებისთვის. დიპლომამდელი და სადოქტორო სწავლების ფარგლებში „სამეცნიერო კვლევის საფუძვლების“ კურსების ფარგლებში მიეწოდებათ

საკითხები: „სამეცნიერო ენა“; „სამეცნიერო წერის სტილი“; „სამეცნიერო ნაშრომის წერა და მისი სახეები“; „კვლევა, როგორც ინტელექტუალური საკუთრება“; „საავტორო უფლებებისა და პლაგიატის“ თემები; „ეთიკა სამეცნიერო კვლევაში“ და სხვა რელევანტური საკითხები. უნივერსიტეტმა შეიძინა პლაგიარიზმის აღმოჩენის ტექნოლოგიის „Turnitin” -ის ინსტიტუციური ლიცენზია. ასევე, შექმნა ამ რესურსის გამოყენების ინსტრუქციები „პედაგოგზე/ინსტრუქტორებზე მორგებული“ და „სტუდენტზე მორგებული“', შექმნა სპეციალური ცნობარი პლაგიატის შესახებ დტსუ-ს სტუდენტებისთვის. მისი იმპლემენტაცია გარკვეულწილად დაწყებულია, სგც-ის პედაგოგთა განვითარების ყველა კურსის წინ ამ ინსტრუქციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება; პედაგოგსა და სტუდენტს შეუძლიათ ინდივიდუალურადაც ამ ინსტრუქტაჟის აღება; ამასთან, პროცესი ამჟამად საკმაოდ „დუნედ“ მიმდინარეობს და უნივერსიტეტი ძალზე მნიშვნელოვნად თვლის შესაძლებლობას ჩართული იყოს ევროკავშირის მიერ ერაზმუს+-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის (ACADEMIC INTEGRITY FOR QUALITY TEACHING AND LEARNING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN GEORGIA / INTEGRITY) მუშაობაში, რომლის მთავარი სამიზნე სწორედ აკადემიური კეთლსინდისიერების საკითხში ქართული უნივერსიტეტების დახმარებაა. ზ/ა „დუნე“ მიმდინარეობას აკადემიური საზოგადოების წევრთა შეფასებით აქვს გარკვეული საფუძვლები: აკადემიური კეთლსინდისიერების მნიშვნელობის ვალდებულების სრული აღიარების პირობებში საკითხთან მიმართებაში ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობა; შესაბამისად, უნივერსიტეტი ჩართულია და პროცესის სრულფასოვანი იმპლემენტაციისთვის ევროპელი კოლეგებისგან მიიღებს შემდეგ კითხვებზე პასუხს (სასარგებლოს ზ/ა „დუნე“ მიმდინარეობის დასაძლევად). (i) რა შემთხვევაში ჩაითვლება აღმოჩენილი „მსგავსება“ პლაგიატად და როგორია ამასთან მიმართებაში უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები, მიმდინარე პრაქტიკა: ესსე, თეზისი, სტატია, პრეზენტაცია, დისერტაცია (მისი სხვადასხვა ნაწილი). (ii) რა უნდა შედიოდეს აკადემიური წერის კურიკულუმში მისი ხარისხიანად ჩათვლისთვის: სწავლება/სწავლა/შეფასება და მათი ინსტრუმენტები. (iii) ფორმალური კურსების გარდა სტუდენტთა ტუტორებისთვის რა შესაძლებლობები არსებობს ევროპულ უნივერსიტეტებში (iv)რა დამატებითი მეთოდები და საშუალებები არსებობს პლაგიატის პრევენციისთვის: ფორმალურ რეგულაციებსა, დოკუმენტებსა და რეალურად პრაქტიკაში დანერგილიდან რომელი მექანიზმია ეფექტური; განიცდის თუ არა ეს მექანიზმი (-ები) კულტურალურ გავლენას; (v) პიარ კამპანიის მრავალფეროვანი რესურსებიდან (საშუალებებიდან) რომელია ყველაზე ეფექტური; აქვს თუ არა მასზე გავლენა კულტურალურ ასპექტებს/გამოცდილებებს და როგორი. დტსუ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს: უსდ-ს შესაბამის მარეგულირებელ აქტებში; ასევე დტსუ-ს წესდებითაა აღიარებული და გარანტირებული აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა (დანართი #3); შესაბამისად, ამ ვალდებულებას უნივერსიტეტი დეკლარირებს ქართული საზოგადოების წინაშე და ასევე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე (უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ინდივიდუალური ასოცირებული წევრია).
მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სწავლას, კვლევასა და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კონცეფცია (დანართი #25)
2. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები (დანართი #26)
3. სტუდენტთა ეთიკის კოდექსი (დანართი #27)
4. უსდ შინაგანაწესი (დანართი #28)
5. დტუს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი #39)
6. დტსუ წესდება (დანართი #3)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

1. უნივერსიტეტის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ საქმიანობას;
2. უნივერსიტეტში მართვის ორგანოებში დანიშვნის წესები შესაბამისია მოქმედი კანონმდებლობის, სამართლიანი და გამჭვირვალეა;
3. უნივერსიტეტში მართვის (მათ შორის) გაუმჯობესების მიზნით ჩამოყალიბებულია სტრუქტურები;
4. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კანონის შესაბამისად რეესტრის წარმოებას და საქმისწარმოებას;
5. აქვს ახლად შემუშავებული (თანამედროვე საერთშორისო მოთხოვნის შესაბამისი) ბიზნეს უწყვეტობის გეგმა;
6. უნივერსიტეტს აქვს სტრუქტურული ორგანიზაციისა და მართვაში განვითარების ხედვა, განვითარების კონცეფცია, ასახული მათ შორის სამოქმედო გეგმაში;
7. უნივერსიტეტში არსებობს ინტერნაციონალიზაციის ვალდებულების გაცნობიერება და პრაქტიკა;
8. ხარისხის შეფასების განვითარებაზე ორიენტირებული სტრუქტურის არსებობა, ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგში უნივერსიტეტის სტრუქტურებსა და აკადემიური საზოგადოების წევრთა მუდმივი კომუნიკაციის პრაქტიკა;
9. სტრატეგიული განვითარების ხარისხის თვითშეფასების შედეგებზე დაფუძნებული პრაქტიკის არსებობა;
10. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისათვის „ხარისხიანი“ ინდიკატორების (ჩარიცხვის კრიტერიუმები, ადამიანური და მატერიალური რესურსების და ა.შ) მუშაობა დაწყებულია;
11. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრევენციისთვის საჭირო საკანონმდებლო აკადემიური და ტექნოლოგიური რესურსები;
12. უნივერსიტეტი ჩართულია აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ ევროპულ პროექტში, რაც საკითხთან მიმართებაში უნივერსიტეტის სწრაფი და „სწორი“ განვითარებისთვის კარგი წინაპირობაა.

გასაუმჯობესებელი მხარეები

1. ახალი სტრუქტურების განვითარება ნათ შორის უნივერსიტეტში მართვის პროცესების გაუმჯობესების მიზნით;

2. ახალი ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის სრულფასოვანი იმპლემენტაცია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;
3. უნივერსიტეტის ახალი სტრუქტურების განვითარებისა და მართვაში გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელება;
4. ინტერნაციონალიზაციის განსავითარებლად ახალი ხერხები, სახეობების და საშუალებების მოძიება და არსებულის გაუმჯობესება;
5. ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მახასიათებლები და განვითარების მნიშვნელოვანიპრინციპების საუნივერსიტეტო პრაქტიკაში სრულად იმპლემენტაცია;
6. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის საკითხში უნივერსიტეტის განვითარება (საკითხთან მიმართებაში საკვანძო ინდიკატორების დანერგვა);
7. აკადემიური კეთილსინდისიერების პროექტში უნივერსიტეტის მაქსიმალური ჩართულობა და პროექტის დაგეგმილი შედეგების სრულფასოვანი იმპლემენტაცია.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების და გეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება თუნინგის პროექტის კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების და გადაცემის მოდელს („თუნინგის ხარისხის განვითარების ციკლი“) და აღწერს სასწავლო პროგრამის შემუშავების დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპებს; შემდგომ განმარტავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროგრამის პროფილის აღწერა, პროგრამის მიზნების განსაზღვრა და სწავლის მოსალოდნელი შედეგების აღწერა ცოდნის, ზოგადი და დარგობრივ-სპეციფიური კომპონენტებით; აკადემიური შინაარსის (თემები) და სტრუქტურის (მოდულები და კრედიტები) ფორმირება და აღწერა; შეთანხმებული შედეგების მიღწევაზე გამიზნული საგანმანათლებლო ერთეულებისა და საქმიანობის სახეობების განსაზღვრა; შედეგების შესაბამისი სწავლება, სწავლის და შეფასების მეთოდების დადგენა.

მეთოდოლოგია ასევე განიხილავს კურიკულუმის მოდერნიზაციისთვის თანაბრად მნიშვნელოვან ორ საკითხს: მოდერნიზაციისთვის პროცესის მომზადებას და განსაზღვრავს რას გულისხმობს კურიკულუმის ცვლილება (დანართი #29).

უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში ურთერთთანამშრომლობის აუცილებლობას ფორმალურად ადასტურებს უნივერსიტეტში ასეთი წესების და პროცედურების არსებობა (დანართი #30); ამასთან, ამასვე ადასტურებს უნივერსიტეტში საკითხთან მიმართებაში არსებული პრაქტიკაც; პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, მიღებული პროდუქტის (პროგრამა, ახალი კურსი, ახალი საგანმანათლებლო რესურსი, მეთოდი, ა. შ.) შეფასებაში მუდმივად ჩართულია ხუ-ის

ჯგუფი, რომელიც თანმიმდევრულად აფასებს აღნიშნულს ყველა ეტაპზე, ასახავს თვითშეფასების ანგარიშებში, ა.შ. თავად ახალი პროგრამის შეფასებას იგი სავალდებულო წესით ახორციელებს პროგრამათა შეფასებისთვის შემუშავებული ხარისხის შეფასების კრიტერიუმებით. დიპლომილებული მედიკოსის ე-პდს შემუშავებისას (ტემპუსის საგრანტო კონკურსით დაფინანსებული და განხორციელებული „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ პროექტის ფარგლებში) უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა ზ/ა „ურთიერთთანამშრომლობითი“ მუშაობის, ასევე გამოიყენა იგი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პარტნიორი უნივერსიტეტი) პროგრამის („მედიცინა + PBL“) შემუშავებაში დახმარებისთვის; თბილისში ახლად დაარსებული აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომამდელი სამედიცინო განათლების პროგრამის შემუშვებაში კონსულტირებისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო ასევე პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტში სამედიცინო განათლების ცენტრის (სგც) დაარსება, რომელიც პროცესის მნიშვნელოვანი ხელშემწყობია; მის მიზნებში მათ შორის შედის არსებული კურიკულუმების განახლება და ახალი კურიკულუმების შემუშავების ხელშეწყობა; დაინტერესებული თემატური ჯგუფების ზ/ა „თანამონაწილეობის უზრუნველყოფა“; სასწავლო პროგრამის შემუშავებისა და/ან ცვლილებების პროცესში დაინტერესებული აკადემიურ ჯგუფთა (ჩვენი უნივერსიტეტის და სხვა უნივერსიტეტების მაშტაბით)დახმარება, ახალ საგანმანათლებლო რესურსთა შექმნასა და/ან მიწოდებაში დახმარება, ა.შ. რაც ასევე საკითხთან მიმართებაში დტსუ-ში არსებული პოლიტიკის ნაწილია, მეტიც უნივერსიტეტის ყველა დოქტორანტისთვის პროგრამის სავალდებულო კურსია „პედაგოგიკა“, რომელიც განიხილავს, ასწავლის და აფასებს მათ სწორედ ამ საკითხში; ასევე უნივერსიტეტი აწვდის ტრენინგ კურსს „თანამედროვე სამედიცინო კურიკულუმი“ ყველა დაინტერესებულ პედაგოგს, პერსონალს, სტუდენტს; რაც უნივერსიტეტში არსებულ წესებთან და გამოცდილებასთან ერთად ხელს უწყობს აღნიშნული პოლიტიკის იმპლემენტაციას და განვითარებას.

ამგვარად, პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში „პროგრამის შემუშავების ჯგუფთან“ ერთად ჩართულია რექტორის საბჭო, აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმისა და შეფასების კომიტეტი; აგრეთვე სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები უპირატესად ჩართულნი ზემო აღნიშნულ სტრუქტურებში.

მნიშვნელოვანია, რომ დიპლომირებული მედიკოსის არსებული პროგრამა დტსუ-ში ფუნქციონირებს 1992 წლიდან, ხოლო 1997 წელს მასზე გაიცა საავტორო უფლება (№1-01/21-34) და მიენიჭა აკრედიტაცია(გადაწყვეტილება№341). აღნიშნულ პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით აღწერს თუ რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა ფასეულობები უნდა ჰქონდეს სასწავლებლის კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. რაც ასევე ასახულია პროგრამის მიზნის განაცხადსა და ამოცანებში (ფორმატის მოცულობის გათვალისწინებით). პროგრამა ასევე აღწერს კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებს; ახალი პროგრამა (დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ე-პდს) განხილულია ტემპუსის პროექტის ფარგლებში პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების (ინგლისი, საბერძნეთი, კვიპროსი, უკრაინა, ყაზახეთი) სამუშაო შეხვედრებზე, კოლეგებთან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის სამუშაო ჯგუფის წევრებთან, ასევე მოხსენებულია და

განხილულია საქართველოს სამედიცინო სპეციალობათა ასოციაციის სხდომაზე (დანართი #31).

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტად დამსაქმებელთა მოთხოვნების/სურვილების გათვალისწინება ითვლება. ასევე, ითვლება, რომ ეს აუმჯობესებს სასწავლო პროცესს და ზრდის შრომის ბაზრის მიმართ მის ადექვატურობას (დანართი #32). ავტორიტეტული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შრომის ბაზრის ყველა კვლევის მონაცემი (დანართი #32) აჩვენებს, რომ "უმნიშვნელოვანესი გამოწვევები არსებობს სამედიცინო კადრის კუთხით ("საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015წწ სახელმწიფო სტრატეგია". თავი 3.3.) აღიარებულია, რომ სულ უფრო მზარდი მოთხოვნაა მაღალი ხარისხის კადრზე, რომლის სწავლის შედეგებს აღიარებენ მათ შორის სხვა ქვეყნებშიც (დანართი #33).

აღსანიშნავია, რომ უს-ში არსებობს ამ საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერება, მეტიც როგორც ხუ-ის წინა წლების გამოკვლევები აჩვენებდა, არსებობს დტსუ-ს სასწავლო პროგრამის, მისი კურსების, საბოლოო შედეგების ფორმალური შესაბამისობა დიპლომირებული მედიკოსის როგორც ეროვნული, ასევე ევროპული დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნებთან. პროგრამა აკმაყოფილებს აშშ, ინგლისის და სხვა სარეზიდენტურო და პოსტდიპლომურ პროგრამებში ჩარიცხვის მოთხოვნებს. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ასევე ადასტურებს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების მაღალ კონკურენტუნარიანობას (დანართი #34).

დტსუ მუდმივად მუშაობს პროგრამების განვითარებაზე; შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

- ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთვრებული) გამოკითხვები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- პროგრამაში ჩართული პირების გამპკითხვის შედეგების ანალიზი
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი
- კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას და მათი შედეგების შემდგომ გამოყენებას პროგრამის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აწარმოებს სასწავლებლის ხუ სამსახური. იგი იყენებს ხარისხის შეფასების სათანადო (მათ შორის ზ/ა) ინსტრუმენტებს პროგრამის შემდეგი ასპექტების შესაფასებლად:

- დამსაქმებელთა მოთხოვნები;
- სწავლის მოსალოდნელი შედეგები;
- პროგრამის აღწერა;
- პროგრამის კურუკულუმის შინაარსი;
- პროგრამის ორგანიზაცია;
- სწავლების/სწავლის სტრატეგია,დიდაქტიკური კონცეფცია;
- სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- აკადემიური შტატის ხარისხი;
- დამხმარე შტატის ხარისხი;
- სტუდენტთა ხელშეწყობა და კონსულტირება;

- ინფრასტრუქტურა და გარემო;
- სტუდენტთა შეფასება (სტუდენტთა აზრის კვლევა);
- კურუკულუმის დიზაინი და შეფასება;
- შტატის განვითარების აქტივობები;
- კურსდამთავრებულთა მიღწევები.

სადოქტორო პროგრამის შეფასებისა და ანალიზისთვის ხუ სამსახური იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: სადოქტორო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესაფასებელი წინასწარი ექსპერტიზის დასკვნების ანალიზი; ასევე (i) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დოქტორანტისთვის შემუშავებული სპეციალური კითხვარი აკადემიური და საკვლევი გარემოს შესაფასებლად. (ii) დოქტორანტების ინდივიდუალური სამუშაო გეგმების ანალიზი. (iii) დიპლომამდელ სასწავლო-კვლევით პროცესში სტუდენტთა სამეცნიერო ტუტორობის ფარგლებში დოქტორანტთა შეფასება სტუდენტთა კომპლექსური გამოკითხვის საფუძველზე. (iv) დიპლომამდელ სასწავლო პროცესში პედაგოგიური დატვირთვის ფარგლებში დოქტორანტთა აკდემიური მზადების ხარისხის შეფასება სტუდენტთა კომპლექსური გამოკითხვის საფუძველზე. (v) პროგრამის სავალდებულო თეორიული მოდულის სასწავლო კურსების შეფასება. (vi) სტრუქტურირებული არჩევითი კუსების მოდულის სასწავლო კურსების შეფასება.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განვითარებაზე შესაძლებლობების განსაზღვრაზე ზრუნავს კურიკულუმის კომიტეტი და დტსუ სამედიცინო განათლების ცენტრი (სგც). საანგარიშო პერიოდში, გარდა ახალი დმ ე-პდს პროგრამის შემუშავებისა მათი ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა კურიკულუმის საბაზისო ეტაპის სწავლების სასწავლო მოდულებისა და კურსების რევიზირება დისციპლინარული მიდგომით (დანართი #35-ში სგც-ს ანგარიში 2).

შეხვედრებს ჰქონდა ფორმირებული დღის წესრიგი ფაცილიტატორით (კითხვებისა და დისკუსიის სტიმულირებისთვის), მდივნით (ფოკუს ჯგუფის მოსაზრებებისა და მოთხოვნების ანგარიშსა და სამოქმედო გეგმაში „დასაფიქსირებლად“), რამაც ვორქშოფებისათვის ასევე ზოგადად ლიმიტირებული დროის (60-დან 120 წუთამდე) ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა შექმნა. ჯგუფი ჰომოგენური იყო დისციპლინარული თვალსაზრისით, ამასთან ჩართული იყვნენ სტუდენტებიც და ადმინისტრაციის წევრებიც.

მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო, რომ ჯგუფს სხვადასხვა სტატუსის მონაწილენი ჰყავდა, მაგალითად ახალგაზრდა და გამოცდილი პედაგოგები, დეკანი, კოორდინატორი, სტუდენტები. მონაწილეთა რიცხვი საკმარისი იყო (7-დან 15-მდე) მოსაზრებების საკმაოდ ფართო ჩამონათვლის მისაღებად და ამავდროულად დისკუსიისთვის უაღრესად მოხერხებული, რაც ყველას აძლევდა საუბრის შანსს.

სამუშო შეხვედრებმა საშუალება მოგვცა სწორი დაგეგმვის (ნახევრად-სტრუქტურირებული გამოკითხვა; სტუდენტთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის მონაწილეობა) და შეხვედრების სწორი ორგანიზების (ფორმა, ა. შ.) მეშვეობით მიგვეღო ხარისხობრივი უკუკავშირი პროგრამის დიზაინსა, სწავლასა და სწავლების ხარისხის საკითხებზე. მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილი უკვე იმპლემენტირებულია, მუშაობა გრძელდება; დაგეგმილია კურიკულუმის კლინიკური და პრაქტიკის (მეექვსე კურსი) სასწავლო პროგრამებში რევიზირებისთვის შესაბამისი ფორმატის განსაზღვრა და ჩატარება.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა „მონახა“ ახალი საერთაშორისო პარტნიორი (EBMA-

European Board of Medical Assessors), რომელთა თანამშრომლობამ მას შესაძლებლობა მისცა მათ შორის საკუთარი პროგრამის შეფასების. უნივერსიტეტის სტუდენტებმა (100 სტუდენტი) მაასტრიხტის უნივერსიტეტის მიერ online რეჟიმში მოწოდებული ე. წ. პროგრეს-ტესტი წერეს, რომელიც გარდა სტუდენტთა ინდივიდუალური შეფასებისა, იძლევა პროგრამის „პრობლემური“ არეების გამოვლენის შესაძლებლობას. ტესტის პილოტირება ჩატარებულია, „პრობლემური“ მოდულების განხილვაზე მუშაობა დაწყებულია. დტსუ ამ ფორმატის (EBMA) მონაწილეა და მასთან მუდმივი თანამშრომლობის რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას; თანამშრომლობის შედეგებს გამოიყენებს მათ შორის პროგრამათა გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის განვითარების საკითხში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა კვლევით და პროფესიული უნარ-ჩვევების კომპეტენციებზე ფოკუსირებას. ამ საკითხში უნივერსიტეტმა გამოიყენა როგორც საკუთარი აკადემიური პერსონალის ინიციატივები, საკუთარი და საერთაშორისო კვლევათა ანალიზის, ასევე საერთაშორისო პროექტებით მიცემული შესაძლებლობები; კერძოდ, სტუდენტების მიერ საკუთარი კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების ნაწილში. ამასთან, ეს არ არის მხოლოდ „დაფინანსების“ საკითხებთან ბმაში (საყოველთაოდ და საერთაშორისოდ აღიარებული პრობლემა, ასევე „გასაგები“ ჩვენ პირობებში მყოფი ქვეყნებისთვის), არამედ (i) რიგი საჭირო სტრუქტურების, სადისკუსიო ფორმატების, თანამშრომლობის (პედაგოგი-სტუდენტი-ადმინისტრაცია) „სუსტ“ განვითარებასთან და (ii) კიდევ უფრო მეტად სტუდენტების მხრივ „სწორი“ საკვლევი იდეის ფორმულირების და პროექტის გეგმის შემუშავებასთან. პირველი (i) მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და მართვის ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „მეცნიერებაზე დაფუძნებული სწავლების საუნივერსიტეტო კონცეფცია“, რომლის დანერგვაზე კვლავაც გრძელდება მუშაობა (დანართი #36).

პროგრამებში კვლევითი კომპონენტის „გაძლიერების“ მიზნებისთვის შეიქმნა და დაინერგა დმ-ისა და სადოქტორო პროგრამებში კურსი „Successful Project Development“ (პროექტის წარმატებით შემუშავების კურსი), ტემპუსის პროექტის “Project Actors Capacity Training in Caucasus“ ფარგლებში. კურსისთვის შექმნილია სახელმძღვანელოები:

- “Project Writing and Design” (ინგლისური და ქართული ვერსიები)
- „A guide – Research proposal made easy”
- “PACT project’s interactive online platform usage and administration guide”

სასწავლო კურსი ამჟამად მოიაზრებს 4 ნაწილს: სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1 - რევიზირებულია, პრაქტიკული მუშაობის ნაწილში „ჯორნალ ქლაბის“ ფორმატში; სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 2 - რევიზირებულია, პრაქტიკული მუშაობის ნაწილში ჯორნალ ქლაბის ფორმატში; სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 3 - ფოკუსირებულია კვლევის ეთიკის საკითხებზე და ცვლილება განიცადა მხოლოდ ანტიპლაგიარიზმის სისტემის ტექნიკური გამოყენების სწავლების ნაწილში; 4. სამეცნიერო პროექტების წერა - შემუშავებულია PACT-ის ფარგლებში (დანართი #31: სილაბუსები).

ამასთან „ჯორნალ ქლაბის“ ფორმატში სტუდენტთა აქტიური ჩართულობის, დროის და ფორმატის მენეჯმენტის გაიოლების მიზნებისთვის შექმნილია ჩართულ სტუდენტთათვის სასარგებლო ორი სახელმძღვანელო: „ჯორნალ ქლაბში მოხსენებისა და დისკუსიისთვის“და „დასკვნის (ერთგვერდიანი) ნიმუში სტატიის კრიტიკულ მიმოხილვაზე“; ასევე შემუშავდა

ტუტორთა (სამეცნიერო ტუტორი) მომზადებისთვის სილაბუსი: „ჯორნალ ქლაბის ფორმატში სამეცნიერო სემინარის წარმართვა“ (დანართი #37).

კურსის განვითარების მიზნით ჩატარებული სამუშაო, რევიზირებული სამეცნიერო კურსები, მისი ეფექტური ჩატარებისთვის სტუდენტთა დამხმარე საინფორმაციო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ტუტორთა მომზადების კურსი დადებითად შეფასდა კურიკულუმის კომიტეტსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ; პილოტირება მოხდება 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან;

დარგობრივ-სპეციფიკური და პროფესიულ უნარებში კვლევა და პროგრამის განვითარების საკითხი (კლინიკური უნარები) გულისხმობს საანგარიშო პერიოდში იმპლემენტირებული “კლინიკური უნარჩვევების კურსი N5 (CS – Clinical Skills N5)” მონიტორინგსა და შეფასებას. კურსი გაიარა დტსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის 6 ჯგუფმა. გამოკითხვა ჩატარდა 2014-2015 სასწ. წ.-ის მეექვსე კურსის 2 ჯგუფში და 2015-2016 სასწ. წლის მეექვსე კურსის 4 ჯგუფში. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტები კურსს მაღალ შეფასებას აძლევენ; და ითხოვენ მის ჩართვას სწავლების ადრეულ (პრეკლინიკურ) ეტაპზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაბამისი სტრუქტურებისთვის სათანადო რეკომენდაციები შეიმუშავა. შემუშავდა კურსი პრეკლინიკური ეტაპის მოდულებისთვის, პილოტირება დაწყებულია სწავლების III სემესტრიდან; ახალი კურსის შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები დადებითია (დანართი #35-ში CS-ს ანგარიში 3).

ბოლო რამოდენიმე წელია სტუდენტთა აზრის კვლევა „სად“ და „რა დონეზე“ ეუფლებიან დმ პროგრამის სტუდენტები ღირებულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს; კვლევის შედეგების მიხედვით დაიგეგმა დმ-ის პროგრამის რევიზირების „სამიზნეთა“ ნაწილი. ჩატარდა შეხვედრები პროგრამის საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების აკადემიურ პერსონალსა, ადმინისტრაციასა და სტუდენტების მონაწილეობით (იხ. ზემოთ „კურიკულუმის რევიზირება“; ასევე დანართი #35-ის 2);

ჩატარდა პროფესიონალიზმის ცნებასთან ასოცირებული ქცევებისა და მახასიათებლების სისტემატიზაციის პირველი კვლევა; იგი გულისხმობდა პრაქტიკოსი ექიმების აზრის კვლევას და სამიზნე აუდიტორიისგან მოითხოვდა, პროფესიონალიზმის მახასიათებლების (85 ელემენტი) შეფასებას; პროფესიული ქცევის და ვალდებულებების ტიპებსა და სიტუაციურ ამოცანებზე პასუხს; და ასევე პროფესიული განვითარების, ქცევითი გამოცდილების, სამედიცინო შეცდომებზე რეაგირების, ა. შ. საკითხებში მათი გამოცდილების შესახებ კვლევას. იგი (კვლევა) გრძელდება რესპოდენტთა რიცხვის გაზრდის აუცილებლობის გამო (ამჟამად 31 რესპოდენტია), თუმცა ამ ეტაპზე უკვე დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს პროფესიული იდენტობის განვითარების მიზნით სტრატეგიის შემუშავების და კვლევების გაგრძელების აუცილებლობა (დანართი #35-ის 6).

2016-2017 სასწავლო წლის I სემესტრიდან PBL-ტუტორების მიერ შემუშავდა სპეციალური ფორმები სტუდენტთა მიერ ჯგუფში მუშაობისას თვით- და ურთიერთ-შეფასებისთვის; კვლევის პირველადი შედეგები უმნიშვნელოვანესი იყო ჩართული და ასევე დანარჩენი აკადემიური შტატისთვის, გაეაზრებინა PBL ფორმატში სტუდენტთა მუშაობის რიგი, მათ შორის მომავალ ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი (საკუთარი შესაძლებლობების და პროგრესის თვითშეფასება) საკითხები; კვლევები მნიშვნელოვანია მათ შორის ახალი გადამუშავებული ეროვნული დარგობრივი დოკუმენტის კონტექსტში; რომელიც

ამჟამად ითვალისწინებს პროფესიონალიზმის სწავლების და შეფასების მოთხოვნას დიპლომამდელი განათლების პროგრამებში (დანართი #21).

სგც მათ შორის უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრთათვის არის ის ადგილი, სადაც ხდება მათი მონაწილეობით ახალი საგანმანათლებლო რესურსების „გატესტვა“, პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობათა განსჯა ადაპტაციის შესაძლებლობისა და/ან პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა პროგრესისთვის სარგებლის ანალიზის მიზნით, მაგ: სტანდარტიზირებული პაციენტი (დანართი #35-ის 4), სამგანზომილებიანი ანატომიის ატლასი.

ამგვარად, პროგრამების განვითარებას და შესაბამისობას მუდმივად ცვლად გარემოსთან უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და საკუთარ კვლევის შედეგებზე დაფუძნებით; რაც იძლევა სწორი ცვლილებების და განვითარებისთვის „სწორი სამიზნეების“ განსაზღვრის საშუალებას; ხელს უწყობს მიზნის შესაბამისი პროცესებით და აქტივობებით (სამუშაო შეხვედრები, ფინანსური ხელშეწყობა, ტრენინგი, ურთიერთსწავლება, პედაგოგთა, სტუდენტთა და ადმინისტრაციის ჩართულობა) მათ პროგრამულ იმპლემენტაციას.

უნივერსიტეტში მოქმედი კანონმდებლობით ხორციელდება პროგრამების დამტკიცების მათში ცვლილებების შეტანა და გაუქმება. პროგრამათა ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტებისთვის შესაბამისი პროცესითა და პროცედურებით: პროგრამათა ინიცირების და/ან ცვლილებების დაგეგმვა/დამტკიცება; საგანმანათლებლო პროგრამათა შეფასება და განვითარება. პროცესებში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრები (პედაგოგები და სტუდენტები), სხვადასხვა სტრუქტურები, სპეციალური (კონკრეტული ამოცანის შექმნილი შესრულებისთვის) სამიზნე ჯგუფები; სგც, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ორგანოები (დანართი #30).

უნივერსიტეტში მოქმედებს დმ-ის ორი საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტებს აქვთ მათ შორის ერთერთი მათგანის, ასევე სურვილის ან საჭიროების (პროგრამის შეცვლა/გაუქმება) შემთხვევაში მეორეზე გადასვლის უფლება. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გადავიდნენ სხვა უნივერსიტეტში დმ-ის პროგრამებზე (ამჟამად საქართველოში ასეთი 24 პროგრამა მიმდინარეობს), რისთვისაც ისინი შეუფერხებლად იღებენ დტსუ-ში საკუთრი აკადემიური მოსწრების შესახებ ტრანსკრიპტსა და ყველა საჭირო დოკუმენტს, ცნობას, ა. შ. რომელსაც ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა და მიმღები უნივერსიტეტის წესები(დანართი #38).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პროგრამების დაგეგმვის, შემუშვების, განხორციელების და განვითარების პოლიტიკა (დანართი #29)
2. სამედიცინო დარგისთვის ღირებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების
3. შესახებ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი (დანართი #32)
4. პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმბის პროცედურები (დანართი #30)
5. საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები (დანართი #31)
6. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ (მათ, შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით (დანართი #34)
7. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

პროგრამების განვითარების მიზნით, და შედეგების გამოყენების ანგარიში (დანართი #35) 8. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი #33) 9. მეცნიერებაზე დაფუძვნებული სწავლების საუნივერსიტეტო კონცეფციის შემუშავება (დანართი #36) 10. სამეცნიერო ტუტორთა მომზადების სილაბუსი (დანართი #37) 11. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი #38)
3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
აღწერა და შეფასება დტსუ-ში ამჟამად ფუნქციონირებს სამი საგანმანათლებლო პროგრამა. ორი დიპლომირებული მედიკოსის და ასევე ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო პროგრამა. სამივე პროგრამა დამტკიცებულია შიდა ინსტიტუციური წესების მიხედვით და აკრედიტირებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამები (დოკუმენტები) აღწერილია უნივერსიტეტში მიღებული სტანდარტული ფორმით, რომელშიც ასახულია სწავლების ენა, პროგრამის მიზანი, ამოცანები, დასაქმების სფეროები, სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა, საერთო (საშუალო) წლიური/სემესტრული დატვირთვა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები (გაწერილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით და უნარებით) და აღწერილია შეფასების სისტემა. **დმ-ის საგანმანათლებლო პროგრამები** დმ-ის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტი მიზნად ისახავს, კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას. კომპეტენციები სასწავლო გეგმის კონტექსტში აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება. სწავლების/სწავლის ფორმები საგნობრივ-სპეციფიკურია, შეფასების მეთოდები კი სწავლების/სწავლის ფორმების შესაბამისი. კურიკულუმის საგნების 95% სავალდებულოა და ემსახურება დასახული მიზნების მიღწევას შესაბამისი კომპეტენციების უზრუნველყოფით. პროგრამა ელექტიურ სასწავლო კურსებს ითვალისწინებს მხოლოდ 11 კრედიტის ოდენობით. ამასთან, არსებობს საბაზისო და სპეციალურ კურსებს შორის კავშირი. ამ მხრივ პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მე-6 კურსის პროგრამაში გათვალისწინებული არჩევანი (1თვე), რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს თავისი სურვილის/არჩევანის შესაბამისად სასწავლებელთან ერთად დაგეგმოს სასწავლო კურსი და გაიაროს ის კლინიკური სასწავლო ბაზების არჩევანის გამჭვირვალობით. სწავლების 6 წლიანი პერიოდი მოიცავს 3 ეტაპს: I - საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსი; II - კლინიკური მედიცინის კურსი; III – ზოგადი სპეციალიზაციის კურსი. პროგრამა წარმოადგენს ინტეგრირებულ სასწავლო კურსს (საბაზისო დონეზე

ჰორიზონტალური ინტეგრაცია ვერტიკალური ინტეგრაციის ელემენტებით; შეფასების სისტემაში ამგვარი ინტეგრაცია ასახულია; არსებობს კავშირი სწავლის ეტაპებს შორის), რაც ნიშნავს, რომ ერთი სასწავლო კურსი თუ დისციპლინა ემსახურება სხვა კურსით/დისციპლინის მიღებული ცოდნის გამყარებას და ასევე იგი ასახავს კურსების მრავალფეროვნებას და სიღრმეს; ასევე სწავლების საფეხურები იმგვარადაა ორგანიზებული, რომ საბაზისო კურსი საფუძველს უქმნის სწავლების შემდეგ ეტაპს (კლინიკური მედიცინის კურსი), ორივე კი შემდგომ ზოგადი სპეციალიზაციის კურსს და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციისთვის სათანადო ცოდნის, უნარ/ჩვევების მიღწევას (განსაზღვრულს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და დარგობრივი დოკუმენტით).

I კურსზე საგნის ზოგადი ნაწილის გარდა შეისწავლება მასალა, რომელიც II კურსზე ადამიანის ორგანოთა სისტემების შესწავლისთვის საფუძველს წარმოადგენს; II კურსიდან საბაზისო მედიცინის სწავლება ჰორიზონტალურადაა ინტეგრირებული, დაკავშირებულია შინაგან სნეულებათა პროპედევტიკისა და ფარმაკოლოგიის სწავლებასთან (ვერტიკალური სწავლების ელემენტი) და ქმნის ორგანოთა სისტემების მოდულებს: სისტემის სწავლება იწყება ემბრიოლოგიით, შემადგენელ ორგანოთა სტრუქტურა მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ დონეებზე; ნორმალური ფუნქციონირების კონონზომიერებანი, შემდეგ შესასწავლი სისტემის დაავადებათა ეტიოლოგია და პათოგენეზი, პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასება, დაავადებათა ტიპიური ფორმების კლინიკური სურათი, დიაგნოსტიკა და სამკურნალო საშუალებები. კლინიკური კურსები ისწავლება ეტაპობრივად, მაგ: შინაგანი სნეულებების სწავლება ღრმავდება ვერტიკალურად ქვემოდან ზემოთ: პროპედევტიკა (II–III კ), კერძო პათოლოგია (III–IV კ), შინაგან სნეულებათა დიფდიაგნოსტიკა, მკურნალობა (V კ), სინდრომული დიფდიაგნოსტიკა და ურგენტული თერაპია (VI კ) (დანართი #31: დმ პროგრამა და სილაბუსები).

დმ ე-პდს პროგრამაში თითოეულ ზემოაღნიშნულ მოდულში სწავლება შეთავაზებულია მოდულში ე.წ. PBL-კვირეების ჩართვით, რაც შესასწავლი მასალის (ფუნდამენტური და კლინიკური მეცნიერებები) ფოკუსირებას ზრდის საკითხის კლინიკურ მნიშვნელობასა და პაციენტის სარგებელზე. III კურსის (VI სემესტრი) ორგანიზებულია საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებათა ინტერდისციპლინური სწავლების (ადამიანის ორგანიზმის უმთავრეს ფუნქციებზე დაფუძვნებით) კურსის ფორმით და შემდგომი, კლინიკური ეტაპის სწავლებისთვის მზადების ეტაპია. აღნიშნული კურსიც ორგანიზებულია PBL-კვირეების ირგვლივ (და გამოყენებით).

სწავლების ამ ფაზის ამოცანებია კურიკულუმის (მისი საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებათა ეტაპის) ძირითადი არეების დაფარვა, უმთავრესად მოდულარული მიდგომით; მისი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობასა და დაავადებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს (საბაზისო) საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის სტრუქტურა, ფუნქცია, სიცოცხლის ციკლი და მისი ხელშეწყობა, სიცოცხლის შენარჩუნება და დაცვა გაცნობიერებაზე ფოკუსირება. სწავლება მიმდინარეობს ძირითადად მოდულარული მიდგომით და PBL-ის გამოყენებით და მოიცავს შემდეგ 6 მოდულს: სიცოცხლის ციკლი, სიცოცხლის დაცვა, სიცოცხლის ხელშეწყობა, სიცოცხლის შენარჩუნება, სიცოცხლის სტრუქტურა, სიცოცხლის კონტროლი, რაც შემდგომ კლინიკური მედიცინის (მეოთხე-მეხუთე კურსი) და ზოგადი სპეციალიზაციით (მეექვსე კურსი) გრძელდება (დანართი #31: დმ ე-პდს პროგრამა და

სილაბუსები).

დმ საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი ხარისხი და კვალიფიკაციის დონე შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფილია: 1. საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთ საფეხურიანი, ინტეგრირებული. არანაკლებ 360 კრედიტი (დმ - 360 კრედიტი; დმ ე-პდს 376 კრედიტი; კრედიტების უმრავლელობა 30 სთ: 16 სთ საკონტაქტო მუშაობით); 2.პროგრამები (პროგრამის შინაარსი, სასწავლო კურსების შინაარსისა და მოცულობის ჩათვლით, პროგრამათა ორგანიზაციული სტრუქტურა, სწავლებისა და სწავლის ფორმები და მეთოდები) მიმართულია სამედიცინო საქმისათვის განსაზღვრული სწავლის დარგობრივი შედეგების გამომუშავებაზე, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურს; 3. გარდა დარგობრივი შედეგებისა პროგრამა უზრუნველყოფს ზოგად ტრანსფერული უნარების შესაბამის დონეზე (მაგისტრის დონის შესაბამის) მიღწევას, რაც ასახულია პროგრამაში ყოველი სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებში და კომპეტენციების მატრიცაში.

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტების თანახმად, ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის საბაზისო სამედიცინო განათლების კომპეტენციები უნდა განისაზღვროს ტუნინგის პროექტით მოწოდებული კომპეტენციების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. დარგისათვის შესაბამისი კომპეტენტურობა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა:

- ცოდნა და გაცნობიერება საბაზისო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების, მათ შორის, სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებული ისეთი სფეროების, როგორიცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სამედიცინო ეთიკა;
- კლინიკურ და სხვა უნარებს დაკავშირებულს დიაგნოზის დასმასთან, პრაქტიკულ პროცედურებთან, კომუნიკაციებთან, დაავადებათა მკურნალობასა და პროფილაქტიკასთან, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და რეაბილიტაციის საკითხებთან, კლინიკურ აზროვნებასთან, პრობლემის გადაჭრასთან და სხვა;
- სიცოცხლის განმავლობაში სწავლის და პროფესიული კვალიფიკაციის ზრდის შესაძლებლობას;
- შესაბამისად, ქვეყნის ჯანდაცვის მოთხოვნებსა და სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძვნებით დტსუ-მ თავისი კურსდამთავრებულებისათვის განსაზღვრა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგები დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით აღწერს თუ რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა ფასეულობები უნდა ჰქონდეს დტსუ-ს კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ.

შესაბამისობა უზრუნველყოფილია:

- დარგობრივი (მედიცინა) დოკუმენტით განსაზღვრულ კომპეტენციებთან [ასევე შესაბამისია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებთან] პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობით: ა)პროგრამის სასწავლო კურსები (თემები) დარგობრივი დოკუმენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევი, დარგობრივი ცოდნისა და დარგობრივი უნარების (პირველი დონის/ძირითადი

კომპეტენციები) შესაბამისია; ბ) სწავლების/სწავლის და შეფასების თვალსაზრისით პროგრამა დარგობრივი დოკუმენტის სწავლის შედეგების ძირითადი კომპეტენციების მახასიათებლების (მეორე დონის კომპეტენციები) შესაბამისია.

- დოკუმენტის დანართში მოცემული კურსდამთავრებულის თეორიული ცოდნის მინიმალურ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსებთან საგნობრივად და შინაარსობრივად შესაბამისია.
- დარგობრივი დოკუმენტი ითვალისწინებს ინტეგრირებული კურიკულუმის 11 საფეხურიანი სკალის მინიმუმ მე-2 საფეხურს: პროგრამა ამ თვალსაზრისით გაცილებით მაღალ საფეხურზეა.
- პროგრამებში გათვალისწინებულია სამეცნიერო უნარჩვევების კურსი 10 კრედიტის მოცულობით.

სადოქტორო პროგრამა ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში

პროგრამის მიზანია - ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში შემდგომი დამოუკიდებელი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ინტეგრირებული სწავლება ცალკეულ საკვლევ მიმართულებებში სიღრმისეული შემეცნების უზრუნველყოფით (დანართი #31: სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები).

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის დონესთან/კვალიფიკაციასთან და აღწერილია დარგობრივი კომპეტენციებით, ასევე ზოგად/ტრანსფერული და პერსონალურ/ტრანსფერული უნარებით; დისერტაციის დაცვით ხდება ამ უნარებში სტუდენტთა პროგრესის საბოლოო შეფასება და კრედიტების აღიარება.

პროგრამა 3 წლიანია და გულისხმობს ჯამში 180 კრედიტის შესრულებას. აქედან, 150 კრედიტი ეთმობა სამეცნიერო კომპონენტს, რომელიც სრულდება სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის (დისერტაციის) დაცვით.

სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს:

- თანამედროვე ბიბლიოგრაფიისა და გამოქვეყნებული მასალების სრულყოფილ მიმოხილვას
- საკვლევი მასალების შეგროვებას
- სხვადასხვა თანამედროვე სამეცნიერო წყაროების და მუშავებას
- მონაცემთაანალიზსადაშედეგებისგანხილვას
- სტატიებისადადისერტაციისთავებისგაფორმებას
- დისერტაციის საბოლოო სახით მომზადებას და მის დაცვას.

დისერტაციის დაცვაზე გატანის აუცილებელი წინაპირობაა სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებებისთვის არსებითი მნიშვნელობის თეორიული, ექსპერიმენტული ან კლინიკური შედეგების არსებობა და სხვადასხვა სასწავლო კურსებისა და აქტივობების შემცველი 30 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კომპონენტის შესრულება. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შედეგად დოქტორანტს ენიჭება მედიცინის ან ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პროგრამული დარგობრივი სწავლება ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას და მოიცავს ისეთ სამეცნიერო პრობლემატიკას, როგორიცაა: ნორმისა და პათოლოგიის სტრუქტურული და ფუნქციური ბაზისი, დაავადებათა მართვის სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორები და უმაღლესი სამედიცინო განათლების პროფესიონალიზაცია.

სასწავლო კომპონენტის გეგმა დგება დოქტორანტის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით. დოქტორანტი, ძირითად სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადოქტორო კომიტეტთან შეთანხმებით, ადგენს ზოგადი სასწავლო კურსების კრედიტების შესრულების გეგმას.

ზოგადი სასწავლო კურსებია:

- ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა - 5 კრედიტი;
- სამეცნიერო კვლევის პროცესი და ტექნოლოგიები - 2 კრედიტი;
- ბიოეთიკა - 2 კრედიტი;
- პედაგოგიკა - 3 კრედიტი;
- ფსიქოლოგია - 3 კრედიტი;

საკუთარი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით და ძირითად სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით დოქტორანტი ანაწილებს და გეგმავს დარგობრივი სასწავლო კურსების კრედიტების (ჯამში 15 კრედიტი) შესრულებას შემდეგი არჩევანის საფუძველზე:

- დოქტორანტურის სამეცნიერო კვლევის მიმართულების მიხედვით, რაც ძირითადად გულისხმობს აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე გამართულ ლექცია-სემინარებში მონაწილეობას;
- დოქტორანტის სადისერტაციო კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც ემსახურება მის საკვლევ პროექტში დაგეგმილი კვლევის თანამედროვე მეთოდების სიღრმისეულ შესწავლას (მაგ: ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, ჰისტოქიმიური და ა. შ.);
- დარგობრივი მიმართულების (მაგ: კარდიოლოგია, მეანობა და ა.შ,) მიხედვით, რაც მოიაზრებს სამეცნიერო თვალსაზრისით აქტუალურ საკითხებზე ლექცია-სემინარულ მუშაობას (ამ კურსის ფარგლებში სავალდებულოა, საკვლევი პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, ძირითადი ხელმძღვანელის რეკომენდაციით სადოქტორო კომიტეტის მიერ წინდაწინ დადგენილი დარგობრივი კრედიტების შესრულება, თუმცა შესაძლებელია, აგრეთვე, მომიჯნავე ან სხვა მიმართულებით დამატებითი კრედიტების გავლაც), დიპლომამდელი განათლების სასწავლო კურსის სწავლებაში მონაწილეობას და სტუდენტთა სამეცნიერო სასწავლო ჯგუფის ტუტორობას.

სამეცნიერო კომპონენტის გეგმა დგება ძირითადი სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით და იგი მოიცავს:

- კალენდარული გეგმის მიხედვით გაწერილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო - საკვლევი მასალის შეგროვებას, საკვლევი მეთოდის მზადებას, მონაცემთა შეკრებას, ეტაპობრივ დამუშავებას და სხვ.;
- სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას და მათ რეფერატულ მიმოხილვას (რაოდენობის მითითებით), რეფერატების სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ შემოწმებას და შეფასებას;
- საუნივერსიტეტო, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და სადისერტაციო თემაზე სამეცნიერო მოხსენებების გაკეთებას.

მნიშვნელოვანია, რომ რევიზირდა და განახლდა კვლევითი პროექტის განაცხადის (სადოქტორო პროექტის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული) მიხედვით სტუდენტის საკუთარი კვლევითი პროექტის შედგენისა და წარდგენის სახელმძღვანელო. ასევე შეიქმნა სამეცნიერო კონსულტირების ცენტრი, რომლის მიზნებია ინდივიდუალური კონსულტირების

გზით და საჭიროებისამებრ:

- გაუწიოს კონსულტირება მკვლევარს კვლევის დიზაინის, შენარჩევის ზომის და სტატისტიკური ანალიზის განხორციელებაში;
- peer-review ჟურნალში გამოქვეყნებაში;
- კონსულტირება ლიტერატურული ძიების წარმართვის წესის შესახებ;
- კონსულტირება პრეზენტაციის მეთოდებზე, ხერხებსა და საშუალებებზე.

ცენტრი ეხმარება დოქტორანტებს (ასევე დიპლომირებული მედიკოსის სტუდენტებს) მეთოდოლოგიურად სწორად „დალაგებული“ (სწორი სტატისტიკური ანალიზის მიზნებისთვის) კვლევითი პროექტების წერაში, რისთვისაც რიგშემთხვევაში საკმარისი არ არის „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა“ სასწავლო კურსი, რომელიც დტსუ სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ჩამონათვალშიც შედის. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ცენტრის მიერ ხორციელდება სწორედ ინდივიდუალური კონსულტაცია პრინციპით: „სტუდენტი იღებს რჩევებს და თვითონ აკეთებს“.

სტუდენტი იღებს სასწავლო სასწავლო პროცესის დაგეგმვის და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. კერძოდ, სტუდენტთა პრობლემებზე უკეთ ფოკუსირებისათვის, ასევე სასწავლებელში მიმდინარე ცვლილებებში მათი აზრის გათვალისწინებებისა და მათი ინფორმირებულების გაზრდის მიზნით ისინი (სტუდენტთა წარმომადგენლები) ჩართულნი არიან რექტორატის საბჭოს ასევე ხუ-ის სამსახურის მუშაობაში. აგრეთვე სასწავლებელში ფუნქციონირებს სტუდენტთა თანადგომის ცენტრი, რომელიც ადმინისტრაციული თანადგომის ფარგლებში: უზრუნველყოფს ყველა პირველკურსელთან, მობილობით გადმოსულ სტუდენტებთან სასწავლებლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესის, ასევე სასწავლებლის სტრუქტურული ქვედანაყოფების და ცხრილის გაცნობას. იურისტი უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვას, საჭიროების შემთხვევაში გაუწევს სამართლებრივ კონსულტაციებს და ახსნა განმარტებებს სტუდენტურ მარეგულირებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით.

უს-ის ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო განრიგი, ჩათვლების, ქვიზების, გამოცდების, აღდგენების და გადაბარების თარიღები და სხვა. სტუდენტის გვერდზე განთავსებულია თითოეული სტუდენტის ჩათვლის წიგნაკის (მატრიკულის) ელექტრონული ვერსია. ინფორმაცია კონფიდენციალურია, ხელმისაწვდომია მხოლოდ მოცემული სტუდენტისათვის; შესაბამისად იგი მუდმივად ინფორმირებულია თავისი სწავლის შედეგებზე, პრობლემებზე, რომელთა გამოსწორება მართებს. სტუდენტთა თანადგომის ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტების კონსულტაციებს არსებული შეფასების სისტემის საკითხებზე, აგრეთვე, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობით რჩევების მიცემას გავლილი მასალის თემების, საჭირო ლიტერატურის და სხვა მსგავს საკითხებზე. სასწავლო დეპარტამენტის ინსპექტორი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სტუდენტთა დახმარებას თანატოლთა თანადგომის სასწავლო ცენტრის მეშვეობით.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის მუშაობის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც ასევე გულისხმობს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევაში ჩართვას და მათ ხელმძღვანელობას.

სტუდენტი დეკანის სახელზე წერს განცხადებას, ითხოვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და განცხადებაში აფიქსირებს იმ სასწავლო კურსებს, რომლის დამატებით

ათვისება სურს სტუდენტს; და/ან - სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის სურვილს, დგება მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და აკადემიური კალენდარი (დანართი #39; 40).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები (დანართი #31)
2. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი #39)
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი #40)

3.3. სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი #39; 31) გამოიყენება დმ-ის პროგრამის ყველა საგანსა (კურსს, მოდულს) და სწავლების ყველა ეტაპისთვის. სწავლება პროგრამის უმრავლესი მოდულის სასწავლო კურსებში მიმდინარეობს კურაციული წესით; მეცადინეობები ტარდება ყოველდღიურად გარდა კვირისა; სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს საშუალოდ 60 კრედიტს. ასევე შესაძლებელია სასწავლო დატვირთვის გაზრდაც, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში; სასწავლო კურსების უმრავლესობაში 1 კრედიტი 30 სთ-იანი დატვირთვის ექვივალენტურია, სადაც 16 სთ საკონტაქტო და 14 სთ სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაო დატვირთვაა. მოდულში შემავალი ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს გარკვეული (შესაბამისი) ცოდნისა და კომპეტენციების ყოველდღიურ გამომუშვებას; რაც შესაბამისი შეფასებით (მიმდინარე) მტკიცდება; მოდულის დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა მიმდინარე შეფასებაში (შეფასების კომპონენტებში) დადებითი (როგორც მინიმუმ შეფასება „E") ნიშნის მიღება; მოდულში დასკვნითი გამოცდის ჩაბარების უფლება სტუდენტს ეძლევა სემესტრში 2-ჯერ: მოდულის „ჩაბარების" და/ან „გადაბარების" დღე წინასწარ (სემესტრის დაწყებამდე) დადგენილია ცხრილით. ცხრილით მიმდინარე (დადგენილ/გაწერილ) მოდულებში სწავლება და შეფასება მთავრდება სემესტრში (იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანება უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ) სასწავლო და საგამოცდო ცხრილს ადგენს და აქვეყნებს სასწავლო დეპარტამენტი: დასკვნითი გამოცდების თარიღი არ იცვლება, ცვლილება შესაძლებელია გამონაკლისის სახით დეკანის მიერ (არსებითი ხასიათის მიზეზის გათვალისწინებით).

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამები პირობითად დაყოფილია სამ ეტაპად:
I - თეორიული (საბაზისო) მედიცინის კურსი;
II - კლინიკური მედიცინის კურსი;
III - ზოგადი სპეციალიზაციის კურსი.

I ეტაპზე „თეორიული (საბაზისო) მედიცინის კურსში" სწავლება/სწავლა/შეფასებაში მაღალია საკლასო/ლაბორატორიული/ვირტუალური სწავლების და სწავლის ფორმატი დაფუძნებული ადამიანის ჯანმრთელობასა და პათოლოგიურ მდგომარეობებთან ასოცირებულ საკითხთა და მაგალითთა (კლინიკური მნიშვნელობის გაცნობიერების ღირებული მაგალითი, სამედიცინო პრობლემის იდენტიფიკაცია და გადაჭრა, კლინიკური შემთხვევა და სცენარი, ა. შ.) გაცნობიერებაზე; კლინიკური შემთხვევის განსჯასა და პაციენტთან კომუნიკაციისთვის სწორი მიდგომებისა და უნარების გამომუშავების დაწყებაზე, მათ შორის სიმულირებულ პაციენტთან;

ამასთან, აქ ასევე ჩართულია კლინიკურ პრაქტიკასთან წვდომა (დიაგნოსტიკის საფუძვლების კურსები), კლინიკურ უნარებში ტრენინგი; სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავების დაწყება და სამედიცინო პროფესიონალიზმისთვის უმნიშვნელოვანეს ეთიკურ ღირებულებებზე მსჯელობა.

სტუდენტთა ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში პროგრესის შეფასება მიმდინარეობს მუდმივად (მიმდინარე და დასკვნითი შეფასებები; შეფასება ზეპირი, წერილობითი ფორმატებით, ჯგუფური აქტივობა და კომუნიკაციის უნარები, განსჯა და გადაწყვეტილების მიღება, ანალიზის და სინთეზის, ა. შ. უნარები (იხ. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამები„სწავლის შედეგები“, ასევე სილაბუსები); შესაბამისად სტუდენტი იღებს შეფასებას სემესტრულად და ასევე უკუკავშირს პედაგოგებისგან სამედიცინო ცოდნასა და უნარებში განვითარების შესახებ, მათში პროგრესისთვის საჭირო რეკომენდაციების ჩათვლით; რაც ასევე წინაპირობაა საეტაპო გამოცდაზე დაშვების (შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა საბაზისო მედიცინაში), რომლის შემდგომ იგი სწავლას აგრძელებს პროგრამის შემდგომ ეტაპზე.

II ეტაპი - „კლინიკური მედიცინის კურსში“ სწავლება/სწავლა/შეფასება პრაქტიკულად ყველა კურსის ფარგლებში მიმდინარეობს კლინიკურ ბაზებზე, სადაც პროგრამის ამოცანაა დაავადების ტიპური კლინიკური სურათის, ასევე იშვიათი და/ან არატიპური შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მართვის პრინციპების, მათი განმაპირობებელი საბაზისო მეცნიერებების საკითხების კლინიკურ კონტექსტსა და ინდივიდუალური ავადმყოფის მაგალითზე განსჯა-გაცნობიერება; კლინიკური სესიის გარდა ეს გულისხმობს ავადმყოფის-საწოლთან სწავლას და სწავლებას, ინდივიდუალური ავადმყოფის კურირებას (მკურნალობისა და მართვის შედეგზე დაკვირვების შესაძლებლობის ჩათვლით), ავადმყოფთან და ასევე სხვა პროფესიონალებთან (კლინიკის სხვა ექიმები, ექთნები, სამედიცინო გუნდის სხვა წევრები) კომუნიკაციისა და კონსულტაციის გზით კლინიკური საქმიანობის მთლიანი სურათის (მართვის პროტოკოლები, ურთიერთობა კლინიკაში, ურთიერთობა პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან, ეთიკური საკითხები, პრობლემები და ღირებულებები, ა. შ.) შემეცნებას; კლინიკური როტაციები გულისხმობს ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ პაციენტს, ყველა ასაკს (და ასაკობრივ თავისებურებას) სამედიცინო დარგში სპეციალიზაციის უმთავრეს სფეროებს (ნევროლოგიური, კარდიოლოგიური, ონკოლოგიური, ქირურგიული, ა. შ. პრობლემით პაციენტი).

სტუდენტთა ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში პროგრესის შეფასება მიმდინარეობს ყველა ძირითადი სამედიცინო სპეციალიზაციის (დანართი #31: პროგრამა) სფეროში, რაც აისახება მის მიმდინარე და დასკვნით შეფასებებში, რომელიც ტარდება ზეპირი და წერილობითი ფორმატებით, პორტფოლიოს ანალიზით, ავადმყოფის საწოლთან შეფასებით, როგორც სამედიცინო ცოდნაში, ასევე პროფესიულ და პრაქტიკულ უნარებში; შესაბამისად კლინიკურ მედიცინაშიშემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე დაშვება და ასევე ცოდნასა და უნარებში მისი „დამაკმაყოფილებელი“ შეფასება არის პროგრამის მე-3 ეტაპზე დაშვების წინაპირობა.

III ზოგადი სპეციალიზაციის კურსი კლინიკურ პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსია: აქ ფორმალური თეორიული მეცადინეობები მინიმალურია და სტუდენტის სამედიცინო ცოდნა (მიღებული 1-5 კურსებზე) „ტესტირდება“ და ვითარდება ინდივიდუალური პაციენტის საჭიროების განსაზღვრისა და გადაწყვეტაზე მორგებით. სტუდენტი ასრულებს ექიმის

(ლიცენზირებული) დავალებებს და/ან მოქმედებს ავადმყოფისთვის (ავადმყოფის საწოლთან) პედაგოგის და/ან განყოფილების ექიმის ზედამხედველობით, ეხმარება მანიპულაციების შესრულებაში, მორიგეობს (ქვემორიგედ), ა. შ. ზოგადი სპეციალიზაციის კურსში მისთვის სავალდებულოა პრაქტიკა შინაგან სნეულებებსა და ქირურგიაში, მეან-გინეკოლოგიასა, პედიატრიასა, ინფექციურ სნეულებებსა დ ნევროლოგიაში. ასევე არჩევითი კურსის სახით (და მომავალი კარიერული ზრდისთვის არჩევანის შესაძლებლობის რეალიზაციისთვის) აქვს შესაძლებლობა გაიაროს პრაქტიკა ქვეყნის შიგნით და/ან საზღვარგარეთ უნივერსიტეტის პარტნიორ ჰოსპიტალებსა და კლინიკურ ბაზებზე; გაიმყაროს კლინიკური უნარ/ჩვევები და განივითაროს სამეცნიერო კომპეტენციები; პრაქტიკულად გააცნობიეროს ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის, სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები.

ამ ეტაპზე პროფესიულ პრაქტიკაში ტრენინგი მიწოდებულია კონტროლირებული თვითსწავლების ფორმატში; შესაბამისად სტუდენტთა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებში პროგრესის უნარი ასევე ფასდება მის მიერ ჩატარებული სამუშაოს ანალიზით (პორტფოლიო/Log-book ანალიზი), პაციენტებსა და კოლეგებთან კომუნიკაციასა და სხვა უნარებში შეფასების ანგარიშებით; საბოლოო (საკვალიფიკაციო გამოცდაზე) დაშვებისთვის მისი მიმდინარე შეფასებები დადებითია.

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება შემდეგ დისციპლინებში: შინაგანი სნეულებანი, ქირურგიული სნეულებანი, მეან-გინეკოლოგია, პედიატრია, ინფექციური და ნერვული სნეულებანი.

საკვალიფიკაციო გამოცდები (დისერტაციის დაცვის გარდა, იხ. ქვემოთ) ამ რეგულაციის კონტექსტში არ განიხილება როგორც დისციპლინები ან მოდულები, შესაბამისად მათი ჩაბარებისთვის არ ენიჭება კრედიტი.

საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრები არიან: შესაბამისი მიმართულებების უნივერსიტეტის პროფესორები.

თავმჯდომარე - პროფესიული საზოგადოების მოწვეული წევრი, დამსაქმებელი და/ან პროგრამის მიმართ მაღალი ინტერესის მქონე პირი.

ქულები (ნიშნები)

1. ქულები (და შესაბამისი ნიშნები) მინიჭებული უნდა იყოსსემესტრის ბოლოს ყველა სემესტრულ სასწავლო კურსსა და მოდულში. ერთხელ მინიჭებული ქულები (ნიშნები) აღარ იცვლება გარდა ტექნიკური შეცდომის აღმოჩენის შემთხვევისა; ასევე როცა ჩაგდებული(Failed) ზეპირი ან წერითი გამოცდისგადაბარებაა და აღნიშნულ გამოცდა(-ებ)ში სტუდენტი იღებს დადებით შეფასებას; ასევე სემესტრში განმეორებითისწავლისას, როცა იგი მთლიანად იმეორებს სემესტრული პროგრამის მოდულს, სასწავლო კურსს და იღებს შესაბამის შეფასებებს და კრედიტებს, რაც აისახება მისი დიპლომის დანართში.

2. ქულები (ნიშნები), რომლებიც ენიჭება სტუდენტს (დმ), რომელმაც დამაკმაყოფილებად დაასრულა სასწავლო კურსსა და მოდულში მუშაობა არის შემდეგი:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

3. არადამაკმაყოფილებლი შეფასებისას სტუდენტს შესაბამის მოდულში კრედიტი შესრულებულად არ ეთვლება და ეს გულისხმობს შემდეგ შეფასებებს

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი/მოდული ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით სემესტრულ გამოცდაზე „არ დაიშვება“ ნიშნავს, რომ სტუდენტი კურსის განმავლობაში არადამაკმაყოფილებლად პროგრესირებდა, ჰქონდა გაცდენები (და კურსი აღდგენას საჭიროებს), ან არ ასრულებდა მიცემულ დავალებებს, ან „არ გამოცხადდა“ ზეპირ გამოცდაზე, ან ორივე. ანუ ყველა პრექვიზური (დასკვნითი სემესტრული გამოცდის წინა) მოთხოვნა მინიმალურ დონეზე მაინც უნდა იყოს დაკმაყოფილებული სემესტრულ გამოცდაზე სტუდენტის დასაშვებად. სემესტრის განმავლობაში არადამაკმაყოფილებელი სწავლა გაცდენების გამო (რაც არ აღადგინა, სემესტრში აღდგენა ვერ მოხერხდა) ჩაიწერება (გაფორმდება) როგორც F.

4. პირველი კურსის დიპლომირებული სწავლების სტუდენტისთვის პირველ სემესტრში სწავლის დაწყებიდან 3 კვირაში (პირველი მოდული), 4 კვირაში (მეორე მოდულის დაწყებიდან), 3 კვირაში (მესამე მოდულის დაწყებიდან) პირველი კურსის კოორდინატორმა უნდა წარმოადგინოს დეკანის ასისტენტთან პირველკურსელთა სია, რომლებიც მოდულში უარყოფით შეფასებისრისკის ქვეშ არიან. ასლი მიეწოდება დეკანს. კოორდინატორი და დეკანის ასისტენტი (საჭიროებისას დეკანი) ინიცირებს თითოეულ სტუდენტთან მისი მოსწრების შესახებ განხილვას (სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება) დახმარების შეთავაზების მიზნით.

5.დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის და დიპლომირებული მედიკოსის სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არა დამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

პუნქტის "ა"-"ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
6. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში, და/ან დისერტაცია სადოქტორო პროგრამაში (თეზისი)
(i) დიპლომირებული მედიკოსის ნაშრომისთვის (სამაგისტრო დონის) ან PhD-შიდისერტაციისთვის სტუდენტმა უნდა აჩვენოს კრეატიულობა სასწავლო პროგრამის ფარგლებში არსებულ საკვლევ სფეროში.
(ii) დისერტაციის დაცვით დასტურდება PhDსტუდენტის მზაობა დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისა და კრეატიულობისთვის. საბოლოო თეზისის (დისერტაციის) ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა,დისერტაციის მომზადება, დაცვაზე დაშვება და დაცვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონით" და დტსუ-ში რექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული შიდა რეგულაციებით.
(iii) დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის კვლევის თემები რეგისტრირებული უნდა იყოს მეხუთე კურსის სწავლების დასაწყისში (არაუგვიანეს). სტუდენტი განაცხადს აკეთებს ვიცე-დეკანთან საკვლევი საკითხის შესახებ (საკუთარი იდეის, ან დტსუ-ს მიერ გაცხადებული საკვლევი თემების ჩამონათვალიდან); თუ სტუდენტი თვითონ შეიმუშავებს საკუთარ საკვლევ იდეას, მაშინ თვითონვე წარმოადგენს ხელმძღვანელის კანდიდატურას და ასეთ შემთხვევაში მას სჭირდება კონკრეტული ხელმძღვანელის (და/ან დეპარტამენტის) თანხმობაც.
(iv) დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტისთვის დეკანი არეგისტრირებს:
ა) სტუდენტის კვლევითი ნაშრომის სათაურს
ბ) ხელმძღვანელს, ასევე სავარაუდო რეცენზენტს
გ) კვლევითი ნაშრომის დაცვის დღეს
(v) სტუდენტი მუშაობს კვლევით ნაშრომზე ხელმძღვანელის დახმარებით.
(vi) რეცენზენტი აფასებს ნაშრომს (PhD-ის შემთხვევაში - ოპონენტები) და წერილობით დასკვნას წარადგენს.
(vii) სტუდენტს (დმ პროგრამის) აქვს უფლება გაეცნოს ხელმძღვანელის და ოპონენტის დასკვნებს დაცვამდე 3 დღით ადრე (ყველაზე გვიან).
(viii) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომისდაცვა განეკუთვნება საკვალიფიკაციო გამოცდებს.
(ix) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის დაცვა ფასდება ნიშნით A-დან Fx-მდე.
(x) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი იწერება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. თუ ნაშრომი დაწერილია ქართულად,შეჯამება(Abstract), სულ მცირე 1 გვერდიანი,მოთხოვნილია ინგლისურადან პირიქით (დმ).
(xi) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი (დისერტაცია) იწერება ქართულ ან ინგლისურ ენაზე; ავტორეფერატი ორ ენაზე: ქართულ და ინგლისურ ენებზე (PhD).
(xii) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი დაცვის შემდეგ, მათ შორის, ელექტრონულ ფორმატში

ჩაბარდება ბიბლიოთეკას დაარქივების, ბიბლიოგრაფიული რეგისტრაციისა და პუბლიკაციისთვის. გამოქვეყნების პირობებიაღწერილია უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად (დამტკიცებულია რექტორის ბრძანების მიხედვით).

უნივერსიტეტი ანხორციელებს სტუდენტთა აკადემიურ პროგრესზე მონიტორინგს პროგრამათა გაუმჯობესების, ასევე სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრის და ხელშეწყობის მიზნით (დანართი #43).

მნიშვნელოვანია, რომ სწავლის ადექვატური, გამჭირვალე და სამართლიანად დაგეგმილი სისტემა თვისთავად ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და აქ ძალზე მნიშვნელოვანია (მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების კუთხით) შეფასების კომპონენტში მასწავლებელთა განვითარებაც. შეფასების კომპონენტში უნივერსიტეტსა და მისი დმ-ის პროგრამებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ევროპის სამედიცინო განათლების შემფასებელთა ჯგუფში (EBMA) უნივერსიტეტის გაწევრიანება. შედგა დტსუ-სა და ამ ავტორიტეტულ ორგანიზაციასა და მის წევრებთან კომუნიკაცია. მაასტრიხტის უნივერსიტეტის ექსპერტების მიერ დტსუ-ს პედაგოგებისა და დაინტერესებული სტუდენტების ჯგუფში ჩატარდა ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა „მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპები სამედიცინო განათლებაში“; სტუდენტის პროგრესის ზუსტი ტესტირებისთვის განხილულ იქნა ტესტის რაციონალურობისა და ვალიდურობის, ა. შ. საკითხებზე მათი შეფასების და გაზომვის მეთოდოლოგია; ჩატარდა აუდიტორიაში შექმნილ ჯგუფებში ვარჯიში ტესტის შეფასებაზე, ახალი ტესტების შექმნაზე; ასევე საგამოცდო ტესტის „ჩარჩოს“ შემუშვების საკითხებზე.

ტრენინგში მონაწილეობდა 30 პირი, რომლებზეც გაიცა შესაბამისი სერიფიკატები. დტუს-ს ადმინისტრაციასა და სგც-ის წინადადებით შეიქმნება შეფასების საკითხებზე სამუშაო ჯგუფი; ჯგუფში ჩართვის შეთავაზება მიიღო ყველა მონაწილემ. ჯგუფის მუშობას კონსულტირებას გაუწევენ საერთაშორისო ექსპერტები ანამარია ქამპი და კარლოს ფერნარდო ქოლარესი. ხუ-ის სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა ტრენინგის მონაწილეთათვის კმაყოფილების კითხვარი, რომელიც ასევე ითვალისწინებდა აუდიტორიის მომავალი საჭროებების განსაზღვრას. გამოკითხვის შედეგებით ტრენინგით აუდიტორიის კმაყოფილების ხარისხის ძალზე მაღალია (დანართი #42).

უსდ-ში არსებობს შეფასების გასაჩივრების სისტემა; რომელიც გულისხმობს ქვიზის ჩაბარებისას გასაჩივრების შესაძლებლობას ქვიზზე დადგენილი წესების დარღვევის გამო სტუდენტის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება და/ან გაასაჩივროს ტესტის შინაარსი, ტესტის პასუხი და/ან შესაბამისობა. ეს პროცედურა ტარდება სასწავლო დეპარტამენტის და კურსის ხელმძღვანელის ერთობლივი განხილვით და გადაწყვეტილებით; ქვიზის შედეგების შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით. ზეპირ გამოცდაში პრეტენზიის შემთხვევაში სტუდენტს აქვს უფლება მიმართოს კურსის ხელმძღვანელს და/ან დეკანს განცხადებით, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური შემთხვევის შესაბამისად და გადაწყვეტილება მიიღება კომისიური წესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. EBMA ტრენინგი „შფასება სამედიცინო განათლებაში“ (დანართი #42)
2. ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი #31)

3. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა; სილაბუსები - სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1, 2, 3 (დანართი #31) 4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები (დანართი #44)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები 1. უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განახლებისა და განვითარების პოლიტიკა და გამოცდილება; 2. უნივერსიტეტში კურსების რევიზირებისათვის შესაბამისი ფორმალური სტრუქტურების არსებობა; 3. შეფასების მეთოდებში შტატის განვითარების მიზნით ახალი პარტნიორული ურთიერთობა EBMA-სთან; 4. პროგრამათა/კურსების შემუშავებასა და შეფასებაში სტუდენტთა და პედაგოგთა ჩართულობა; 5. მისაღწევი დარგობრივი კომპეტენციების შესაბამისი შეფასების მეთოდების არსებობა; 6. დმ-ის პროგრამაში სწავლის ორი „გზის“ (დმ- ეპდს) არჩევანის შეთავაზების შესაძლებლობა.
გასაუმჯობესებელი მხარეები 1. პროგრამათა განვითარების ნაწილში სტრატეგიულ გეგმაში ასახულ ამოცანათა სრულფასოვანი განხორციელება; 2. შეფასების მეთოდების ახალი, გამოსამუშავებელი კომპეტენციისათვის მაქსიმალურად შესაბამისი მეთოდების იმპლემენტაცია ყველა სასწავლო კურსსა და პროგრამაში; 3. დმ-ის პროგრამის ათვისების ეფექტურობისათვის რელევანტური საგანმანათლებლო რესურსების (სწავლების, სწავლის და შეფასებისთვის)იმპლემენტაცია. 4. პროფესიონალიზმის სწავლების ნაწილში პროგრამათა განვითარება.

4. უსდ- პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე

4.1. პერსონალის მართვა
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას; უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
აღწერა და შეფასება დტსუ კერძო სამართლის იურიდიული პირია, ამასთან ვალდებული უნივერსიტეტის

ადამიანური რესურსების მართვის (არმ) პროცედურების, პოლიტიკის შემუშვებისა და პრაქტიკაში გამოყენებისას გაითვალისწინოს საქართველოს საკანონმდებლო ორგანული („შრომის კოდექსი“), სხვა კანონები („უმაღლესი განათლების შესახებ“); ასევე საკითხთან მიმართებაში (არმ-ის კონტექსტი: უნივერსიტეტი) მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა (რომელიც ასევე არაერთმნიშვნელოვანია არმ პოლიტიკის განსაზღვრისას) და გამოცდილება, განსაკუთრებით „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის და მათ შორის საქართველოსთვის.

დტსუ-ში პერსონალის მართვის პროცედურები და პროცესები შესაბამისია ყველა ზ/ა კანონების, ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეფექტური, ანგარიშგებიანი და ტრანსპარანტული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად ჩატარდა რიგი სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები: ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის მმართველი ჯგუფი (დამფუძნებლის, რექტორის, 2 ვიცე-რექტორის, კანცლერის შემადგენლობით), შეიქმნა უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვისა და განვითარების სტრუქტურა, კადრით გაძლიერდა სხვა ადმინისტრაციული ერთეულები. ამასთან, „კარგი მმართველობის“ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, „თანასწორობისა“ და „სამართლიანობის“ განვითარების, ასევე უნივერსიტეტში მიღებულ გადაწყვეტილებათა „მიზანშეწონილობის“ შეფასებაში განათლებისა და კვლევის, საზოგადოებრივი სამსახურის პრიმატის აღიარების მიზნით გადამუშავდა და/ან ადაპტირდა უნივერსიტეტის საწესდებო და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, აკადემიური თვითმართველობის სხვა ნორმები და წესები. ყველა ზ/ა ხელმძღვანელობასა და მენეჯმენტში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სწორ, თუმცა არასაკმარის პირობად ჩაითვალა. ისევე როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობის ბევრ ასპექტში საკითხის ერთგვაროვანი (არმ პოლიტიკა, დტსუ) გაცნობიერებისთვის საჭირო გახდა კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშვება; უნდა განსაზღვრულიყო სტრატეგიები ადამიანური რესურსების მართვაში ისეთი სტრუქტურის და ფუნქციის ჩამოსაყალიბებლად, რომელშიც ფორმირდებოდა ახალი მიდგომა ადამიანთა ენერგიის და უნარების ყველაზე ეფექტური გამოყენებისთვის; რაც ასევე გულისხმობს, რომ ადამიანთა მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზაციაში არსებულ ყველა მენეჯერს (დანართი #43).

პერსონალის მართვა, როგორც წესი, მოიცავს უფლებათა და მოვალეობათა ფართო ჩამონათვალს (შტატისმოძიება, მუშაობის შეფასება, სწავლება, განვითარება, ურთიერთობები, ა.შ) ყველა ზ/ა მნიშვნელოვანი ფუნქციებია, რომელიც შეიძლება სრულდებოდეს ორ დონეზე: ოპერაციული დონე ხორციელდება ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში; ამასთან, ამ ფუნქციათა ნაწილი ასევე შეიცავს სტრატეგიულ ელემენტს, რაც გულისხმობს მათ ინტეგრაციას დაწესებულების (უნივერსიტეტი) საერთო მიზნებში. ადამიანური რესურსების მართვაში (არმ) უნივერსიტეტის (დტსუ) განვითარების კონცეფცია (დანართი #43) გულისხმობს ადამიანის მართვისთვის მნიშვნელოვან საკითხთა განხილვას როგორც ოპერაციული, ასევე სტრატეგიული თვალსაზრისებით; ანუ არმ გარკვეულწილად „პასუხია“ დტსუ-ში ადამიანთა მართვის საკითხში უფრო კომპლექსური მიდგომის აუცილებლობის.დოკუმენტი შემუშავებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და მართვის დეპარტამენტში, განხილულია მისი კომიტეტის სხდომაზე და დამტკიცებული რექტორის საბჭოს მიერ.

პერსონალის მართვის მიზნები მთლიანობაში უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისია. ადამიანური რესურსების მართვაში უნივერსიტეტის არჩევანია

„დეცენტრალიზაცია“ და „რბილი მიდგომა“, რადგან თავად საუნივერსიტეტო სტრუქტურა და მისი (დტსუ) მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება იძლევა ამ პრინციპების „უსაფრთხოდ“ გამოყენების შესაძლებლობას: საბჭოებსა და კომიტეტებში (აკადემიური საბჭო, კურიკულუმის კომიტეტი, რექტორის საბჭო), დეპარტამენტებში (კონკრეტულ სასწავლო მოდულზე მუშაობა, ა. შ.), სამსახურებში ჯგუფური მუშაობის გამოცდილება.

დტსუ-ს საქმიანობაში ორგანიზაციული პირობებისა და ეფექტურობის ფორმებია თვითმართველი ორგანოების არსებობა და ადამიანთა შესაძლებლობა მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებათა მიღებაში;პასუხისმგებლობა „გადანაწილებულია“ და ყველა მენეჯერს აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა ადამიანური რესურსების მართვაზე; ეს მნიშვნელოვანია თავად ადამიანური რესურსის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე. ასევე კიდევ იმის გამო, რომ ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის ინტეგრირებას საერთო სტრატეგიაში შეუძლია სტრატეგიის ფორმულირების და განხორციელების მთელი პროცესის ოპტიმიზაცია. ამასთან, ექსპერტები საუბრობენ საკითხთან მიმართებაში გარკვეულ სიფრთხილეზე, რაც ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს დტსუ-შიც: ბევრგან გადაჭარბებული ყურადღება ეთმობა ინდივიდუალიზმს (აშშ: ღირებულებები), ზოგან კი - კოლექტივიზმის ტრადიციას (ევროპა); ჩვენი მოსაზრებით (ასევე ეფუძნება რიგ ექსპერტულ მოსაზრებებს) უფრო ეფექტური იქნება ნოვატორული მეთოდების (ორ - დონიანი ადამიანური რესურსების მართვა და ა.შ) თანდათანობითი და არა კომპლექსური დანერგვა.

ასეთი „ფრთხილი“ მიდგომის არგუმენტები - საკუთრივ უნივერსიტეტის რთული კომპლექსური ბუნება, მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა დაკავშირებული ახალგაზრდა კონკურენტუნარიანი კადრის მომზადების საკითხთან, ახალი ცოდნის (კვლევა) შექმნის ვალდებულებასთან და ა.შ. ოპერაციული დონის საქმიანობისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების დამუშავება: მაგალითად მაკრო, საშუალო და ინდივიდუალურ დონეზე სისტემური მიდგომით განსაზღვრა „რა ითვლება სამუშაოს კარგ შედეგად“ ; „როგორ უნდა იყოს ის გაზომილი“.

ზოგადად მართვის სისტემა გულისხმობს დაგეგმვას, არსებული ადამიანური რესურსების განვითარებას და კონტროლს. რაც ასევე ითვალისწინებს,

<u>დაგეგმვის პროცესში:</u>

- პერსონალზე მოთხოვნილების პროგნოზირება და დაგეგმვა, სპეციალობის და კვალიფიკაციის დონეთა განსაზღვრა;
- კადიდატთა შერჩევის კრიტერიუმების და მოთხოვნების შემუშავება: აკადემიური შტატისთვის ფაკულტეტის რეკომენდაციით განსაზღვრავს აკადემიური საბჭო, ამტკიცებს რექტორი; სხვა სამსახურებისთვის სტრუქტურებისა და/ან კომიტეტებისთვის შესაბამისად ჩართული არიან აღნიშნული სამსახურები, სტრატეგიული განვითარებისა და მართვის კომიტეტი, ამტკიცებს რექტორის საბჭო, ან კანცლერი, ან პრორექტორი და ა.შ
- პერსონალის განვითარების გეგმები (სამედიცინო განათლების ცენტრი, სასწავლო განყოფილება, ფაკულტეტი)
- ნორმატიული დოკუმენტები (საშტატო განრიგი, თანამდებობრივი ინსტრუქციები, ა.შ)
- პერსონალის ანაზღაურების ფონდების დაგეგმვა (საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი)

ადამიანური რესურსების გადამზადება და განვითარებაში:

- პერსონალის გადამზადება და განვითარება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე სათანადო მასალების და/ან ტრეინინგის კურსების შემუშავება და/ან შერჩევა; ცალკე ამ ფუნქციებს განეკუთნება პერსონალის აღრიცხვის პროგრამა, რომლის მეშვეობით ფორმირდება თითოეული თანამშრომლის პირადი საქმე და სამუშაო ადგილის შესახებ მონაცემები (ინახება კადრებში).

კონტროლი: კონტროლის სისტემა ეფუძნება მონაცემებს რომელიც განსაზღვრავს მათ დისციპლინას, ინიციატივას, საქმიან თვისებებს. პერსონალის საქმიანობის კონტროლი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიქცეს ტოტალური კონტროლის სისტემად.

დტსუ-ში პერსონალთან მიმართებაში ურთიერთობის მაკოორდინებელ საქმიანობას ეწევა უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვის და განვითარების კომიტეტი. უნივერსიტეტი აცნობიერებს ადამიანური რესურსების მართვაში კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას და რომ ადამიანთა მართვა არ არის მხოლოდ კადრების განყოფილების საქმე; ამოცანა მდგომარეობს არმ-ს კომპლექსური სისტემის აგებასა და შესაბამისად პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა მენეჯერს (რექტორი, პრორექტორი, კანცლერი, დეკანი ა.შ). ზემოთ აღნიშნულ ფუნქციათა ნაწილი (არმ) ხორციელდება ოპერაციულ, ნაწილი სტრატეგიულ, ასევე ორივე (სტრატეგიული + ოპერაციული) დონეებზე.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მიღების (დანართი #45), ასევე აკადემიური პერსონალის აფილირების წესი (დანართი #46). უნივერსიტეტში არსებობს პროცედურა (პრაქტიკა), რომელიც უზრუნვლყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურ ჩართვას სამუშაო პროცესში: გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში (დანართი #47). აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმი (დანართი #28). შემუშავებული აქვს პერსონალის პროფესიონალური განვითარებისთვის მიდგომები და სტრატეგიები (იხ. ზემოთ). მართვის პროცესში იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს (დანართი #48). აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში (დანართი #49, 50).

2011 წლიდან 2017 წლის დეკემბრამდე ჩატარდა 10 კონკურსი, სადაც გამოცხადებული იყო საერთო ჯამში 286 ვაკანსია. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 164-მა კანდიდატმა და კონურსის შედეგად დაკავებული იქნა 155 თანამდებობა. ყველა არჩეული პირი აკმაყოფილებს აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებს და მოთხოვნებს (დანართი #51).

აკადემიური პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, პერსონალის პირადი საქმეები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები იხ შესაბამისად დანართებში #52, #53, #54, #55.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ადამიანური რესურსების მართვაში უნივერსიტეტის (დტსუ) განვითარების კონცეფცია (დანართი #43)
2. პერსონალის მიღების წესი (დანართი #45)
3. აკადემიური საბჭოს დებულება (დანართი #49)
4. რექტორის საბჭოს დებულება (დანართი #50)
5. პერსონალის პირადი საქმეები (დანართი #54)

6. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით (დანართი #52, #53)
7. აკადემიური პერსონალის საკონკურსო დოკუმენტაცია (კონკურის გამოცხადების, არჩევის ან/და დანიშვნის ბრძანებები (დანართი #51)
8. სამუშაო აღწერილობები (დანართი #55)
9. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები (დანართი #47)
10. პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში (დანართი #48)
11. დტსუ შინაგანაწესი (დანართი #28)

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ისაკადემიური/სამეცნიეროდამოწვეულიპერსონალისრაოდენობადადატვირთვაუსდ-შიგანხორციელებულისაგანმანათლებლოპროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლოსაქმიანობისადასხვამათზედაკისრებულიფუნქციებისადეკვატურია

აღწერა და შეფასება

დტსუ-ში პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვას განსაზღვრავს დებულება (დანართი #56) (შემუშავებულია სასწავლო განყოფილების, განხილული და გაზიარებული ააკადემიური საბჭოს და დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ). დოკუმენტი ასახავს დტსუ-ში პროფესორ-მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის გაანგარიშების და გამოყენების ნორმებს: ნორმებს სასწავლო და არასასწავლო მუშაობისთვის, სასწავლო დატვირთვის ნორმებს დამატებითი (საათობრივი) სამუშაოს ანაზღაურებისთვის, რაც ასევე მნიშვნელოვანი იქნება ხარისხი სუზრუნველყოფის (ხუ) სამსახურის მომავალი ანალიზისთვის პედაგოგთა და სტუდენტთა შეფარდების ნორმის გაანგარიშების, მომავალი განვითარებისთვის მართლზომიერი დაგეგმვის ანალიზისთვის.

დოკუმენტი ასახავს თუ რას წარმოადგენს (რას უნდა წარმოადგენდეს) დტსუ-ში პედაგოგის სამუშაო ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის; როგორ შეიძლება უნივერსიტეტის პედაგოგთა სამუშაოს სუბიექტურ-შემოქმედებითი მდგენელის გაზომვა, იძლევა ანალიზისა და კვლევის საშუალებას, თუ რა ლეგიტიმური საფუძვლები აქვს პედაგოგიური შრომის ნორმების განსაზღვრას.

დოკუმენტი მნიშვნელოვანია საერთაშორისო და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით: ევროპული ქვეყნების, აშშ, სხვა ქვეყნები, განვითარების სტრატეგიულ პრიორიტეტებში განსაკუთრებით გამოყოფენ საყოველთაო უმაღლესი განათლების სტრატეგიას და მთელი ცხოვრების განმავლობაში უწყვეტი განათლების სისტემას. აშკარაა, რომ თანამედროვე საქართველოსთვისაც პედაგოგიური სამუშაო განსაკუთრებით მნიშვნელოვანს წარმოადგენს ცოდნის ეკონომიკის მშენებლობის სტრატეგიის არჩევის პირობებში.

დოკუმენტი ახდენს მუშაობის ნორმების კლასიფიკაციას; აღწერს პედაგოგთა მუშაობის სახეობებს, ახდენს ამ სახეობათა სპეციფიკაციას, სასარგებლოა სასწავლო მუშაობის და მისი სპეციფიური მახასიათებლების მოცულობის გაანგარიშებისთვის; სასწავლო დეპარტამენტისა და პედაგოგისთვის სასწავლო ცხრილის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დაგეგმვისა, ანგარიშებისა და კონტროლისთვის.

პედაგოგების სამუშაო დროის წლიურ პერიოდად ითვლება სასწავლო წელი ზამთრის და ზაფხულის არდადეგების ჩათვლით, რომელიც არ ემთხვევა მორიგ შვებულებას. ყველა სახის პედაგოგიური სამუშოსთვის გამოყოფილი დროის საერთო ბიუჯეტი შეაგენს 1500სთ-ს

წელიწადში. ავადმყოფობის, მივლინების, სხვა დასაბუთებული გარემოებების დროს სასწავლო დატვირთვა სრულდება სხვა პედაგოგის (ან მოწვეული პედაგოგის) მიერ საათობრივი ანაზღაურების წესით. სამუშაოზე დაბრუნების შემდგომ, სასწავლო წლის დამთავრებამდე, აუცილებელია მისი ინდივიდუალური პედაგოგიური დატვირთვის გეგმის შესაბამისი კორექტირება.

დტსუ-ში უმაღლესი განათლების დონის საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიური დატვირთვა შტატის პერსონალისთვის დიფერენცირებულია პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თანამდებობების მიხედვით არაუმეტეს 900 საათისა (და არაუმცირეს 200 საათისა) სასწავლო წლის განმავლობაში (2018 წლის სექტემბრის თვიდან თანამდებობრივი ხელფასის ფარგლებში) დტსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისთვის შემდეგი აკადემიური დატვირთვა დგინდება:

პროფესორი: 750 (არააუდიტორიული სასწავლო მეცადინეობების ფარგლებში) - 300 (აუდიტორიული მუშაობა);
ასოცირებული პროფესორი: 800 (არააუდიტორიული სასწავლო მეცადინეობების ფარგლებში) – 480 (აუდიტორიული მუშაობა) ;
ასისტენტ პროფესორი: 850 (არააუდიტორიული სასწავლო მეცადინეობები) – 650 (აუდიტორიული მუშაობა).

სასწავლო დატვირთვის კონკრეტული მოცულობა პედაგოგის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით დგინდება დაკავებული თანამდებობის (მოვალეობების) გათვალისწინებით, რაც გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით მათ შორის სტუდენტებთან ინდივიდუალური, სამეცნიერო-კვლევითი, სხვა პედაგოგიური მუშაობით, რაც გათვალისწინებულია შრომითი მოვალეობებით და (ან) ინდივიდუალური გეგმით, მეთოდური, მოსამზადებელი, ორგანიზაციული, დიაგნოსტიკური, მონიტორინგი, სხვა სახეობები ჩატარებული სტუდენტებთან; ასევე მუშაობა დოქტორანტებთან, რეზიდენტებთან, უწყვეტი პროფესიული განათლების ფარგლებში (დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში (დტსუ) პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ დებულების ტაბულა 1).

გარკვეულ შემთხვევებში კონკრეტული პედაგოგის სასწავლო დატვირთვა შეიძლება განსაზღვრული იყოს უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) აკადემიური საბჭოს წარდგინებით სასწავლო დარგში პრორექტორის მიერ, ზემოთ განსაზღვრული მინიმუმის ქვემოთ, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის იმ წარმომადგენელთათვის, რომელნიც ეწევიან (და ან დაევალებათ) უნივერსიტეტის ინტერესებისთვის დამატებითი ორგანიზაციულ-მეთოდური საქმიანობა.

სასწავლო მუშაობა მოიცავს სტუდენტის (ასევე რეზიდენტის, დოქტორანტის) პედაგოგთან საკონტაქტო მუშაობას, მათ შორის ელექტრონული და დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით.

საკონტაქტო სამუშაო შეიძლება იყოს აუდიტორული და არააუდიტორული. კონტაქტურ აუდიტორულ მუშაობას განეკუთვნება როგორც მისი ტრადიციული ფორმები: ლექციები, პრაქტიკულები, სემინარები, ლაბორატორიული სამუშაო, ა. შ. ასევე ელექტრონული სწავლება

დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით. მათი გამოყენება, დტსუ-ს შიდა რეგულაციის მიხედვით, შეიძლება იყოს აუდიტორული დატვირთვის ჩანაცვლებითა და მის გარეშე. აუდიტორული მეცადინეობების ჩანაცვლებისას საკონტაქტო საათები შედის პედაგოგის სასწავლო დატვირთვაში. პედაგოგის ზედამხედველობით სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზებისა და კონტროლისთვის ელექტრონული და დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებისას, სასწავლო დატვირთვა იგეგმება როგორც „დამოუკიდებელი მუშაობის კონტროლი“.

განსაზღვრულია აკადემიური საქმიანობის მუშაობის ყველა შესაძლებელი სახეობები და დროის ნორმები: აუდიტორული მეცადინეობები, კონსულტაციები, კონტროლი, პრაქტიკა, ხელმძღვანელობა, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება, უპგ-ის ფარგლებში მსმენელთ მომზადების სხვა სასწავლო მუშაობის ზღვრული ნორმები.

დადგენილია სასწავლო მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციულ/მეთოდური მუშაობის სახეობები და ნორმები; რომელიც გულისხმობს ლექციების, სხვა სასწავლო მუშაობისთვის მზადებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობის, ასევე სამკურნალო საქმიანობის (კლინიკური მიმართულების პედაგოგებისთვის) ნორმებს, რომელიც შეიძლება იყოს ნაანგარიშები როგორც პედაგოგის წლიური სამუშაო დატვირთვა.

პედაგოგთა ინდივიდუალური დატვირთვის დაგეგმვის დროს სასწავლო დარგში პრორექტორთან შეთანხმებით შესაძლებელია სასწავლო დატვირთვის 1,5 განაკვეთის ზემოთ გაზრდა, მაგრამ არაუმეტეს წელიწადში საათობრივი დატვირთვის 300 საათისა.

მოწვეული პედაგოგი - ლექცია პრაქტიკული მეცადინეობების, სხვა სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის და/ან ამ პროცესის წარმართვის მიზნით მოიწვევა კურსის ხელმძღვანელთან და სასწავლო დეპარტამენტთან შეთნხმებით, ფორმდება შრომით ხელშეკრულება; მისი სასწავლო დატვირთვა განისაზღვრა სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემით: 50 სთ-დან 1000 სთ-მდე - პროგრამაში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სთ-ებიდან გამომდინარე.

ამგვარად, დტსუ-ში აკადემიური პერსონალისთვის დადგენილია სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა არა უმეტეს 36 სთ-ისა კვირაში; პედაგოგიური დატვირთვა შედგება სასწავლო დატვირთვისგან (პირობითად დღის პირველი ნახევარი) და ასევე სასწავლო-მეთოდური და სხვა სამუშაოსგან (პირობითად სამუშაო დღის მეორე ნახევარი); რაც ადექვატურია უნივერსიტეტის (ასევე საზოგადოების მიერ) მასზე დაკისრებული ფუნქციების, რამდენადაც აქვს საშუალება განახორციელოს სტუდენტის სარგებელზე გამიზნული (გულისხმობს მათ შორის სტუდენტთან დამატებით ინდივიდუალური მუშაობის, კურსის მოდიფიცირებასა და სამეცნიერო მიღწევების შესაბამისი ადაპტაციისთვის, სპეციალიზაციის საკუთარ სფეროში სტუდენტის ჩართვა, მისი არჩევანის მხარდაჭერა, სტუდენტთა კავშირების დახმარება, სტუდენტთა პერსონალურ პრობლემასა ან ცხოვრებისეულ არჩევანზე კონსულტირებისთვის, ა. შ. დრო) საქმიანობა დისციპლინარულ/პროფესიონალურ-ცენტრული მუშაობა (კოლეგების დახმარება და/ან თვითშეფასების პროცესში მონაწილეობის და/ან საგრანტო პროექტების შემუშვებასა და/ან პროფესიუ ასოციაციებში აქტივობა, საუნივერსიტეტო კომიტეტებში ჩართულობა, უნივერსიტეტის განვითრების პოლიტიკის შემუშავებასა, ა. შ.) საზოგადოების სარგებელზე გამიზნული (გულისხმობს პროფესიული

რჩევები სამთავრობო სტრუქტურებს, ბიზნესის და საზოგადოების დაინტერესებულ ჯგუფებთან; საზოგადოების განათლება პროფესიული ექსპერტიზის ფარგლებში მედიის და სხვა საკომუნიკაციო არხებით, ა. შ. -თვის დრო) საქმიანობა. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა იხ. დანართ #57-ში) ფორმალურად პედაგოგისთვის წლიური სასწავლო დღეების ფონდი შეადგენს 40 კვირიანი კვირაში 24 სთ სტუდენტის დატვირთვის პირობებში 24X40=960 სთ; უფრო ზუსტად (უქმეები) 836 სთ. რაც შესაბამისია და არ აღემატება პედაგოგთა სასწავლო (საკონტაქტო სთ-ები) დატვირთვას (მისი ე. წ. „დღის პირველი ნახევრის“) დტსუ არც ერთი კატეგორიის არჩეული პერსონალისთვის. ეს (ამის გაცნობიერება) მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები ჩვეულებრივ სუბიექტურად განსჯიან მათ მიერ დახარჯულ ენერგიას/სამუშაოს ფარდობას შრომის ანაზღაურებასთან და ადარებენ ანალოგიური სამუშაოს შემსრულებელ სხვა ადამიანთა ხელფასებს; გამოაქვთ დასკვნები „სამართლიანობასა“, „არასამართლიანობაზე“, რაც ერთერთი მოტივატორია მათი ეფექტური და პროდუქციული საქმიანობის. მნიშვნელოვანია, რომ (i) საქართველოს უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო სტანდარტების განვითრების შესაბამისად იცვლება სამუშაო დროის განაწილების სტრუქტურა: იზრდება აუდიტორულ და არააუდიტორულ მუშაობაში დამოუკიდებელი მუშობის წილი; (ii) ქვეყნის პროფესიული პედაგოგიური დატვირთვის (პპდ) მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებია საჭირო თნამდებობრივი ხელფასების რაციონალურად დასადგენად; რაც ასევე წარმოშობს ობიექტურ აუცილებლობას პპდ-ს ნორმატივების შემუშვებისას მისი დარგობრივ ჭრილში განხილვის, კვლევისთვის (დარგობრივი ასპექტი) მეთოდიკის შემუშვების და პედაგოგიური დატვირთვის შრომითი დანახარჯების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების დადგენის აუცილებლობას. დტსუ-თვის სამომავლოდ მნიშვნელოვანია, რომ განათლების სისტემაში (მათ შორის სამედიცინო განათლება) მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები, მათ შორის იზრდება განათლებაში IT ტექნოლოგიებზე დაფუძვნებული საგანმანთლებლო რესურსების შესაძლებლობები; იზრდება/უნდა იზრდებოდეს სტუდენტის პასუხისმგებლობა საკუთარ განათლებაზე (არ „ეწინააღმდეგება“, არამედ სწორედ კონტექსტია „სტუდენტ-ცენტრული“ მიდგომის), შესაბამისად პედაგოგის სამუშაო ფუნქცია (პედაგოგი-აღარ არის/არ უნდა დარჩეს მხოლოდ ცოდნის გადამცემი, არამედ კონსულტანტი, მენეჯერი, ფაცილიტატორი, ტუტორი, ექსპერტი); რაც ასევე გამოიწვევს პედაგოგიური დატვირთვის შრომატევადობის შემცირებას, რაც თვის მხრივ გამოიწვევს შტატის და სახელფასო ანაზღურების გაზრდის საშუალებას. შესაბამისად, დტსუ-ს ხუ-ის რეკომენდაციაა - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლამ მონახოს კოლაბორანტები (ქვეყანაში, კონსულტანტები საზღვარგარეთ) ერთობლივი კვლევის დასაგეგმად რათა შემუშავდეს ამ მიმართულებით ღირებული პრაქტიკული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დებულება: დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში (დტსუ) პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ (დანართი #56) 2. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ცხრილი (დანართი #57)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

1. უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პედაგოგიური დატვირთვის დოკუმენტი, რომელიც აკადემიური პერსონალის განვითარებაზეა ორიენტირებული;
2. პედაგოგიური დატვირთვა, მისი სახეები და ა.შ გაზიარებულია დტსუ-ს აკადემიური საზოგადოების მიერ და დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე.
3. დოკუმენტი სასარგებლოა სასწავლო მუშაობის და მისი სპეციფიური მახასიათებლების მოცულობის გაანგარიშებისათვის სასწავლო ცხრილის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაგეგმვის, ანგარიშებისა და კონტროლისთვის
4. პროფესიული კადრის ზრდისთვის შემუშავებული და განხორციელებული პროექტები; საკითხთან მიმართებაში უნივერსიტეტში არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა;
5. პერსონალის არჩევის (აფილირების გათვალისწინებით - აფილირების წესის მიმართ შედარებით რბილი მიდგომა, რაც გულისხმობს აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობის შენარჩუნებას არჩევის ვადითა და დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებით)კანონმდებლობის მოთხოვნასთან შესაბამისი წესის არსებობა

გასაუმჯობესებელი მხარეები

1. დატვირთვისა და ანგარიშგების ახალი წესის ეფექტური იმპლემენტაცია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დტსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სამუშაო ნორმათა (უფრო მეტად ციფრსა და %-ზე ორიენტირებით) ანალიზი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფაქტობრივი შესრულებისა და კონტროლის მექანიზმებზე მონიტორინგის შეფასების ანგარიში;
4. პროფესიული პედაგოგიური დატვირთვის შრომითი დანახარჯების მეცნიერულად დასაბუთებული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვა;. სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები;
უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

აღწერა და შეფასება

სწავლების საფეხურის მიხედვით დმ (ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, დოქტურანტურა) დტსუ-ში მოქმედებს რექტორის საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის წესი; ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ასევე ასახავს დტსუ-ში ჩარიცხვის პროცედურებს საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, მობილობისა და სტუდენტთა რეგისტრაციის წესს, კვალიფიკაციის მინიჭების, სტუდენტთა უფლება-მოვალეობების, სწავლის დასრულების

ან შეჩერების საფუძვლებს, წახალისების ფორმებს (დანართი #58, #59, #39).

სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით, ასევე „ასეთის“ გარეშე – საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც სრული ზოგადი ან ექვივალენტური განათლება მიღებული აქვს ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში; უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებმაც ზოგადი ან ექვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში – დტსუ-ში ირიცხებიან ქართული კანონმდებლობის სრული დაცვით; აბიტურიენტებთან, რომელთაც აქვთ სურვილი ისწავლონ დტსუ-ში, ჩარიცხვასთან დაკავშრებული კომუნიკაცია და პროცედურები ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, რაც შემუშავებულია ქართული კანონმდებლობის წესების სრული დაცვით. აბიტურიენტებისთვის მოთხოვნილი მაპროფილებელი საგნებია ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა და მათემატიკა, სავალდებულოა ინგლისური ენის კარგად ცოდნა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხვის შემთხვევაში აღნიშნულს უზრუნველყოფს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი; სხვა აპლიკანტთა ჩარიცხვის უფლებას იძლევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სპეციალური ადმინისტრაციული აქტის მეშვეობით, ბრძანება #224/ნ2011 წ. 29 დეკემბერი.

დტსუ-ში ჩარიცხვის შესაძლებლობისთვის (უცხოეთში მიღებული განათლება) დეკანი (ან დეკანის მოადგილე) აფასებს კანდიდატის მიღწევებს ზოგად განათლებაში (და/ანექვივალენტი), ინგლისურსა და რიგ მაპროფილებელ საგნებში: ბიოლოგია, ა. შ. და იძლევა რეკომენდაციას დტსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში მისი ჩარიცხვის შესაძლებლობების განსაზღვრისა და ჩარიცხვის შემთხვევაში მისი ინდივიდუალური სწავლისთვის ხელშემწყობ ღონისძიებათა რეკომენდაციის მიზნით. ყველა საჭირო პროცედურის გავლის შემდგომ (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წინ აგანათლების აღიარება და შესაბამისობის დადგენა, აბიტურიენტისთვის ვიზის გაცემის, სწავლის საფასურის გადახდა) ხდება დტსუ-ში მისი სტუდენტის აქტიური სტატუსით რეგისტრაცია.

უნივერსიტეტი ჩარიცხვის გადაწყვეტილების შემთხვევაში სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი პროცედურების ხანგრძლივობის გათვალისწინებით განსაზღვრავს როდის იქნება სტუდენტი სწავლაზე დაშვებული, სასწავლო წლის პირველი ან მეორე სემესტრის ფარგლებში.

სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვა: სადოქტორო სწავლებაში კანდიდატის ჩარიცხვის წინაპირობაა ამაგისტრის (ბიოსამედიცინომეცნიერებებში) ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (დიპლომირებული მედიკოსი); ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის. დოქტორანტურაში მიღება წარმოებს ღია კონკურსის საფუძველზე, რომელსაც აცხადებს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი.

დტსუ-ში მობილობით ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასევე გულისხმობს მობილობისთვის შესაბამისი ადგილების არსებობას; და მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვისთვის უნივერსიტეტის მზაობის საჯარო განცხადებას; პროცედურა ასევე გულისხმობს მობილობის მსურველთაგან მოთხოვნილი ინფორმაციის განხილვას.

პროგრამათა შესაბამისობის დადგენით უნივერსიტეტი განსაზღვრავს საკუთარ პროგრამაში სწავლების რომელ სემესტრშია შესაძლებელი მისი ჩარიცხვა; ასევე აკადემიური მოსწრებისა და სტუდენტის მოტივაციის (გასაუბრების მეშვეობით) გათვალისწინებით განსაზღვრავს დტსუ-ში

მისი სწავლის გაგრძელების და/ან დაწყების (პირველი სემესტრიდან) შესაძლებლობას; აწვდის მას სათანადო გადაწყვეტილებას მობილობის მიზნით რეგისტრაციის პროცედურის დასრულებამდე. მობილობაზე დასტურის შემთხვევაში მსურველი გაივლის დტსუ-ში ჩარიცხვის სტანდარტულ პროცედურებს: ხელშეკრულების გაფორმება, დარეგისტრირება, ფინანსური ვალდებულებების ინდივიდუალურიშ ეთანხმება, ა. შ.

აბიტურიენტის დტსუ-ში ჩარიცხვისშემდგომ, იგი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია სტუდენტის სტატუსის გააქტიურებისთვის, რისთვისაც წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტებს და გაივლის სათანადო პროცედურას (დანართი #60), რომლის შემდეგაც მიენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი, შეყვანილ იქნება განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის სტუდენტთა ერთიან რეესტრში, გაიცემა სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელისაბუთი.

დტსუ-ს სტუდენტს აქვს ასევე სემესტრული რეგისტრაციის ვალდებულება, მათ შორის, უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ვალიდაციისთვის, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დაფაროს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური; მას ასევე აქვს შესაძლებლობა ზ/ა ვადაში შეატყობინოს უნივერსიტეტს ხელისშემშლელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების შესახებ წერილობით.

დტსუ-ს სტუდენტს ასევე წარმოექმნება მოდულზე რეგისტრაციის ვალდებულება, თუ სემესტრში სწავლის გადასახადი, როგორც გამონაკლისი და მიზეზის გათვალისწინებით, რექტორის მიერ ნებადართულია გადახდილი იყოს ნაწილ-ნაწილ.

რეგისტრაცია მოითხოვება ელექტივის არჩევისას: ელექტიური კურსის/პრაქტიკის გავლისთვის (პროგრამით გათვალისწინებულ) პერიოდამდე 6 თვით ადრე (დაარანაკლებ 3 თვისა) საზღვარგარეთ კურსის გავლის დაგეგმვისა და არანაკლებ 1 თვისა საქართველოს ფარგლებში კურსის გავლის შემთხვევაში, სტუდენტი განცხადებით მიმართავს დეკანს მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთანხმების, დასტურისა და რეგისტრაციისთვის (დანართი #39). კვალიფიკაციები, რომლებზეც ხდება კანდიდატთა რეკომენდირება არის დიპლომირებული მედიკოსი [დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა, ერთსაფეხურიანი; დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა (ე-პდს), ერთსაფეხურიანი], მედიცინის დოქტორი (ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, მედიცინის ან ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი).

დიპლომირებული მედიკოსის სწავლების მთლიანობაში შეფასება ხდება პროგრამის დამაკმაყოფილებლად დასრულების შემთხვევაში; ფასდება ორი დონით და გაიცემა ორი სახის დიპლომი

ა) წარჩინების - გაიცემა წარჩინების დიპლომი

ბ) სხვა სახის - გაიცემა დიპლომი

კურსდამთვრებულს, რომელიც დტსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა სტაბილურად მაღალი აკადემიური მოსწრებითა და სანიმუშო ყოფაქცევით, გადაეცემა წარჩინების დიპლომი.

ა)სტაბილურად მაღალი აკადემიური მოსწრება ითვალისწინებს მთლიანი პროგრამის არანაკლებ 75% სასწავლო მოდულისა და კურსში ჯამურ და დისციპლინარულ შეფასებაში შეფასება “A”-ს; კურსებისა და მოდულების მაქსიმუმ 25%-ში - შეფასება “B”-ს.

საკვალიფიკაციო გამოცდების წარჩინებით შეფასება.

ბ)სტუდენტს სწავლის პერიოდში (როგორც მინიმუმ) არ უნდა ჰქონდეს მიღებული დისციპლინარული სასჯელი (დანართი #39).

სწავლა შეიძლება დასრულდეს სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ (მინიმუმ 12 აკადემიური სემესტრი) ვადაში ან გახანგრძლივდეს.

სწავლა შეიძლება დასრულდეს სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ (მინიმუმ 12 აკადემიური სემესტრი) ვადაში ან გახანგრძლივდეს ამ ვადის ზემოთ დამატებითი სემესტრით, სემესტრის განმეორების აუცილებლობის შემთხვევაში (არაუმეტეს დამატებით 10 სემესტრის გამოყენების უფლებით 5 წლის ვადაში) (დანართი #39); სტუდენტის მიერ საკუთარი ან/და უნივერსიტეტის ინიციატივით სტატუსის შეჩერების ან/და შეწყვეტის შემთხვევაში. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი (ქართული კანონმდებლობის შესაბამისად), შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ უნივერსიტეტს შეუძლია შეუწყვიტოს სტუდენტს სტატუსი. სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს აღნიშნული 5 წლის განმავლობაში შეჩერებული სტატუსის აღდგენა. სტუდენტთა მობილობა უნივერსიტეტში ცხადდება წელიწადში 2-ჯერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთაც ასეთი სურვილი აქვთ შეუძლიათ ისარგებლონ შიდა მობილობით დმ-ისპროგრამების (დმ; დმე-პდს) ფარგლებში წელიწადში ორჯერ (დანართი #58, #59).

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა: 1) თითოეული პროგრამისთვის განსაზღვრული ქვოტის (სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა კონკრეტულ პროგრამაზე) ფარგლებში ისარგებლონ შიდა მობილობით, მათ შორის ერთერთის შეცვლის (ან გაუქმების შემთხვევაში განაგრძონ სწავლა მეორე პროგრამაზე); 2) ორივე პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით დადგება სტუდენტის მიერ სასწავლებლის შეცვლის საკითხი, რის თაობაზეც სასწავლებელი უშუამდგომლებს მათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

სხვა უნივერსიტეტებში გადასვლის მსურველი სტუდენტებისთვის საჭირო დოკუმენტების და/ან მათი სწავლის შესახებ დამადასტურებელი ყველა საბუთის მიწოდება ხდება შეუფერხებლად (დანართი #38).

სტუდენტი, როგორც აკადემიური საზოგადოების წევრი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის მიერ მიღებული/გაცხადებული ყველა ის ნორმა, რეგულაცია, წესი, რომელიც ასახულია სტუდენტთა ქცევის (სტუდენტთა შინაგანაწესი) და სტუდენტთა ეთიკის ამსახველ დოკუმენტებში; არსებობს საუნივერსიტეტო საქმიანობის პრაქტიკაში და ემსახურება უნივერსიტეტში აკადემიური პროცესის განმტკიცებას, კეთილსინდისიერებას, ურთიერთპასუხისმგებლიანობას და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული საქმიანობის განვითრებას. სტუდენტისთვის შეუფერებელი ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ინფორმირებული იქნება დეკანი. იგი უფლებამოსილია ასეთ შემთხვევებზე ადექვეტურ რეაგირებაზე, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (სტუდენტის სტატუსთან შეუფერებელი საქციელის მიზეზით) საკითხის დაყენების ჩათვლით, რომელთა შესახებ სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია ხელშეკრულების გაფორმებამდე და იგი, როგორც მასზე ხელმოწერილი პირი ვალდებულია იცნობდეს როგორც საკუთარ უფლებებს, ასევე ვალდებულებებს: სტუდენტისგან უნივერსიტეტი მოელის თავაზიან ქცევას უნივერსიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ

(საზოგადოებაში); მეცადინეობებზე დროულ გამოცხადებას, სათანადო ჩაცმულობას; ადმინისტრაციული პერსონალისა და პედაგოგების დავალებებისა და/ან რჩევებისადმი პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას; თანასწორთა მიმართ თანადგომას; პაციენტთა მიმართ გულისხმიერ დამოკიდებულებას (დანართი #61, #27, #62).

უნივერსიტეტში ფაკულტეტის პასუხისმგებლობაა აკადემიურ კეთლსინდისიერებაში მაღალი სტანდარტის შენარჩუნება; შესაბამისად სტუდენტის მხრიდან ნებისმიერი მცდელობა თავის ნაშრომად სხვისი ან ნებისმიერი სხვა ნაშრომის წარმოჩენისა, რომელიც მისი შესრულებული (მისი მონაწილეობით შესრულებული) არ არის; ან და გამოცდის შეუსაბამო ფორმით „ჩაბარების“ (ნებართვის გარეშე გარკვეული ლიტერატურის გამოყენება, სხვის მაგივრად გამოცდის ჩაბარება და/ან სხვისი გამოყენება გამოცდის ჩაბარებისთვის და ა.შ. (დანართი #27, #62), მცდელობა ჩაითვლება როგორც განსაკუთრებით სერიოზული დარღვევა; განიხილება როგორც სტუდენტის დისციპლინარული სასჯელის საფუძველი, ხოლო მის მიერ შესრულებული სამუშაო ანულირდება.

ამასთან, არც ერთი სტუდენტის შემთხვევაში აკადემიური დარღვევის გამო არ იქნება მიღებული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და უნივერსიტეტის დატოვების გადაწყვეტილება გამოკვლევის გარეშე და დისციპლინარულ კომიტეტზე მოსმენის შესაძლებლობის გარეშე (დანართი #39, #62).

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა აკადემიური პროგრესის, კეთილსინდისიერების, ექსტრაკურიკულური და საზოგადოებრივი აქტივობების ხელშემწყობი ფინანსური მხარდაჭერა. კერძოდ,

(I) სახელობითი სტიპენდია (დანართი #63): დავით ტვილდიანის სახელობის სტიპენდია მეორე-მეექვსე კურსის სტუდენტებისთვის (თითო კურსზე შეირჩევა თითო სტუდენტი)

ყოველთვიური სტიპენდიის დანიშვნის და გაცემის გამჭირვალე და ობიექტური წესის მიხედვით გადაწყვეტილება მიიღება ერთობლივი საკონკურსო კომისიის მიერ (პროცედურები, ვადები, წარსადგენი დოკუმენტები ასახულია შესაბამის წესში) (დანართი #62)

(II) რექტორის სტიპენდია (გადაეცემა საუკეთესო კურსდამთავრებულს)

(III) შეღავათები წარჩინებული სტუდენტებისთვის (სწავლის ღირებულების გადახდის შეღავათები) (დანართი #39) :

- მომდევნო წლის სწავლის საფასურის 25%-ისოდენობით;
- მომდევნო წლის სწავლის საფასურის 50%-ისოდენობით;
- მომდევნო წლის სწავლის საფასურის 100%-ისოდენობით (წლების დინამიკა ასახული ცხრილ #1-ში);

(IV) აშშ-ს ექიმის სერთიფიკატის (USMLE) გამოცდების დაფინანსება; ასევე,

(V) წლის საუკეთესო სტუდენტის სტატუსის მინიჭება (დანართი #62);

(VI) სხვადასხვა აქტივობებისათვის მადლობის გამოცხადება პირად საქმეში შეტანით (დანართი #62);

(VII)პარტნიორი ორგანიზაციებისა და კლინიკების მიერ სპეციალურად დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის დაწესებული სტიპენდიები (დანართი #64).

დტსუ უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, რაც შესაბამისია უნივერსიტეტის მისიასთან, წესდებით გაცხადებულ მიზნებთან და ამოცანებთან; სტუდენტის უფლებები და მოვალეობები გაწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის:

სტუდენტთა შინაგანაწესში, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, განათლების აღიარებისა და სტატუსის აღდგენის შესახებ წესი, სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, შემაჯამებელი გამოცდების ჩატარების წესში. სტუდენტი, რომელიც ირიცხება დტსუ-ში, რეგისტრაციის გავლის შემდეგ უნივერსიტეტთან დებს ხელშეკრულებას; ხელშეკრულება იბეჭდება ორ ეგზემპლიარად. ხელშეკრულების ფორმა და ნიმუშები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ცხრილი 1. 2011-2012 სასწავლო წლიდან დღემდე წარჩინებული სტუდენტების დაფინანსების დინამიკა



მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, ასევე სწავლის აღიარების წესი (დანართი #58)
2. სადოქტორო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, ასევე სწავლის აღიარების წესი (დანართი #59)

3. უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები (დანართი #61)
4. სტუდენტთა ეთიკის კოდექსი (დანართი #27)
5. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი #61

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება;
უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას და საქმებასა და კარიერულგანვითარებასთანდაკავშირებით;
უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა დ აღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას;
უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

აღწერა და შეფასება

სტუდენტების დახმარების პრაქტიკა საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში არსებობს სამედიცინო სკოლა „აიეტი“-ს დაარსებიდან. ამჟამად, პროცესი განვითარდა და უფრო ფორმალიზებული გახდა; კერძოდ აკადემიური პერსონალის მხრიდან სტუდენტთა დახმარება (რაც ყოველთვის, ყველგან აღიარებულია როგორც აკადემიური საქმიანობის ორგანული და განუყოფელი ნაწილი) პედაგოგიური დატვირთვის ნორმების გაანგარიშებაშია ჩართული: კერძოდ, ჯგუფში კონსულტაციები 20%-მდე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშობის, გამოცდის (ზეპირი) წინა კონსულტაციები 2 სთ -ჯგუფზე; პროფესიული უნარების პროგრესში ატესტაციის წინა - 2 სთ ჯგუფზე, საკვალიფიკაციო გამოცდის წინ 2 სთ ჯგუფზე; კონსულტაცია ინდივიდუალური სტუდენტისთვის - 10%-მდე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშობის მოცულობის; სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაზე დაკვირვება/ზედამხედველობა მათ შორის კონსულტირების მიზნით - 20%-მდე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშობის. ასევე რეფერატების და კვლევითი პროექტების მომზადებაში კონსულტირება (დანართი # 56).
ფაკულტეტის (საუნივერსიტეტო) სტრუქტურები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მზად არიან სტუდენტთა დასახმარებლად: კერძოდ, დეკანატი, მათ შორის სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებაზე რეაგირებისა და დახმარებისთვის:
სტუდენტთა პერსონალური საკითხების განხილვა და რეაგირება (ინფორმაციის და გადაწყვეტილებათა მიწოდება) პირად საქმესთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის დოკუმენტაციის მომზადება სტუდენტთა დახასიათება რეკომენდაციის მიზნებისთვის (ფინანსური დახმარება, კარიერული ზრდა, სწავლის გაგრძელება, ა. შ.)
უცხოელი სტუდენტებისთვის ვიზებსა და დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში დახმარება სტუდენტებისთვის საჭირო ნებისმიერ (სასწავლო პროცესთან დაკავშირებული და/ან პირადი პრობლემები) საკითხზე კომუნიკაცია სტუდენტების ხელშეწყობა პროგრამულ და/ან არაპროგრამულ ინდივიდუალურ სასწავლო-აკადემიურ აქტივობებში ჩართვაში: ინდივიდუალური ტრენინგი, კლინიკური (ძირითადად) და სხვა ფორმატში სწავლა, არჩევითიკურსები, და/ან სხვა (დანართი # 55: სამუშაო აღწერილობები).
კურსდამთავრებულთა კარიერულ ზრდაზე ზრუნვა, უზრუნველყოფა სათანადო/საჭირო

საბუთებით, ნიშნების ფურცლით, დიპლომისდანართით, რეკომენდაცია-დადასტურება, ა. შ.
სტუდენტთა დახმარებაში ჩართულია დეკანატის ყველა თანამშრომელი; ამასთან ყველაზე ხშირი და მჭიდრო კომუნიკაცია სტუდენტებს აქვთ კურსის კოორდინატორთან, რომელიც ჩვეულებრივ „პირველია“ რომელსაც მიმართავს დახმარებისთვის სტუდენტი; კოორდინატორი უწევს მას დახმარებას/კონსულტირებასთავისი უფლებამოსილების ფარგლებში ან მიმართავს დეკანატის სხვა წევრს ან დეკანს სტუდენტის პრობლემასთან დაკავშირებით.
სამეცნიერო საქმიანობაში კონსულტირების ან ორგანიზაციასთან დაკავშირებით სტუდენტს დახმარებას უწევს დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში და ასევე სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტი, რომელიც ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას უწევს დოქტორანტებს და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს (დანართი # 55: სამუშაო აღწრილობები - სამეცნიერო კვლევითი სამსახურის ხელმძღვანელი).; კერძოდ:

- საგრანტო განაცხადის შემუშავებაში
- კვლევის პროტოკოლის შემუშავებაში
- საკვლევ მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების შემუშავებაში
- საკვლევ მონაცემთას ტატისტიკური ანალიზის განხორციელებაში
- სამეცნიერო სტატიის მომზადებასა და გამოქვეყნებაში
- სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებასა და დამუშავებაში
- სამეცნიერო ნაშრომის შეფასება პლაგიატის გამორიცხვის მიზნით
- პერსონალის, დოქტორანტების და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა

სტუდენტებს აკადემიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრის მიზნით შეუძლიათ მიმართონ დეკანატს და მიიღონ შესაბამისი ინდივიდუალური ან ჯგუფური დახმარება დამატებითი სასწავლო კურსის ფორმით; და/ან შესაბამისი კონსულტაციები სარეზიდენტო გამოცდების მომზადების პროცესის ხელშეწყობისთვის (დანართი #39). ასეთი სახის დამხმარებას სტუდენტებს დტსუ-ს კურსადმთავრებულებიც უწევენ, რომლებიც ამჟამად საზღვარგარეთ მოღვაწეობენ.
უნივერსიტეტში არსებობს „თანასწორთა თანადგომის ცენტრი“, რომელიც მრავალი წელია არსებობს ასეთ ფორმატში: კლინიკის კურსის სტუდენტები ეხმარებიან პირველკურსელებს საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების საკითხების დამუშვებაში: „ახსოვთ რა უჭირდათ თვითონ და როგორ გაუმკლავდნენ“. ამჟამად ეს ფორმატი გაფართოვდა: უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო ასოციაცია, რომელიც ატარებს კონფერენციებს და „ახალბედა“ აპლიკანტებს ეხმარება მათ შორის სამეცნიერო ნაშრომის პრეზენტაციასთან დაკავშირებით კონსულტაციებით.
უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს დაინტერესებულ სტუდენტთა ჩართულობას საინტერესო სტუდენტურ და პროფესიულ ღონისძიებებში (დანართი #65). უკვე ტრადიციად იქცა დტსუ სტუდენტთა მონაწილეობა:

- ანტვერპენის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლა ვაქცინოლოგიაში (ბელგია) მონაწილეობენ ყოველწლიურად (2014 წლიდან)
- მოლეკულური ბიოლოგიის ყოველწლიური სიმპოზიუმი, კიოლნი (გერმანია) მონაწილეობენ 2016 წლიდან
- ასევე რიგ საერთაშორისო სტუდენტურ და პროფესიულ კონფერენციებში მონაწილეობა

- 10 წელია დტსუს ტუდენტები გაცვლითი პროგრამით (ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული იყო 70 სტუდენტი) მიემგზავრებიან და მედიცინის სხვადასხვა მიმართულებით (ირჩევენ სურვილის, მომავალი კარიერული არჩევანის მიხედვით) სასწავლო პრაქტიკის მისაღებად კლაიპედას საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის სამსახურის მიერ დტსუ-ს აშშ-ში მოღვაწე კურსდამთავრებულებთან ურთიერთობით განხორციელდა სპეციალური პროექტი, რომელმაც საშუალება მისცა 20 მეექვსეკურსელს აშშ-ს სხვადასხვა კლინიკებში გაევლო პრაქტიკა
- უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გერმანიის ქალაქ მაინცის მეტაბოლიზმის და ჰორმონების ცენტრში დტსუ-ს სტუდენტებს (საკუთარი არჩევანის საფუძველზე) აქვთ პრაქტიკის გავლის საშუალება
- უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს სტუდენტების მიერ ინდივიდუალურად მოძიებულ შესაძლებლობებს დამატებითი პრაქტიკა გაიარონ ევროპის, აშშ, ინდოეთის კლინიკებში ერთჯერადად გაფორმებული სასწავლო შეთანხმების საფუძველზე.
- უნივერსიტეტი მხარს უჭერს უნივერსიტეტის სტუდენტებს პროფესიონალიზმში ზრდას სტუდენტურ პროფესიულ ორგანიზაციებში მათი ჩართულობის ხელშეწყობით (მათ შორი სფინანსური)
- დტსუ-ს სტუდენტების ქართულ ინტერნაციონალური სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაციასთან (GIMPHA) თანამშრომლობას და მათ ღონისძიებებშ იჩართულობას
- ევროპის MD/PhD ასოციაციის წევრობას და აქტიურ მონაწილეობას
- მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) შეხვედრებსა და მუშობაში უნივერსიტეტის სტუდენტთა ხელშეწყობას [მათ შორის საქართველოში მისი „შვილობილი ორგანიზაციის“ საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია (GMSA) ხელშეწყობით].
- ამერიკის ქირურგთა ასოციაციის კლინიკურ კონგრესზე (American College of Surgeons) მონაწილეობა.
- განსაკუთრებითსაყურადღებოა, რომ სტუდენტების უმრავლესობა ამ შესაძლებლობებს იყენებს სხვა თანატოლებში გამოცდილების გასაზიარებლად. ასეთი სტუდენტური ინიციატივა (რომელიც სრულად მხარდაჭერილ იქნა უნივერსიტეტის მხრიდან) არის დტსუ-ში სტუდენტების მიერ ქირურგიის საბაზისო უნარ-ჩვევებში ინტერესისჯგუფის (SIGA) დაარსება, რომელშიც გაწევრიანდა 45 სტუდენტი. შემუშავდა ე. წ. peer-კურსი იმ სტუდენტთათვის, რომელებიც კარიერული ზრდისთვის არჩევანს ქირურგიის დარგსა და სპეციალიზაციებში გეგმავენ. ტრენინგების ჩასატარებლად მოემზადა 4 სტუდენტ-ტუტორიდა 3 სტუდენტ-ტუტორის ასისტენტი; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ჯგუფის ტრენინგს (i) საინტერესოდ და სასარგებლოდ თვლიან სტუდენტები; შესაბამისად (ii) კურსი სასარგებლოა სტუდენტთა კარიერული არჩევანის და ზრდის თვალსაზრისით; (iii) უნივერსიტეტის მხრიდან ამ ჯგუფის მუშაობის ფინანსური და ადმინისტრაციული ხელშეწყობა უნდა გაგრელდეს. ასევე შემუშავდა რეკომენდაციები კურსის განვითარების მიზნით (დანართი # 66).
- მედიცინის ამ სპეციალობაში (ქირურგიული უნარ-ჩვევები) სტუდენტთა

ურთიერთთანამშრომლობის და დახმარების აღნიშნულ ფორმატში საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: ხარისხის შეფასების ჯგუფმა ჩაატარა უფროსკურსელთა გამოკითხვა სადაც საკუთარ კარიერულ არჩევანში უკვე ჩამოყალიბებული სტუდენტები ყველაზე ხშირად „ქირურგიაში სპეციალიზაციაზე“ - არჩევანზე მიუთითებენ, რაც კიდევ ერთხელა დასტურებს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა ურთიერთთანადგომის ამ ფორმატს მომავალში კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა დასჭირდება (დანართი # 67).

უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ საკითხი (კარიერულ ზრდაში მედიკოსი სტუდენტების ხელშეწყობა) ბევრად უფრო კომპლექსურია ვიდრე მათთვის "სამუშაო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება" (ასევე მნიშვნელოვანი), და/ან დამსაქმებელთან კომუნიკაციის ხელშეწყობა (ასევე მნიშვნელოვანი) მათი სწავლის პერიოდშივე ჩართვა მათთვის საინტერესო დარგის პროფესიული ასოციაციების მუშაობაში. ამასთან, რამდენადაც მედიკოსი სტუდენტის კარიერული არჩევანი დიდ უმრავლეს შემთხვევაში სამედიცინო სკოლაში სწავლის პერიოდში ყალიბდება, მასზე „წესით“ გავლენა უნდა ჰქონდეს (სწორი და სწორად არჩევანთან მიმართებაში), არა მხოლოდ „ინტერესს“ (ემოციური ფაქტორის მაგალითი) და/ან მაგ: „შემოსავალს“ ერთი შეხედვით ქირურგიისადმი რაციონალური მიდგომის მაგალითი, არამედ ბევრ სხვა ფაქტორს: პროფესიონალურს და ცხოვრების სტილთან მიმართებაში მოლოდინებს და მათ რიგ ასპექტებს, მიზნებს, სასურველ სამუშაო ადგილს (გეოგრაფიული, დიდი/მცირე ქალაქი, ა. შ. „მიზნების“, „მოლოდინებისა“ და „სურვილების“ კონტექსტში. სამედიცინო დარგში კარიერულ არჩევანში დახმარებაში სწორი მიდგომა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამ საკითხზე ერთობლივ (მრჩეველი-სტუდენტი) ფოკუსირებას. შესაბამისად, უნივერსიტეტში შეიქმნა კარიერული განვითარების ხელშეწყობის ცენტრი (დანართი #68), რომელიც თავის მომავალ მუშაობაში გაითვალისწინებს და დაგეგმავს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას სწორედ ზ/ა კონტექსტშიც; ვალდებულება ასახულია სამოქმედო გეგმაში (დანართი #4).

ურთერთთანამშრომლობის კარგი ტრადიცია ჩამოყალიბდა სტუდენტებსა და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტს შორის. უნივერსიტეტის ეს სტრუქტურა ხელს უწყობს როგორც მის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში სტუდენტთა ჩართულობას, ასევე სტუდენტებს მათ მიერ შეთავაზებული ინიციატივების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებით, ა. შ) განხორციელებაში (იხ. მათ შორის ამ ანგარიშის ქვეთავი 1.2.) ერთობლივი ექსკურსიებით, სოციალურ აქტივობებსა და სპორტულ ღონისძებებში ჩართულობით (დანართი # 65).

უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას და შემუშავებული აქვს სწავლის გადახდის მოქნილი საშეღავათო სისტემა; სტუდენტს ეძლევა საშუალება სემესტრში სწავლის საფასური მოდულურად გადაიხადოს (სემესტრში ჩვეულებრივად 3-ჯერადად) ან ინდივიდუალურად (გარკვეულ შემთხვევებში) განსაზღვრული გეგმისმიხედვით. ბოლო ორი წლის განმავლობაში 2-ჯერ გაიზარდა დმ სტუდენტისთვის მოდულურად გადახდის შეღავათები (ცხრილი #2), ასევე სადოქტორო სწავლაში შეღავათი (ცხრილი #3)

ცხრილი 2. 2011-2012 სასწავლო წლიდან დღემდე მოდულური შეღავათების დინამიკა



ცხრილი 3. ფინანსური შეღავათებით სარგებლობის დინამიკა დოქტორანტებისთვის:



მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი # 39)
2. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით (დანართი # 34)
3. კარიერული განვითარების მხარდაჭერის ცენტრი (დანართი # 68).
4. ვებგვერდი http://siga.ge/

5. SYSSA დებულება (დანართი #69)
6. განხორციელებული სტუდენტური ინიციატივები (დანართი # 65)
7. SIGA - ანგარიში (დანართი # 66)
8. სტუდენტთა რეგისტრაციის წესი (დანართი # 60)
9. სტუდენტთა შინაგანაწესი (დანართი # 62)
10. პედაგოგიური დატვირთვის დოკუმენტი (დანართი # 56).

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

1. დტსუ-ში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და პრაქტიკა უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვას;
2. სწავლის ფინანსური ხელშეწყობის არსებული სისტემა;
3. დტსუ-ს მიერ სტუდენტთა სწავლის მოტივაციის მიზნით ორგანიზებული სასტიპენდიო ფონდი;
4. სტუდენტთა ინიციატივების ორგანიზაციული, აკადემიური და ფინანსური ხელშეწყობის პრაქტიკა;
5. „თანასწორთა თანადგომის ცენტრი“ და სტუდენტთა ურთიერთდახმარების ხელშეწყობა;
6. კარიერული ზრდის ხელშეწყობისათვის სპეციალური სამსახურის შექმნა;
7. სტუდენტების საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელშეწყობა;
8. სტუდენტების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტთან კარგი თანამშრომლობითი გამოცდილება

გასაუმჯობესებელი მხარეები

1. კარიერული ზრდის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის დანერგვა უნივერსიტეტში;
2. სტუდენტთა ინიციატივების ხელშეწყობის გაგრძელება და მეტი ფინანსური შესაძლებლობების შექმნა მათ მხარდასაჭერად

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1. კვლევითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას;
სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა;
უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

აღწერა და შეფასება

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი პროფილირებული უნივერსიტეტია, რომელშიც საქმიანობს სრულიად განსაზღვრული ინტერესების („სამედიცინო კვლევები“) კადრი; ამასთან თავად „სამედიცინო კვლევები“ (მათ შორის ამ ტექსტში გამოყენების მიზნით) განკუთვნილია კვლევებსა და სამედიცინო ცოდნაზე გამიზნულ აქტივობათა ძალზე ფართო ჩამონათვალზე. შესაბამისად, უნივერსიტეტის პროფესურის სამეცნიერო ინტერესი ორიენტირებულია ”მრავალფეროვან“ სამედიცინო პრობლემატიკის ფართო ჩამონათვალზე (იგულისხმება

დაავადებათა სამედიცინო სპეციალიზაციის თვალსაზრისით კუთვნილება: დიაბეტი, ინფექციური დაავადება და ა. შ.) ამასთან, ზემოთ ხსენებული აქტივობა შეიძლება მოიცავდეს როგორც სამუშაოს ჩატარებულს მოლეკულურ, უჯრედულ დონეებზე, ასევე ერთიან მოდელთა (ექსპერიმენტული ცხოველი) დონეზე, კლინიკურ კვლევებსა და ობსერვაციულ დაკვირვებას პოპულაციის და სუბპოპულაციის დონეებზე, მეტაანალიზს, ფოკუს ჯგუფებთნ დისკუსიასა, ინტერვიურებას და სხვა სახის კვლევებს (დანართი #71, #81).

ერთი დარგის (მედიცინის) ფარგლებში ასეთი ფართო ჩამონათვალის ინტეგრაცია შესაძლებელია და დტსუ-ს საერთო კვლევითი ინტერესი ფორმულირდება როგორც: ნორმისა და პათოლოგიის სტრუქტურული და ფუნქციური ბაზისი, დაავადებათა მართვის სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორები და უმაღლესი სამედიცინო განათლების პროფესიონალიზაცია (დანართი #31: სადოქტორო პროგრამა); ამ ინტერესის შესაბამისია ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო პროგრამა, რომელშიც ზ/ა ინტერესია გათვალისწინებული და კვლევითი კომპონენტი ხორციელდება სამი მიმართულებით:

- ნორმალური და პათოლოგიური პროცესების სტრუქტურული, მოლეკულური, ბიოლოგიური დაფუნქციური საფუძვლები, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ორ ქვემიმართულებად:
  - ბიომარკერების თანამედროვე გამოყენება და მომავალი პერსპექტივები.
  - ადამიანის ორგანიზმის მოლეკულური და უჯრედოვანი რეაქციები პათოლოგიურ პროცესებზე.
- დაავადებათა ეტიოლოგიის, კლინიკური მიმდინარეობისა და მკურნალობის, აგრეთვე, პრევენციის, სკრინინგისა და ეპიდემიოლოგიის განმსაზღვრელი ფაქტორები.
- სამედიცინო განათლების ნოვატორული განვითარების სამეცნიერო საფუძვლები.

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ მიმდინარე კვლევებს შეაქვს წვლილი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მეცნიერებისა და სამედიცინო პრაქტიკის განვითრებაში: (i) საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამედიცინო პროგრამას, ისევე როგორც ჯანდაცვით სისტემას და მთლიანობაში სამედიცინო პრაქტიკას აქვს კულტურალური მდგენელი და მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებს შორის. უნივერსიტეტში ჩატარებული ყველა კვლევითი პროექტისთვის (მათ შორის უპირველესად სადოქტორო პროექტის ფარგლებში მიმდინარე) გარდა საკუთრივ სამეცნიერო ღირებულებისა სავალდებულოდ მოთხოვნილია კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობათა/რეკომენდაციათა მოწოდება, რასაც ეროვნულ (შესაბამისად რეგიონულ) და საერთო დონეზე წვლილი შეაქვს პაციენტზე ორიენტირებული ახალი ცოდნის შექმნაში; ასევე (ii) ზოგადად, მთელს მსოფლიოში ხშირ (კვდ, ორსულთა პათოლოგიები, დიაბეტი, კიბო) ან იშვიათ (ვესტის სინდრომი, პედიატრიული არტერიული იშემიური ინსულტი) პათოლოგიათა ეტიოლოგიის, პათოგენეზის, მართვის, პრევენციის კვლევის საკითხები ამდიდრებს საერთაშორისო დონეზე საკითხთან მიმართებაში არსებული კვლევის შედეგებს „ხშირ“-ის შემთხვევაში: აღრმავებს პოპულაციური მსგავსების და/ან განსხვავების კუთხით; იშვიათის: მინიმუმ ხელს უწყობს ცოდნის შეგროვებას“); (iii) მონაწილეობს საერთაშორისო კვლევებში (მაგ: ექსფოლიაციური სინდრომის ეპიდგენეტიკური მახასიათებლის კვლევა); (iv) ფოკუსირებს ეროვნულ პრობლემატიკაზე (ტუბერკულოზი) მათ შორის საერთაშორისო კვლევის ფარგლებში (ემორის უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული ერთობლივი კვლევა); და ა.შ (იხილეთ ჩატარებული/მიმდინარე კვლევები).

ყველა მათგანი ამა თუ იმ კუთხით ემსახურება დაავადებათა პრევენციის ან ავადმყოფის მოვლის/მართვის გაუმჯობესების საკითხებს, შესაბამისად, საზოგადოებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მათი (კვლევათა) სარგებელი ადვილად „იკითხება" კვლევის მიზნებშივე, ხოლო კვლევის შედეგებზე დაფუძვნებული სამეცნიერო მიგნებების ინტერპრეტაცია პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციებშია ასახული (დანართი #72, #73).

უნივერისტეტს აქვს, მათ შორის სადოქტორო კვლევის ფარგლებში, სამეცნიერო-კვლევით გარემოს წევრებთან თანამშრომლობის გამოცდილება (დანართი #88); რაც აჩვენებს, რომ უნდა გაგრძელდეს სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად ერთობლივი თანამშრომლობა; სადაც ეს შესაბამისია კოოპერირება კომერციულ და მოგებაზე არა-ორიენტირებულ სფეროებსა და საზოგადოებრივ სერვისებსა და პრაქტიკებთან გამოყენებითი კვლევების და ექსპერიმენტული აქტივობის პროექტების ფორმატში.

უნივერსიტეტს ასევე აქვს საშუალება (ახლად გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში) კვლევითი კოლაბორაცია დაიწყოს ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან (დანართი #88). შესაბამისად, უნივერსიტეტს აქვს ხედვა კვლევით მიმართულებაში გრძელვადიანი განვითარების, რომელიც გულისხმობს როგორც საკუთრივ კვლევითი პროექტების შემუშავებას (კონკრეტული კვლევის ირგვლივ შექმნილი ინტერესთა ჯგუფები, ადგილობრივი და საერთაშორისო კოლაბორაციული თანამშრომლობა) და განხორციელებას, ასევე ახალი კვლევითი კადრის აღზრდისთვის და სადოქტორო პროგრამების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების (ORPHEUS, EUA, და სხვა) მუშაობაში აქტიური ჩართულობის გაგრძელებას ქართველ მეცნიერ-მკვლევართა კრიტიკული მასის შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანისთვის და, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი, დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ განათლებაში (სარეზიდენტო პროგრამები) კვლევის და კვლევითი უნარების გამომუშავებაზე გამიზნული აქტივობების ხელშეწყობისთვის. ამ მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მეცნიერებაზე დაფუძვნებული სწავლების საუნივერსიტეტო კონცეფცია (დანართი #36), რომლის თანმიმდევრული და მუდმივ განვითარებაზე მუშაობა დაწყებულია. დტსუ-ს აკადემიური პერსონალის საქმიანობის აუცილებელ ნაწილს შეადგენს სამეცნიერო საქმიანობა (ინფორმაცია ასახულია დანართ #71-ში) და ასევე ასახული უნივერსიტეტის პერსონალის დატვირთვაში (დანართი #56); კერძოდ, გათვალისწინებულია სადოქტორო ნაშრომების, ისევე როგორც სხვა სტუდენტური კვლევითი ნაშრომების, და/ან საკუთარი კვლევებისთვის, ხელმძღვანელობისთვის, ასევე ოპონირებაში ჩართულობისთვის, სადოქტორო კომიტეტში მონაწილეობისთვის, დოქტორანტის ხელშეწყობისთვის, უნივერსიტეტის მხრიდან სხვა საჭირო მუშაობა.

დტსუ-ში სადოქტორო პროგრამის განაცხადის შემუშავება ხორციელდება ფაკულტეტის ასოცირებილი პროფესორის ან პროფესორის ჩართულობით და პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში იგი ხდება პროგრამის ხელმძღვანელი. დტსუ-ში სადოქტორო კომიტეტის მიერ სამეცნიერო განაცხადის განხილვის შემდეგ იგი მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე და ცხადდება საჯარო კონკურსი. მისი პირობების, ასევე უნივერსიტეტისა და ხელმძღვანელის ხელშეკრულებით გათვალისწინებულის მიხედვით საჭიროა ხელმძღვანელის თანხმობა აპლიკანტის კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაში ჩართვაზე; კერძოდ, იგი იღებს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობას: გაუწიოს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელობა სადოქტორო კვლევითი პროგრამის დასრულებამდე;ეს მოიცავს: დოქტორანტთან ერთად სადოქტორო კვლევითი პროგრამის სამეცნიერო საწილის ეტაპების დაგეგმვას; ზედამხედველობას

სადოქტორო კვლევითი პროგრამის სამეცნიერო ნაწილის შესრულებაზე; სადოქტორო კვლევითი პროგრამის სამეცნიერო ნაწილის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ეტაპობრივი ანგარიშგების უზრუნველყოფას; სადოქტრო კვლევითი პროგრამის გარშემო სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას.დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის აპრობაციისა და დაცვისთვის მომზადებას.

ფორმალურად პროცესის ეფექტურობას უზრუნველყოფს სადოქტორო პროექტის დამაკმაყოფილებლად დასრულება (დაცვა დადგენილ ვადაში 3-6 წელი, დაცული დისერტაციების აბსტრაქტები იხ. დანართი #80-ში); ამასთან, მიუხედავად ხელმძღვანელებით დოქტორანტების კმაყოფილების (დანართი #74), მათი ნაწილი ვერ ახერხებს ვადებში დაცვას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული და ობიექტური მიზეზების გამო (ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემასა და ზოგად სამეცნიერო გარემოში მიმდინარე „ოპტიმიზაციის“ პროცესები). ამჟამად ამ პროცესებმა ბევრად სტაბილური სახე მიიღო; შესაბამისად, უნივერსიტეტის გადაწყვეტილება ფინანსური სახდელის დაუკისრებლად ხელი შეეწყო დოქტორანტებისთვის, სწორი აღმოჩნდა, რადგან დასრულების ფაზაშია 9-10 სადოქტორო პროექტი: კვლევა დასრულებულია და მზადდება საჯარო დაცვისთვის. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ ხელმძღვანელების ეფექტურობას მრავალი ასპექტი (ხელმძღვანელობისთვის მზაობა, გამოცდილება, დრო და ა. შ.) შეიძლება განსაზღვრავდეს; მაგრამ ერთი ჩვენი დაკვირვებით მნიშვნელოვანი არის კვლევებში უცხოელი თანახელმძღვანელების და/ან გარე დაფინანსების არსებობა; რასაც უნივერსიტეტი ბოლო წლებში ითვალისწინებს და ასახულია განვითარების სტრატეგიაში: ანუ მიზანმიმართულად ხელშეწყობილია გარე დაფინანსების მოპოვება (სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის კურირებითა და დახმარებით) და უცხოელი კოლაბორანტის ჩართვა (სადაც ეს მიზანშეწონილია) კვლევის ხელმძღვანელობასა და/ან შეფასებაში.

სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელობის (ხელმძღვანელი/დოქტორანტი) ეფექტურობის ხელშეწყობისთვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეიქმნა სადოქტორო კომიტეტი (დანართი #75), ახალი სტრუქტურა (სამეცნიერო კვლევითი სამსახური). დეკანს ჰყავს მოადგილე სამეცნიერო დარგში.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სადოქტორო ნაშრომის შეფასების და დაცვის პროცედურები ხორციელდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და დტსუ-ს სადოქტორო სწავლების მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახული წესის დაცვით (დანართი #76).

დტსუ სადოქტორო სასწავლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო ნაშრომის შეფასების და დაცვის მაღალი სტანდარტის უზრულველყოფისათვის დტსუ- ს სადოქტორო პროგრამა ამავდროულად ითვალისწინებს უმაღლესი განათლების საკითხებზე მომუშავე ევროპულ სისტემაში ბიომედიცინისა და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ორგანიზაციის (ORPHEUS) მიერ შემუშავებულ სტანდარტებს (PhD სწავლების საუკეთესო პრაქტიკა). რაც ხელს უწყობს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების საერთაშორისო დონის შესაბამისობას და ინტერნაციონალიზაციას.

სამეცნიერო პროექტის განხორციელების, შეფასება/დაცვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების გამჭირვალობა და სამართლიანობა დტსუ-ში უზრუნველყოფილია სამეცნიერო კვლევების დარგში საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით ადგილობრივ, ეროვნულ და

საერთაშორისო საკვლევ ცენტრებთან პარტნიორული და კოლაბორაციული თანამშრომლობით.
დტსუ-ს სადოქტორო სწავლების მარეგულირებელი დოკუმენტი, „სადისერტაციო საბჭოს დებულება“ განსაზღვრავს დტსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ სადისერტაციო საბჭოს შედგენის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს. ხოლო დოკუმენტი „დოქტორანტურის დებულება“ აწესრიგებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში დაშვების, მონაწილეობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს (დანართი #76).
დტსუ-ში სადოქტორო სწავლების მარეგულირებელ დოკუმენტებში პროცედურულად გაწერილია სადოქტორო შრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესები, კერძოდ: მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისადმი; გამოქვეყნების ვალდებულებები, (მათ შორის საერთაშორისო დონის); სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა; დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა და შეფასება; აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურა; დიპლომის გაფორმება და გაცემა.
დისერტანტმა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამეცნიერო პუბლიკაციის ფორმალურ სტანდარტებს და გაფორმებულია აკადემიური წერის სტილის დაცვით, ნაბეჭდი და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს სადოქტორო კომიტეტს. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. (ამასთან, დოქტორანტის მოთხოვნით და ინდივიდუალური განცხადების საფუძველზე სადოქტორო კომიტეტის გადაწყვეტილებით, დასაშვების დისერტაციის ინგლისურ ენაზე ჩაბარება). მას აუცილებლად უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი ქართული და ინგლისურენოვანი ვერსია (ავტორეფერატი).
დისერტაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მახასიათებლებს: სიახლე, აქტუალობა, კვლევის სამეცნიერო/თეორიული და პრაქტიკული დანიშნულებადა ა.შ. ჰიპოთეზები და კვლევისმიზნით დასმული პრობლემები უნდა იყოს ჯეროვნად დასაბუთებული. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია თანამედროვე და კვლევის მიზნის შესაბამისი. ყველა რეკომენდაცია და შეთავაზებული დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს დისერტაციაში არსებული ანალიზიდან. დისერტაციაში ასახული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევის დასაბუთებული შედეგები. ნაშრომს უნდა ახასიათებდეს სამეცნიერო სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.
დაცვაზე დაშვებამდე უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირი აფასებს პირველადი მასალის სანდოობას, ნაშრომი გადის აპრობაციას (პირველადი შეფასება ინსტიტუციასა/განყოფილებაში, სადაც შესრულდა კვლევა) და მისი დადებითი დასკვნის (ასახული ოქმში) შემთხვევაში ნაშრომი იგზავნება ოპონენტებთან (ოპონენტების შემადგენლობას, ისევე როგორც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭოსადოქტორო კომიტეტის წარდგინებით).
დტსუ-ში საჯარო დაცვა მიმდინარეობას მაქსიმალურად გამჭირვალე და დადგენილი წესების დაცვით, მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობით.
სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. ხარისხის მინიჭებისათვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედის მიღება. კენჭისყრა დაკენჭისყრის შედეგების დაფიქსირება ხდება სადისერტაციო საბჭოს მიმართ დადგენილი პროცედურული მოთხოვნების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების (არ მინიჭების) შესახებ სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე აცნობს აკადემიური საბჭოს წევრებს. აკადემიური საბჭო, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების განხილვისას, აფასებს: ხარისხის

მაძიებლის მიერ დაგროვილი კრედიტების შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მინიმუმთან და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისათვის დადგენილი მოთხოვნების და პროცედურების დაცულობის ხარისხს; საექსპერტო კომისიის (ოპონენტების) დასკვნებს; სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვისათვის დადგენილი პროცედურების დაცულობის ხარისხს.

ამ დადგენილი საკითხების განხილვისას აკადემიური საბჭო სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: ხარისხის მაძიებლისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ან ხარისხის მაძიებლისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

ხარისხის მაძიებელს უფლება აქვს მოითხოვოს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ასლი; გააპროტესტოს ფარულიკენჭისყრის შედეგები სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი დღის ვადაში, თუ მისი აზრით, დაცვის მსვლელობისას მოხდა პროცედურული დარღვევები; ერთი წლის ვადაში კვლავ წარმოადგინოს დასაცავად დისერტაციის გადამუშავებული ვარიანტი, რომლის განხილვაც მოხდება იგივე წესით.

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ხარისხის მაძიებლის მიერ დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (დანართი #76).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ინფორმაცია დტსუ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შესახებ (დანართი #71)
2. უნივერსიტეტის კვლევების განვითარების სტრატეგია (დანართი #72)
3. დტუს-ში განხორციელებული და დაგეგმილი კვლევების შესახებ ანგარიში (დანართი #73)
4. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის შესახებ და შედეგების გამოყენების ანგარიში (დანართი #74)
5. სადოქტორო კომიტეტის დებულება (დანართი #75)
6. სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი (დანართი #76)
7. სადოქტორო პროგრამა (დანართი #31)
8. მეცნიერებაზე დაფუძვნებული სწავლების საუნივერსიტეტო კონცეფცია (დანართი #36)
9. ხელშეკრულებები ბაზებთან (დანართი #88)
10. პედაგოგიური დატვირთვის დოკუმენტი (დანართი #56)
11. დაცული სადოქტორო ნაშრომების აბსტრაქტები (დანართი #80)
12. განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში ფაკულტეტების/დეპარტამენტების მიხედვით (აკადემიური პერსონალის აფილირების გათვალისწინებით) (დანართი #81)

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა;
ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში;
უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტს გააჩნია კვლევის განვითარების და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი სისტემა; რომელიც მიზნად ისახავს საკვლევ პრობლემებთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, ხედვების, მიდგომების და პერსპექტივების (მათ შორის შემდგომი კვლევებისათვის) და მათ შორის ახალი საკვლევი იდეების მოძიებაში მხარდაჭერას (დანართი #77). ზემოთ აღნიშნულის

სისტემატიზაცია პირობითად შემდეგნაირადაა შესაძლებელი: (i) მხარდაჭერა შესაბამისი სერვისების მოწოდებით, მათ შორის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად; (ii) ცოდნის მიწოდება შესაბამისი საგანმანათლებლო ფორმატებით; (iii) მკვლევართა და სტუდენტთა გაგზავნა (მათი ინტერესების შესაბამისად) საერთაშორისი ფორუმებზე მოხსენების, მონაწილეობის და ახალი საინტერესო კოლაბორაციული შესაძლებობების მოძიების მიზნით; ასევესხვადასხვა ლაბორატორიებში (ტრენინგი). (iv) პროგრამული მოთხოვნები; (v) სამეცნიერო კონფერენციების ყოველწლიური ორგანიზება.

(i) მხარდაჭერა შესაბამისი სერვისების მოწოდებით გულისხმობს შემდეგს: სამეცნიერო კვლევითი სამსახური, რომლის მიზნებია ინდივიდუალური კონსულტირების გზით და საჭიროებისამებრ: 1. გაუწიოს კონსულტირება მკვლევარს კვლევის დიზაინის და სტატისტიკური ანალიზის განხორციელებაში; 2. peer-review ჟურნალში გამოქვეყნებაში; 3. მოამარაგოს რესურსებით: კონსულტირება ლიტერატურული ძიების წარმართვის წესის შესახებ; 4. კონსულტირება პრეზენტაციის მეთოდებზე, ხერხებსა და საშუალებებზე. ცენტრი ეხმარება დოქტორანტებს (ასევე დიპლომირებული მედიკოსის სტუდენტებს), ახალგაზრდა მკვლევარებს მეთოდოლოგიურად სწორად „დალაგებული“ (სწორი სტატისტიკური ანალიზის მიზნებისთვის) კვლევითი პროექტების წერაში, რისთვისაც რიგ შემთხვევაში საკმარისი არ არის „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა“ სასწავლო კურსი, რომელიც დტსუ სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ჩამონათვალშიც შედის. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ცენტრის მიერ ხორციელდება სწორედ ინდივიდუალური კონსულტაცია პრინციპით: „სტუდენტი იღებს რჩევებს და თვითონ აკეთებს“(დანართ #55-ში 2) .

(ii) ცოდნის მიწოდება შესაბამისი საგანმანათლებლო ფორმატით:

შემუშავდა ახალი კურსი „Successful Project Development“ (პროექტის წარმატებით შემუშავების კურსი), ტემპუსის პროექტის “Project Actors Capacity Training in Caucasus“ ფარგლებში (მათ შორის აღწერილი სტანდარტ 3-ში).

კურსისთვის შექმნილია სახელმძღვანელოები; კურსის შემუშვების I ეტაპზე იგი ძირითადად გამიზნული იყო განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების წერაზე; რისი ცოდნაც და გამოყენებაც ძალზე მნიშვნელოვანია სადოქტორო სწავლების სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისთვის, რამდენადაც ამ ტიპის პროექტების წერა და მათში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია დაწესებულების (უნივერსიტეტი და/ან სხვა) ინსტიტუციური (და ზოგადად) განვითარებისთვის; შესაბამისად ამ უნართა „მფლობელს“ კონკურენტუნარიანობას სძენს დასაქმებისა და კარიერული ზრდის თვალსაზრისით. ამასთან, პროექტმა (დამატებით) შეიმუშავა სამეცნიერო პროექტების წერის სახელმძღვანელოც: პრაქტიკულად იგივე ლოგიკური ჩარჩოთი მიდგომის საფუძველზე, და შესაბამისად სამეცნიერო კვლევითი იდეის პროექტად კონსტრუირებისათვის საჭირო მაგალითებზე (დანართი #31)

ამგვარად, კურსის მიწოდების ფორმის (შერეული: პირისპირ + e-სწავლება) შეუცვლელად, იგივე საკომუნიკაციო პლატფორმის (e-პლატფორმა) მეშვეობით შესაძლებელი გახდა პროექტის ფარგლებში შემუშავებული კურსის ერთგვარი „პროფილირება“: I - განვითარებაზე და II - მეცნიერებაზე ორიენტირებული პროექტების წერის კურსად. კურსის ორივე სახეობა სტუდენტს/ახალგაზრდა მკვლევარს სძენს კვლევით უნარებს, თუმცა I უფრო მეტად ზოგად-ტრანსფერული უნარების „მიმწოდებელ“ კატეგორიას განეკუთვნება; დოქტორანტს შესაძლებლობა ექნება ორივე კურსის აღების, ამასთან ე.წ. „განვითრებაზე ორიენტირებული“ (იხ.

ზემოთ) კურიკულუმის კომიტეტის მიერ რეკომენდირებულია როგორც პროგრამის აუცილებელი სასწავლო კურსი; თუმცა სტუდენტთა აზრის დაგეგმილი კვლევის შედეგების მიხედვით მოხდება საკითხის საბოლოო რევიზირება.

დიპლომამდელი სამედიცინო განათლების სტუდენტებისთვის, ასევე სადოქტორო სწავლების სტუდენტებისთვის (ასევე იგეგმება სარეზიდენტო სწავლების პროგრამებისთვის) „ჯორნალ ქლაბის" ფორმატში შემუშავდა კვლევის საფუძვლების პრაქტიკული კლასები (ჩატარებულია ToT, შემუშავებულია სტუდენტთა დამხმარე ინსტრუქცია), ეს ასევე მნიშვნელოვანი ფორმატი იქნება როგორც ახალი საკვლევი პრობლემატიკის ძიებისთვის,ასევე ამ პოტენციური საკვლევი იდეების სწორად ფორმირებისთვის;რაც ჩვენი დაკვირვებით, ყოველთვის პრობლემური იყოსაქართველოში, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის (დანართი #31).

(iii) მკვლევართა და სტუდენტთა გაგზავნა (მათი ინტერესების შესაბამისად) საერთაშორისი ფორუმებზე მოხსენების, მონაწილეობის და ახალი საინტერესო კოლაბორაციული შესაძლებობების მოძიების მიზნით: უნივერსიტეტი მუდმივად უწყობს სტუდენტთა და პედაგოგ-მკვლევართა ასეთ მონაწილეობას. ამ კუთხით უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საგრანტო კონკურსის წესით დოქტორანტთა მხარდაჭერა; საერთაშორისო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის მხარდაჭერა გაწეული ჩვენი უნივერსიტეტისა და თანამშრომლებისთვის. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს, ეხმარება მკვლევარებს ფონდთან ურთიერთობის და პასუხისმგებლიანი ანგარიშგების უზრუნველყოფის საკითხებში (დანართი #77).

(iv) პროგრამული მოთხოვნები: უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა გულისხმობს დისერტაციის დაცვის მოთხოვნას; დისერტაციაში (განსხვავებით ავტორეფერატისა) საკმაოდ ვრცელია ლიტერატურული მიმოხილვის თავი (25-30 გვერდი); მასში ტრადიციულად მოთხოვნილია საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით ცოდნის, ხედვების, მიდგომების და პერსპექტივების კონტექსტში საკუთარი იდეების/ჰიპოთეზების ფორმირება; სწორედ ამ მიზნით, დოქტორანტის დამატებითი განვითარებისთვისაა მოთხოვნილი დისერტაციის ფორმატში (და არა მხოლოდ ავრორეფერატის ფორმატში) სტუდენტის ნამუშევრის წარდგება დაცვაზე.

დიპლომამდელ განათლებაში დამატებით (გარდა ზ/ა ახალი კურსებისა) პროგრამულ ხელშეწყობად განვიხილავთ: საბაზისო სამედიცინო მეცნიერების საკითხების კლინიკურ კონტექსტში გაცნობიერების მოთხოვნას, უზრუნველყოფილს:

- ორგანოთა სისტემებზე ორიენტირებული სწავლება/სწავლა და შეფასება.
- სწავლისთვის გამოყენებული ლიტერატურა.
- სწავლების გამოყენებული ფორმატები, PBL და ქეისზე-დაფუძვნებული ელემენტებით.

(v) უნივერსიტეტმა დააფუძვნა დტსუ-ს კონფერენციის ახალი ფორმატი, აკადემიური სტანდარტების გაუმჯობესება განათლებაში (ISE), უკვე ჩატარდა ორი; უნივერსიტეტი ასევე აგრძელებს დტსუ-ს ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა მიერ (SYSSA: „სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო ასოციაცია") დაარსებული კონფერენციებსა და მასში საერთაშორისო მონაწილეთა ჩართულობის ხელშეწყობას (დანართი #82).

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევითი გრანტების მოპოვებას, დაფინანსებას და/ან თანადაფინანსებას; კერძოდ, კვლევების დაფინანსებაზე უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3-6 % (საანგარიშო პერიოდი). იგი ხელს უწყობს ასევე სადოქტორო სწავლებას შეღავათის დაწესებით ან სწავლის საფასურის მოხსნით; უნივერსიტეტი მზად არის

დააფინანსოს კვლევები, რომლებიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში პროექტის წარდგენისას ვერ მოიპოვებენ დაფინანსებას, თუმცა იქნებიან „დაფინანსების შესაძლებლობისთვის შერჩეულ კატეგორიაში“ (დანართი #72), რაც მნიშვნელოვანია მათ შორის საჯაროობისა და გამჭირვალობის და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რადგან პროექტების (შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში დარეგისტრირებული პროექტების) შეფასებას ფონდი უზრუნველყოფს ადგილობრივი (გარე დტსუ-სთვის) და უცხოელი ექსპერტების მეშვეობით. დტსუ 2013 წლიდან დაშვებულია საგრანტო კონკურსზე, უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს განაცხადების შეტანაში დოქტორანტთა დახმარებას საგრანტო განაცხადის მომზადების, სხვადასხვა ტექნიკურ დეტალებში მათ კონსულტირებას, რამაც საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. შეტანილი 12 პროექტიდან (სრული რაოდენობა) 9 დაფინანსდა. უნივერსიტეტი შიდა ადმინისტრირებით და მონიტორინგით ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყობს პროექტის განხორციელებას დაგეგმილ ვადებში. ამ პერიოდისთვის ჩაბარებულია 4 დოქტორნატის ანგარიში ყოველგვარი სანქციების გარეშე. დანარჩენი სტუდენტების შემთხვევაში პროცესი მიმდინარეობს. კიდევ ორი სტუდენტი თავისი სადოქტორო კვლევის უზრუნველსაყოფად სარგებლობს ემორი-ჯორჯია ტუბერკულოზის კვლევის პროგრამით [დაფინანსებული აშშ ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების (NIH) ფოგარტის საერთაშორისო ცენტრი] დაფინანსებული გრანტით; უნივერსიტეტი შეეცდება მუდმივად მიიღოს ამ საგრანტო კონკურსში მონაწილეობა (დანართი #77).

დტსუ ზრუნავს კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებით თავისი საქმიანობის გაუმჯობესების და ეფექტურობის ამაღლებაზე; მათ შორის: ახალი შტატის დამატებით, მარეგულირებელი დოკუმენტების, ასევე სტუდენტთა და დოქტორანტთა სახელმძღვანელო ინსტრუქციების რევიზირებით, ახალი სასწავლო კურსების და დამხმარე ლიტერატურის შექმნის გზით; რაც გამიზნულია კვლევითი უნარების გამომუშავების გაძლიერებასა და პროგრესზე მონიტორინგის შეფასების გაუმჯობესებაზე. ასევე კვლევების დაფინანსების შიდა ბიუჯეტის ზრდით და კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურების დაწესებით (დანართი #79). კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების ადექვატური მექანიზმების დანერგვით (დანართი #86).

დტსუ ზრუნავს ახალგაზრდა კადრის ჩართვასა და „დამაგრებაზე“ კვლევით საქმიანობაში; ამის დასტურია უნივერსიტეტის მიერ წლების განმავლობაში დმ-ის პროგრამის სტუდენტთა ხელმძღვანელობა და მათი ინიციატივების ხელშეწყობა, კვლევითი საქმიანობით მათი დაინტერესება ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით. მათი ინიცირებული კვლევების ხელმძღვანელობით, მათ მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციების, სამეცნიერო დღეების (ნობელის დღე, დნმ-ის დღე) ექსპერტული, ტექნიკური და მატერიალური ხელშეწყობით (დანართი #78).

უნივერსიტეტი ცდილობს ზოგადად თავისი საქმიანობის და მათ შორის კვლევითი/განვითარების საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას. კერძოდ, კვლევითი საქმიანობის და მისი ორგანიზაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია:

უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სავალდებულო მოთხოვნაა 5 სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 3 სტატიის ფორმატის (კვლევის ძირითადი შედეგების და დასკვნების ამსახველი) ინგლისურენოვანი ნაშრომი უნდა იყოს რევიუირებულ და PubMed-ში გამავალ ჟურნალებში დაბეჭდილი; ავტორეფერატი ორ ენაზეა დაბეჭდილი (მეორე ენა ინგლისური)და

გამოცემული (დანართი #76);
დტსუ-ს კვლევებში ერთობლივ ხელმძღვანელობასა და თანამშრომლობაში (ამჟამად მიმდინარე კვლევებიდან 8), ოპონირებასა და ნაშრომთა რეცენზირებაშისაერთაშორისო თანამშრომლობა;
უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს ერთობლივი სადოქტორო პროგრამა, თუმცა არსებობს უნივერსიტეტის შტატის თანამშრომლობა (კოტუტელეს პრინციპით) ყარაგანდის სახ. სამ. უნივერსიტეტის, დოქტორანტთა კონსულტირების მიზნით (ამჟამად დტსუ-ის შტატის თანახელმძღვანელობით დაცულია 5 დისერტაცია) (დანართი #83).
უნივერსიტეტის მიერ კვლევითი მიზნებისათვის სტუდენტთა და დოქტორნატთა საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა, მათ შორის მათი ნაშრომების შეფასების (ჩარზლის უნივერსიტეტის, ჰრადეც-კრალოვის საერთაშორისო ყოველწლიური კონფერენცია, დტსუ-სთვის ამჟამად 2 მონაწილის ქვოტით; კონფერენციას ესწრება შეფასების კომიტეტი) და რჩევების მიცემის მიზნით.
ორგანიზაციული განვითარების კონტექსტში მნიშვნელოვანია საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში, ასევე კვლევით და განმავითარებელ პროექტებში მონაწილეობა საერთაშორისო კოლაბორაციაში უნივერსიტეტის ჩართულობის გაღრმავების მიზნით.
უნივერსიტეტმა წარმატებით განახორციელა შემდეგი პროექტები:

- ✓ ePBLnet: 530519-TEMPUS-1-2012-1-UKTEMPUS-JPC „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“
- ✓ PACT: 544047-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPGR "Project Actor Capacity Training in Caucasus"
- ✓ #G-2094 “Elaboration of a universal test on magneto sensitivity” (Completion Date 10.11.2016)

ამჟამად უნივერსიტეტი მონაწილეობს პროექტში:

- ✓ “ACADEMIC INTEGRITY FOR QUALITY TEACHING AND LEARNING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN GEORGIA/ INTEGRITY *(მიმდინარე; კოორდინატორი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

წლევანდელ საგრანტო კონკურსში დტსუ-ს ხელმძღვანელობით და/ან მონაწილეობით შემუშავებულია შემდეგი პროექტები:

- ✓ Capacity Building in Teaching and Assessment of Clinical Reasoning Skills in MD Curricula / TASk *(კონკურსის ფარგლებში შეტანილი; კოორდინატორი – დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო)*
- ✓ BIOsafety Training and UNiversity Education: developing a common framework in the Eastern Partnership Region / BIOTUNE *(კონკურსის ფარგლებში შეტანილი; კოორდინატორი – მილანის უნივერსიტეტი, იტალია)*
- ✓ Curriculum Development in Medical study programmes/ CDMed *(კონკურსის ფარგლებში შეტანილი; კოორდინატორი – მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა)*
- ✓ Capacity building in healthcare innovation and entrepreneurship / DREAM *(კონკურსის ფარგლებში შეტანილი; კოორდინატორი Babeş-Bolyai უნივერსიტეტი, რუმინეთი)*
- ✓ Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units / HERD *(კონკურსის ფარგლებში შეტანილი; კოორდინატორი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი არის ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) ინდივიდუალური ასოცირებული წევრი, ევროპაში სამედიცინო განათლების ასოციაციის

(AMEE) წევრი, სამედიცინო განათლებაში შემფასებელთა ევროპული საბჭოს (EBMA) წევრი.
ორი ევროპული ორგანიზაციის (ასევე აღმასრულებელ კომიტეტში წარმომადგენლობით) წევრი: ევროპაში სამედიცინო სკოლების ასოციაცია (AMSE) და ევროპულ სისტემაში ბიომედიცინისა და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ორგანიზაცია (ORPHEUS).
უნივერსიტეტი იძენს პერსპექტივის თვალსაზრისით (კვლევითი ურთიერთობისთვის) მნიშვნელოვან საერთაშორისო კოლაბორანტებს, მათ შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები: **ანდერსონის კიბოს ცენტრი** (აშშ), **ვენის სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგის, ინფექციური და იმუნოლოგიის ცენტრი**, მიმდინარეობს მომავალი ურთიერთობის დაგეგმვის პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. კვლევების მხარდამჭერი მექანიზმები (დანართი #77)
2. სამეცნიერო კვლევითი სამსახურის სამუშაო აღწერილობა (დანართ #55-ში 2)
3. სილაბუსი "სამედიცინო პროექტების განაცხადის შემუშავების საბაზისო პრინციპები" (დანართი #31)
4. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები მათი კვლევით საქმიანობაში ჩართვისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ (დანართი #82)
5. უნივერსიტეტის კვლევების განვითარების სტრატეგია (დანართი#72)
6. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია (დანართი#78)
7. კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები (დანართი#79)
8. კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები (დანართი#86)
9. ერთობლივი კვლევითი აქტივობების და თანამშრომლობა საერთაშრისო პარტნიორებთან (დანართი#83)
10. სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი (დანართი#76)

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

აღწერა და შეფასება

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის აუცილებელ ნაწილს, პედაგოგიურ დატვირთვასთან ერთად, მათი სამეცნიერო საქმიანობა წარმოადგენს, რომელიც მოიცავს:

(i) **პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას:** სამეცნიერო კვლევა საუნივერსიტეტო თემის ფარგლებში; მონოგრაფიის გამოსაცემად მომზადება; სტატიის მომზადება სამეცნიერო ჟურნალში პუბლიკაციისთვის; კონფერენციებსა, სიმპოზიუმებზე, ა. შ. მოხსენებით გამოსვლა და/ან პუბლიკაცია; სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა მოხსენების, კონფერენციის გამოსვლისთვის მომზადება; სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა; სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების (მათ შორის დისერტაციის) რეცენზირება და ექსპერტიზა; სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიაში მუშაობა; სადისერტაციო საბჭოში (დაცვის საბჭო) მონაწილეობა; დაგეგმილი დისერტაციის შესრულება პედაგოგი-დოქტორანტის მიერ

(ii) საგრანტო განაცხადზე მუშაობას: სამეცნიერო კვლევითი (და/ან განმავითარებელი

პროექტისთვის) პროექტის შემუშავება; გრანტის განაცხადის წარსადგენ ფორმატში დამუშავება და წარდგენა; საერთაშორისო სამეცნიერო (და/ან განვითარებაზე ორიენტირებულ) პროექტებში საერთაშორისო კოლაბორანტებთან მუშაობა;

უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა (დანართი #85), რომელიც ეფუძვნება გარკვეულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებს:

რაოდენობრივი მონაცემებია გამოყენებული სტატიების, აბსტრაქტების, სახელმძღვანელოთა და მონოგრაფიათა, ა. შ. რიცხვი; ხარისხობრივი - pier-review, PubMed-ში გამოცემა, impact ფაქტორი; ვინაიდან სამედიცინო კვლევები ძალზე მრავალფეროვანია საკუთრივ მედიცინის დარგის და მისი ქვესპეციალობებიდან გამომდინარე (ის რაც ერთი სპეციალიზაციის შემთხვევაში შეიძლება „საშუალო“ ან მაღლადაც იქნას მიჩნეული). შესაბამისად, სამეცნიერო პროდუქტიულობის ხარისხის შეფასებისას ერთი ხარისხობრივი ინდიკატორი არის „იმპაქტ ფაქტორი“ და სხვა „4“-ზე მეტი (პირობითად). ასევე სახელმძღვანელო/მონოგრაფია, საერთაშორისო გამოცემები; პროექტების გარე დაფინანსებით მოპოვებული გრანტები, ა. შ.

საანგარიშო პერიოდის (აფილირების გათვალისიწინებით) მონაცემები ასახულია დანართ #81-ში.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად გამოყენებულია არჩევნებისთვის მოთხოვნილი დოკუმენტაციის ანალიზი, საარჩევნო კომისიის დასკვნები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნები, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიერ მოწოდებული ყოველწლიური ანგარიშები; ეს უკანასკნელი ყველაზე რთულად შესაგროვებელია, ამასთან პედაგოგიური დატვირთვის ახალი დამტკიცებული დოკუმენტი, მათ შორის ინდივიდუალური სამეცნიერო დატვირთვის წლიური ანგარიშებისა და შეფასების მიზნით მოითხოვს აღნიშნულის (ყოველწლიური ინდივიდუალური ანგარიში) სავალდებულოდ მოწოდებას, რაც შემდგომში უფრო გააიოლებს ანალიზის სისტემას.

ანალიზის შედეგებს უნივერსიტეტი იყენებს განვითარების მიზნით (ასახავს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში) ახალი ურთიერთთანამშრომლობის მოძიების მიზნებისთვის, როგორც ეროვნულ ასე საერთაშორისო დონეზე მკვლევართა ჯგუფების შექმნის, ერთობლივი საპროექტო განცხადებასა და კვლევებზე მუშაობის და მათი ხელშეწყობისთვის; მაგ: 2016-2017 სასწავლო წელს დადებული ხელშეკრულება:

- სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ - ხელშეკრულების საგანი: ბიოსამედიცინო და ჯანდაცით მეცნიერებებში სასწავლო და სამეცნიერო კვლევით სივრცეში ურთიერთანამშრომლობა
- „ჰორმონების და მეტაბოლიზმის ცენტრი“, გერმანია - ხელშეკრულების საგანი: ენდოკრინოლოგიის მიმართულებით ურთიერთანამშრომლობა დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ განათლებაში
- ანდერსონის კიბოს ცენტრი, ტეხასის უნივერსიტეტი - ხელშეკრულების საგანი: სამეცნიერო, საგანმანათლებლო გამოცდილების ინტერშიპის პროგრამის შემუშვება და მიწოდება დტმუ-ს სხვადასხვა პროგრამების სტუდენტებისათვის
- ვენის სამედიცინო უნივერსიტეტი, პათოფიზიოლოგის, ინფექციური და იმუნოლოგიის ცენტრი- ხელშეკრულების საგანი: თანამშრომლობა სამედიცინო მოლეკულური იმუნოლოგიის, ალერგოლოგიის და სამედიცინო გენეტიკის ერთობლივი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით პოსტდიპლომურ სამედიცინო განათლებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიოლობის შეფასების სისტემა (დანართი#85)

2. განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში ფაკულტეტების/დეპარტამენტების მიხედვით (აკადემიური პერსონალის აფილირების გათვალისიწნებით) (დანართი#81)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

1. დიპლომირებული მედიკოსის და სადოქტორო პროგრამის განვითარების ფარგლებში კვლევითი კომპონენტის ეფექტური განხორციელებისთვის უნივერსიტეტის მხრიდან ორგანიზაციული ხელშეწყობა: ახალი შტატის დამატებით, მარეგულირებელი დოკუმენტების, ასევე სტუდენტთა სახელმძღვანელო ინსტრუქციების რევიზირების, ახალი სასწავლო კურსებისა და დამხმარე ლიტერატურის შექმნის გზით;
2. სამეცნიერო კვლევების (და მისი ორგანიზების) დარგში საუკეთესო გამოცდილების გაზიარება „Organization of PhD Education in Biomedicine and Health Science in the European System" ფარგლებში;
3. სამედიცინო განათლებაში კვლევების განხორციელებისათვის უნივერსიტეტის თანამშრომლობა ძველ პარტნიორებთან, ახალი პარტნიორული ურთიერთობების შექმნა და საგრანტო დაფინანსებაზე ახალი პროექტების წარდგენა;
4. უნივერსიტეტის შტატისა და სტუდენტთა განვითარება ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის ფინანსური ხელშეწყობით;
5. დტუს-ს ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა „სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო ასოციაცია - SYSSA" მიერ დაარსებული კონფერენციების და მასში საერთაშორისო მონაწილეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
6. უნივერსიტეტის მიერ ახალი (ყოველწლიური) კონფერენციის აკადემიური სტანდარტების განვითარება განათლებაში(ISE)- ფორმატის დაფუძნება;
7. უნივერსიტეტმა გარკვეულწილად გააღრმავა დტსუ-ს მიერ არსებულ სამეცნიერო გარემოს წევრ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის ფორმატი; გააფართოვა სამეცნიერო გარემო ახალი საერთაშორისო კოლაბორაციული შესაძლებლობის მოძიებით (ურთიერთანამაშრომლობის ხელშეკრულება ანდერსენის კიბოს ცენტრთან (აშშ), ვენის სამედიცინო უნივერსიტეტთან).

გასაუმჯობესებელი მხარეები

1. დტსუ-ს სადოქტორო პროგრამისთვის ხარისხის მინიჭების (ორფეუსის სადოქტორო პროგრამული აკრედიტაცია) უზრუნველყოფა;
2. დტსუ-ს სამეცნიერო გარემოს წევრ ინსტიტუციებთან დაგეგმილი კოლაბორაციის სრული „ათვისება" და პრაქტიკული რეალიზაცია;
3. საქართველოს უნივერსიტეტებთან კვლევაში თანამშრომლობის ინიცირება და განვითარება;
4. კვლევებსა და განვითარებაზე ორიენტირებულ საგრანტო კონკურსებისთვის პროექტების უწყვეტი მომზადება და მონაწილეობა;
5. დტსუ-ს მიერ კვლევებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის მუდმივ ზრდაზე მუშაობა.

7. მატერიალური, საინფორმაციოდაფინანსურირესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

7.1. მატერიალური რესურსი
უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას; დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარულიკვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა; დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა; დაწესებულებასა ქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
აღწერა და შეფასება დტსუ-ს (2018 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით) მფლობელობაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით 2 ფართი (ერთი საკუთრებაში, მეორე სარგებლობის უფლებით) და არასასწავლო დანიშნულების [(სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი) ფართი (საკუთრებაში), რომელიც კეთლმოწყობილია 369 სტუდენტისთვის] (დანართი#87). უძრავი ქონება რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ბაზაში და მინიჭებული აქვს საკადასტრო კოდები. მომზადებულია აზომვითი ნახაზები, რომელშიც ერთმანეთსგან გამიჯნული არის სასწავლო და დამხმარე ფართები (დანართი#87, #98). სასწავლო ფართები მოწყობა გაუმჯობესებისთვის ბოლო წლების განმავლობაში გარემონტდა და აღიჭურვა განახლებული ტექნიკით, ავეჯით და საჭირო ინვენტარით სასწავლო აუდიტორიები, ფოიეები (დანართი#89). ამ ეტაპზე არსებული აუდიტორიების რაოდენობა საკმარისია უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში. უნივერსიტეტს ასევე პარტნიორული ურთიერთობის ფარგლებში გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები კლინიკურ, სამეცნიერო კვლევით და სხვა ინსტიტუციებთან სტუდენტთა სასწავლო, კვლევითი და პროფესიული დახელოვნების მიზნებისთვის (დანართი#88). უნივერსიტეტის ბალანსზეა სატრანსპორტო საშუალებები. ხორციელდება ტრანსპორტირება მივლინებების, სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობების ჩატარების დროს. დტსუ-ს სასწავლო კორპუსში განთავსებულია ფოიე, სასწავლო და სალექციო აუდიტორიები, სასწავლო კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, ჯგუფური მუშაობის სივრცეები და ადმინისტრაციული სათავსოები, სანიტარული კვანძები.მატერიალური რესურსების გასაუმჯობესებლად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტები, გარემონტდა და შეივსო სასწავლო და კვლევით მიზნებისა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად. მიმდინარეობს სასწავლო მიზნებისთვის ლაბორატორიების მოწყობა (მიკრობიოლოგიური, ბიოქიმიური). არსებობს დამტკიცებული პროექტი ახალი ჰოსპიტალის მშენებლობისათვის (დანართი#90). ყველა სასწავლო აუდიტორიას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. 2009 წლის ოქტომბრიდან უნივერსიტეტი ს/ს „თელასის“ დამოუკიდებელი აბონენტია. უნივერსიტეტს აქვს დიზელ-გენერატორი ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების მიზნით (უსაფრთხოებისთვის უნივერსიტეტის ტერიტორიის გარე პერიმეტრზე აშენებულია სპეც ფართი გენერატორისთვის).

ყველა სართული უზრუნველყოფილია სველი წერტილებით, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრალურ წყლის სადენ სისტემასთან. სადაც დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები (დანართი#91). ბოლო წლებში პერიოდულად ხორციელდება სველი წერტილების განახლება-გარემონტება, რომლებიც უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებით.

შენობის მთელ პერიმეტრზე არის ცენტრალური გათბობა და კონდიცირება (დანართი#92).

დიდუბის სასწავლო ბაზა (საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე) ასევე უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით; მათ შორის ფოიე, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სიმულაციის ოთახით, პედაგოგთა ოთახით, დამხმარე ფართით, სველი წერტილებით, კვლების ბლოკისთვის განკუთვნილი სივრცით. სასწავლო აუდიტორიებს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ელექტრონული ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სველი წერტილები ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. ფართი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით და კონდიცირებით (დანართი#93).

დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის მექანიზმები (დანართი#94, #70).

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოეწყო ხანძარსაწინააღმდეგო სტენდების გადაიარაღება, შესაბამისი დეტალური ინსტრუქციები ხელმისაწვდომია სტენდთან. თვალსაჩინო ადგილას უნივერსიტეტში სართულების მიხედვით გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. სისტემატურად ხორციელდება სტენდის გადაიარაღება და ცეცხლმაქრების დამუხტვა. ელექტროენერგია განაწილებულია ელექტრომცველების დამოუკიდებელი ფარით, რაც იცავს ელექტროქსელს მოკლე ჩართვის საშიშროებისგან. საჭიროების შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობაა შესაძლებელი (დანართი#95).

უსაფრთხოების უზრუნველყოფის და შესაბამისი სწავლების განხორციელების მიზნით 2018 წლის მაისში დაგეგმილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მონაწილებით ევაკუაციის სიმულაცია, რომელშიც ჩართულები იქნებიან როგორც სტუდენტები, ასევე დტსუ თანამშრომლები, რაც შეძენს უნივერსიტეტს გამოცდილებას საგანგებო სიტუაციების უკეთ მართვისთვის; უნივერსიტეტი მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს საჭირო პერიოდულობით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით დაგეგმილია საგანგებო შტაბის დამტკიცების შესახებ ბრძანებისა და დებულების რევიზირება (საგანგებო სიტუაციების მართვის სსამსახურის მიერ შემუშავებული წინადადების გათვალისწინებით).

დტსუ-ში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული (ჰელიომაგნიტოკარდიოლოგიური სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ბაზაზე შექმნილი გეომაგნიტოკარდიოლოგიური სამედიცინო ცენტრი) სამედიცინო კაბინეტისა და მისი ექიმების დახმარებით. აღსანიშნავია, რომ კაბინეტი ფუნქციონირებს ყოველ სასწავლო დღეს 10:00 – 17:00 სთ-მდე, სამუშაო დროს კაბინეტში მუდმივად არის ერთი ექიმი მაინც, რომელიც ვალდებულია (ხელშეკრულების საფუძველზე) უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება; აწარმოებს ჟურნალს სპეციალურად ამ მიზნის სამედიცინო ჩანაწერებით. უზრუნველყოფს და პასუხისმგებელია პირველადი სამედიცინო

დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტების კაბინეტში არსებობის, გამოყენების, შევსების, ვარგისიანობის ვადის კონტროლზე. ჟურნალის წარმოება ხორციელდება თავად ექიმის ან მისი დავალებით კაბინეტის მენეჯერის მიერ, რომელიც ჟურნალში შეიტანს იმ პირის ვინაობას და აუცილებელ პირად მონაცემებს რომელსაც გაეწია დახმარება. ექიმი, გარდა პირველადი დახმარების აღმოჩენისა, საჭიროების შემთხვევაში იძახებს სასწრაფო გადაუდებელ დახმარებას და ახორციელებს დახმარების საჭიროების მქონე პირთან დაკავშირებულ პირების ინფორმირებას (ადმინისტრაციის წარმომადგენელი, კოორდინატორი, ოჯახის წევრები) (დანართი#94, #97). **უნივერსიტეტის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა.** უნივერსიტეტის სასწავლო ფართები განლაგებულია ორ მისამართზე. დაცვა და უსაფრთხოება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულებით აყვანილი დაცვის თანამშრომლების მიერ, რომლებიც ექვემდებარებიან კანცლერს. შესაბამის პირს უტარდება ინსტრუქტაჟი სამუშაო სპეციფიკასა და ვალდებულებებზე და მასსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესაბამის პოზიციაზე. უნივერსიტეტის, ასევე დიდუბის სასწავლო ბაზის დაცვა ხორციელდება 24 საათის განმავლობაში. სამეთვალყურეო კამერებით სრულად კონტროლდება უნივერსიტეტის შიდა და გარე პერიმეტრი. ყველა ზ/ა, საიჯარო გარიგების საფუძველზე, ასევე უზრუნველყოფილია დიდუბის სასწავლო ბაზაზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ცხრილის მიხედვით. ცხრილი განთავსებულია სპეციალურ დაფაზე. **უნივერსიტეტს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის.** ამჟამად, ამ კატეგორიის კონტიგენტი არ გვყავს, თუმცა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის გარემო ადაპტირებულია. ამასთან, სასწავლებლის შემოსასვლელი ადაპტირებულია სპეციალური პანდუსით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ლიფტი და პირველ სართულზე სველი წერტილები სათანადოდაა მოწყობილი (დანართი#96). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შექმნილია ყველა დანარჩენი სტუდენტის მსგავსად ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული კლასით სარგებლობის საშუალება, წვდომა ადმინისტრაციასა და შესაბამის სამსახურებთან. უნივერსიტეტის დაცვის სამსახური ვალდებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას უნივერსიტეტის შენობაში (დანართი#55). ამ პერიოდისთვის უნივერსიტეტი მინიმალურად აკმაყოფილებს მოთხოვნას, რომელიც არის აუცილებელი სპეციალური საჭიროების მქონე პირების მომსახურებისთვის. უნივერსიტეტი გეგმავს აღნიშნული საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტიებული გარემოს შემდგომი მოწყობა-განვითარებისთვის სხვადასხვა განახლებითი სამუშაოების ჩატარებას (მაგ: სანიტარული კვანძების განახლება შესაბამისი მიზნებისთვის). მატერიალურ რესურსთან მიმართებაში სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები დამაკმაყოფილებელია (დანართი#99).
მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დანართი #87)
2. მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინვენტარიზაციის მასალები (დანართი #89)
3. პრაქტიკის/კვლევით-სამეცნიერო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები (დანართი #88)
4. სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში (დანართი #99)
5. გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი #92)
6. სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი #91)
7. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები (დანართი #94)
8. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი #98)
9. სახანძრო უსაფრთხოების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი #95)
10. მომსახურების ხელშეკრულება შპს სახანძრო სიგნალიზაცია „ნაპერწკალი“(დანართი #70)
11. შეთანხმება ფართით სარგებლობის და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ; ქვეიჯარის ხელშეკრულება (დანართი #93)
12. მომსახურების ხელშეკრულება „ლიფტის გამართული მუშაობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ (დანართი #96)
13. პროექტი ახალი ჰოსპიტალის მშენებლობისათვის (დანართი #90)
14. ურთიერთთანამშრომლობისა და პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება (დანართი#97)
15. სამუშაო აღწერილობები (დანართ #55-ში: 5)

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მისგანვითარებაზე.

აღწერა და შეფასება

დტსუ–ს დეფნი ჰეარის სახელობის სამედიცინო ბიბლიოთეკა(შემდგომშიბიბლიოთეკა) – წარმოადგენს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ნაწილს,რაც განსაზღვრავს მისი სამუშაო რეჟიმის სპეციფიკურობას (მორგებულს უპირველესად სტუდენტების საჭიროებაზე), რომელიც ასახულია ბიბლიოთეკის დებულებაში და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესებში და ხელმისაწვდომია ყველა მკითხველისათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან-შაბათის ჩათვლით 9:00 სთ-დან 19.00 სთ-მდე (დანართი #100).

<u>ბიბლიოთეკის გარემო მოიცავს შემდეგ სივრცეებს:</u> წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე, ჯგუფური მუშაობის სივრცე, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე.

<u>აღჭურვილობა:</u> ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით: ინტერნეტში ჩართული 17 პერსონალური კომპიუტერით, 1 ლეპტოპით, პრინტერით, უკაბელო ინტერნეტით (დანართი #89).

ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური და ელექტრონული საინფორმაციო რესურსები

დტსუ ბიბლიოთეკაში ამჟამად არსებული ფონდი არის საკმარისად მრავალფეროვანი და შესაბამისი სამედიცინო დარგში ნებისმიერი დონის (დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი) და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის (დანართი #101).

მრავალფეროვნება: სამედიცინო დარგში სწავლება და სწავლა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე გულისხმობს საბაზისო სამედიცინო მეცნიერებათა, კლინიკურ მეცნიერებათა და სოციალურ-საზოგადოებრივი და ქცევით მეცნიერებათა ვრცელ და მრავალფეროვან ჩამონათვალს, მათ შორის მოთხოვნილს პროგრამულ დონეზე და დამხმარე სახელმძღვანელოების და სხვა გამოცემათა (მათ შორის პერიოდული გამოცემები, სამეცნიერო ჟურნალები) სახით; რაც შეადგენს ერთერთ მნიშვნელოვან რესურსს საგანმანათლებლო პროცესისა და არსებული პროგრამებით მისაღწევი სწავლის შედეგისთვის. მრავალფეროვნება ასევე გულისხმობს რესურსების/წყაროთა მრავალფეროვნებას: სტუდენტთა ახალი თაობები სულ უფრო მეტად იყენებენ ელექტრონულ წიგნებს; შესაბამისად, წიგნადი ფონდის ბეჭდურ ვერსიებთან ერთად უნივერსიტეტში არსებობს სახელმძღვანელოთა e-ვერსიები; აგრეთვე ელექტრონული სწავლების სხვა საშუალებები; მაგ: მიმდინარე სასწავლო წელს შეძენილია 3 განზომილებიანი ადამიანის ანატომიის ატლასი, განმარტებებით, რადიოლოგიური სურათებით ინტერაქციული სწავლებისთვის; ასევე ვირტუალური პაციენტის (VP) სიმულატორი (https://bodyinteract.com) – VP სიმულატორი ეფუძნება რეალისტურ ფიზიოლოგიურ ალგორითმებს, რის შედეგადაც თითოეული ვირტუალური პაციენტის ინტერვენციებზე პასუხი თითქმის იდენტურია რეალური პაციენტისა. სიმულატორი საშუალებას იძლევა ვირტუალურ პაციენტთან სხვადასხვა სახით მოხდეს ინტერაქცია (ანამნეზის შეკრება, ფიზიკალური გამოკვლევების ჩატარება, მედიკამენტ(ებ)ის დანიშვნა და ადმინისტრირება, სამედიცინო გამოკვლევების დანიშნვნა და შესაბამისი პასუხის მიღება, სხვადასხვა სახის ინტერევენცია), რასაც რეალურ რეჟიმში დინამიური პასუხი მოყვება. აღნიშნული იძლევა ვირტუალური პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ფოკუსირების საშუალებას.

სისტემა საშუალებას იძლევა ქეისის ბოლოს შეფასდეს პაციენტის მართვის პროცესი და მისი შედეგი, ასევე აღნიშნული შეადაროს მოქმედ და რეკომენდებულ სტანდარტებს.

განახლებადობა:

უნივერსიტეტი პერიოდულად ანახლებს საბიბლიოთეკო ფონდს სახელმძღვანელოთა და სხვა ლიტერატურის ახალი გამოცემებით (ასახულია ხუ ყოველწლიურ ანგარიშებში);

დტსუ ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის (Georgian Library Association) და საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის კონსორციუმის (Georgian Library Consortium) წევრი და პროექტ „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL" მონაწილეთა კონსორციუმის წევრი, რომლის ფარგლებშიც აქვს წვდომა შემდეგ ელექტრონურ რესურსებთან და ბაზებთან (ხელმისაწვდომია როგორც აკადემიური შემადგენლობისთვის, ისე სტუდენტებისთვის) (დანართი #102):

- BioOne Complete,
- The New England Journal of Medicine,
- Royal Society Journals Collection,
- Edward Elgar Publishing Journais and Development Studies e-books,
- SagePremier,

- Cambridge Journals Online,
- e-Duke Journals Scholarly Collection,
- Openedition Journals.

ასევე უნივერსიტეტს აქვს ნაყიდი HINARI, AGORA და OARE ბაზებთან წვდომა. ამასთან ელ ბაზების გამოყენების სტატისტიკა დაბალია (დანართი #103).

ამგვარად, ბიბლიოთეკაში არსებობს სტუდენტების, პედაგოგების, უნივერსიტეტის აფილირებულ დაწესებულებების თანამშრომლების აკადემიური განვითარებისთვის საჭირო და საინტერესო რესურსი.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში.

ამჟამად ბიბლიოთეკაში საინვენტარიზაციო მასალების მიხედვით არის 5323 წიგნი; 1678 პერიოდული გამოცემა; აუდიო-ვიდეო საშუალებები: ვიდეო 165, აუდიო 408. CD 119; უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ასევე გააჩნია ელექტრონული სახელმძღვანელოების ბაზა, რომელიც მოიცავს 167 სახელმძღვანელოს.

2011-2017 პერიოდში დეფნი ჰეარის სახელობის სამედიცინო ბიბლიოთეკა შეივსო 753 ერთეულით, მათ შორის 621 წიგნი, 114 პერიოდული გამოცემა, 11 კომპაქტ დისკი, 5 დისერტაცია/11 ავტორეფერატი;

ბოლო წლების განმავლობაში გაფართოვდა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (IMF e Library); ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ბაზები განთავსებულია სასწავლებლის ვებგვერდზე (დანართი #101).

უნივერსიტეტმა დაიწყო შეძენა და მედიცინაში სწავლებისა და სწავლისთვის ეფექტური e-საგანმანათლებლო რესურსების შეძენა/დანერგვაზე ზრუნვა (3 განზომილებიანი ადამიანის ანატომიის ატლასი, ვირტუალური პაციენტის (VP) სიმულატორი).

ამასთან, ჯერ კიდევ არასაკმარისად (ელ. ბაზების გამოყენების სტატისტიკა) მიგვაჩნია ამ რესურსის („საინტერესოს“ ნაწილში) იმპლემენტაცია უნივერსიტეტში, მეტი მუშაობაა ჩასატარებელი აკადემიური საზოგადოების წევრებთან ამ რესურსების ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენებასთან მიმართებაში. ამასთან, მეტი წიგნის, ჟურნალის, სხვა რესურსების ცნობადობის გაზრდა პრეზენტაციების, შეხვედრების, სხვა ღონისძებების მეშვეობით ბიბლიოთეკის და აკადემიური შტატის მონაწილეობით სტუდენტების, პერსონალს, რეზიდენტების, სკოლის მოსწავლეების და სხვა სამიზნე ჯგუფებთან.

ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური, საგნობრივი და ელექტრონული კატალოგები სამუშაო რეჟიმში. ბიბლიოთეკის საქმიანობის დეტალური გაწერილ დებულებაში ბიბლიოთეკიდან ლიტერატურის გატანა შესაძლებელია ხანგრძლივი ვადით (მაგრამ არაუმეტეს 3 დღისა) და ხანმოკლე ვადით. ხანგრძლივი ვადით გატანილი ლიტერატურა რეგისტრირდება მკითხველის ბარათზე მკითხველის ხელმოწერით. ხანმოკლე ვადით გატანილილი ტერატურა რეგისტრირდება წიგნის ფორმულარზე მკითხველის ხელმოწერით. აღნიშნული ცვლილება შემოღებულია ლიტერატურის ძალიან სწრაფი ბრუნვის გამო (თითო დასახელების სახელმძღვანელო/ეგზემპლარი სამუშაო დღის განმავლობაში 5-ჯერ და მეტად ბრუნავს) და აგრეთვე მკითხველის დროის დაზოგვის მიზნით.

ბიბლიოთეკაში არის ბიბლიოთეკის ფონდის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია: წიგნობრივი ფონდის საინვენტარო წიგნი (ქართული,ინგლისური, და რუსული წიგნობრივი ფონდის), პერიოდიკის, აუდიო, ვიდეო და ელექტრონული მატარებლების (CD) საინვენტარო

წიგნები. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ბიბლიოთეკაში დაწესებულია ,,საინფორმაციო დღე", რომელსაც ეთმობა კვირაში ერთი დღე, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. მკითხველს აქვს საშუალება მიიღოს მისთვის მნიშნელოვანი ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის ელექტრონულ ბაზებთან წვდომასთან და ელექტრონული კატალოგის გამოყენებასთან დაკავშირებით. ახალი ინფორმაცია იკვრება როგორც საინფორმაციო დაფებზე ასევე,ბიბლიოთეკის სოციალურ ქსელში (Facebook) საკუთარ გვერდზე, სადაც თავსდება ყველა მიმდინარე ინფორმაცია ბიბლიოთეკაში ახალი წიგნების, ჩატარებული დაგეგმილი შეხვედრების, კონსულტაციების და სხვა ღონისძიებების შესახებ.

დიდუბის სასწავლო ბაზაზე ასევე არსებობს პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი საბიბლიოთეკო რესურსი და სამკითხველო დარბაზი, აღჭურვილი აუცილებელი ინვენტარით.

ხუ სამსახურმა ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა (დანართი #104), რომლის მიზანი იყო სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკის შეფასება და იმ სუსტი მხარეების გამოვლენა, რომელიც რჩება პრობლემური და საჭიროებს გამოსწორებას. შედეგების ანალიზის შედეგად ბიბლიოთეკასთან მიმართებაში გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები;

უნივერსიტეტმა შეძლებისდაგვარად გაითვალისწინა ზ/ა, მათ შორის (i) სტუდენტების საბიბლიოთეკო რესურსებით დაინტერესების მიზნით შეეცადა უფრო კომფორტული გაეხადა გარემო და ინდივიდუალურად ელექტრონულ წიგნებთან და სხვა e-რესურსებთან წვდომის გაზრდის მიზნით ამჟამად ბიბლიოთეკაში ინდივიდუალური მოხმარებისთვის 18 ერთეული კომპიუტერია 34 ადგილიან სამკითხველო დარბაზში. (ii) ასევე არსებული პრაქტიკა აღწერა „ბიბლიოთეკის რესურსების განვითარებისა და განახლების მექანიზმში" (დანართი #105) და დასახა განვითარების შესაძლებლობები სამოქმედო გეგმაში (დანართი #4).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბიბლიოთეკის საინფორმაციო რესურსების ინვენტარიზაციის მასალები (დანართი #101)
2. საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი #102)
3. ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები (დანართი #105)
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები, ჩატარებული შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები (დანართი #100)
5. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ (დანართი #104)
6. ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა (დანართი #103)
7. მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინვენტარიზაციის მასალები (დანართი #89)
8. სამოქმედო გეგმა (დანართი #4)

7.3. საინფორმაციო რესურსი

უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა;

ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები;

უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურენებზე.

აღწერა და შეფასება

მაგთიკომი არის უნივერსიტეტის ინტერნეტ პროვაიდერი (დანართი #110), რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის წვდომას საინფორმაციო რესურსთან ლოკალურ და გლობალურ ინტერნეტ სივრცეში. 2017 წლის მდგომარეობით დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ბალანსზე სულ ირიცხება: პერსონალური კომპიუტერი - 111 ცალი, ლეპტოპი - 41 ცალი, პროექტორი - 29 ერთეული, პრინტერი - 23 ცალი, ტელეფონი - 29 ცალი.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი მიმდინარე რეჟიმში ახორციელებს არსებული ტექნიკის (პერსონალური კომპიუტერები, ლეპტობები, პრინტერები, პროექტორები) მონიტორინგს და შეფასებას,. იდენტიფიცირებული საჭიროებებიდან გამომდინარე ახდენს ახალი ტექნიკის შეძენას და ძველი ტექნიკის ჩანაცვლებას.

აქედან:

საკონფერენციო დარბაზში განთავსებულია ინტერენტთან წვდომით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. დარბაზი აღჭურვილია ინტერაქტიული პროექტორით და გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებებისას: პრეზენტაცია, ლექცია, სემინარი, მოხსენება, სამუშაო შეხვედრა და ა.შ.; ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტთან წვდომით უზრუნველყოფილი პერსონალური კომპიუტერებით (ასევე ლეპტოპით, პრინტერით) წვდომა სტუდენტებისთვის არის ღია და თავისუფალი.

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში განთავსებულია 61 პერსონალური კომპიუტერი, რომელთა გამოყენებით ტარდება სტუდენტების ელექტრონული ტესტირება. საგამოცდო ცენტრში არის ტელეფონი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სარგებლობაშია ინტერენტთან წვდომით უზრუნველყოფილი 25 პერსონალური კომპიუტერი, 13 ლეპტოპი, 19 პრინტერი და 26 ტელეფონი.

- დტსუ–ს PBL ოთახები აღჭურვილია 4 პერსონალური კომპიუტერით და 4 ინტერაქტიული პროექტორით,
- სამედიცინო განათლების ცენტრი აღჭურვილია ინტერნეტთან წვდომით უზრუნველყოფილი 4 პერსონალური კომპიუტერით, 5 ლეპტოპით, 2 პროექტორით (მათ შორის ერთი ინტერაქტიული პროექტორი) და 3 პრინტერით.
- სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია 22 ლეპტოპი (მათ შორის 3 ლეპტოპი დიდუბის კორპუსში), ასევე 22 პროექტორი (მათ შორის 3 პროექტორი დიდუბის კორპუსში).

დტსუ–ს დასაწყობებული აქვს: პერსონალური კომპიუტერი - 23 ერთეული; პროექტორი - 15 ერთეული; პრინტერი - 3 ერთეული და ტელეფონი -3 ერთეული (დანართი #89);

დტსუ-ში არსებობს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც: უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულად მუშაობას ახდენს შიდა საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებას და განვითარებას, ახდენს ვებ გვერდების ტექნიკურ ადმინისტრირებას და განვითარებას მომხმარებელთა მხრიდან დაზიანებაზე ან ხარვეზზე შეტყობინებისას (როგორც ელ.ფოსტის, ასევე სატელეფონო კავშირით) საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომელი ადგილზე ახდენს პრობლემური სიტუაციის, მათ შორის პრობლემური ხარვეზის, ტექნიკურ დიაგნოსტიკას და შესაბამისად უზრუნველყოფს პრობლემის აღმოფხვრას

(ადგილზე პრობლემის მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება ტექნიკური საშუალების სერვის ცენტრში ტრანსპორტირება და გამართულბის უზრუნველყოფა).
ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლები მათ შორის აღრიცხავენ და პერიოდულად ახდენენ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების აპარატული, კომპიუტერული ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგს. ახდენენ უნივერსიტეტის სივრცეში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის მიზნით შესაბამისი მაკომპლექტებელი მარაგების შექმნას. საჭიროებისამებრ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ახდენს კომპიუტერული ქსელისა და სხვა საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაციას და მონტაჟს, ასევე ახდენს პროვაიდერებისაგან მოწოდებული ინტერნეტ სერვისების გადანაწილებას, მიწოდებასა და მონიტორინგს. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი უწევს კონსულტაციებს და დახმარებას უნივერსიტეტის თანამშრომლებს. დეპარტამენტი ახდენს უნივერსიტეტის სერვერული პარკისა და ქსელის მართვის მოწყობილობების (მარშრუტიზატორები, კომუტატორები, ფაირვოლები, უსადენო წვდომის წერტილები) კონფიგურირებას და ადმინისტრირებას. ასევე, შესაძენი აპარატურის ტექნიკური მოთხოვნების დადგენას. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი პერიოდულად ახდენს უნივერსიტეტის ვებ- და ინტერნეტ პორტალებზე ინფორმაციისა და რესურსების განთავსებას და ადმინისტრირებას დტსუ მონაცემებისა და ინფორმაციის შენახვის, დაცვის, მასთან შეუფერხებელი წვდომისა და გაცვლისათვის აღჭურვილია შემდეგი ერთეულებით: 3 ფიზიკური სერვერი, 7 ვირტუალური სერვერი, ქსელის მარშრუტიზატორი და Firewall, 6 ქსელის კომუტატორი, 6 ვირტუალური ქსელი, 9 უსადენო ქსელის მოწყობილობა.
უნივერსიტეტში გამართულია შიდა ქსელი (წარმოდგენილი შემდეგი სახით: Router > Firewall> SCM Switch). საუნივერსიტეტო შიდა ლოკალური ქსელი ფარავს დაწესებულების მთელ ტერიტორიას და გულისხმობს ყველა სასწავლო აუდიტორიისა და ადმინისტრაციის ოთახების დაკაბელებას. ამასთან აღნიშნული შიდა ლოკალური ქსელი დაყოფილია 6 ვირტუალურ დამოუკიდებელ ნაწილად, რომლებიც შესაბამისად ემსახურებიან:
(1) შიდა ლოკალურ ქსელს; (2) შიდა უსადენო ქსელს (Wifi); (3) ფიზიკურ სერვერს;(4) ქსელურ მოწყობილობებს; (5) საგამოცდო პროცესში ჩართულ კომპიუტერულ მოწყობილობებს; (6) წარმოადგენს მენეჯმენტ–ვირტუალურ ქსელს, რომლის საშუალებითაც ხდება ზემოთ ჩამოთვლილი 5 ვირტუალური ქსელის მართვა.
დტსუს–ს ერთ-ერთი ფიზიკური სერვერი დაყოფილია 7 ვირტუალურ სერვერად, ხოლო მეორე ფიზიკურ სერვერზე ჩატვირთულია "ორის ბუღალტერია" ტერმინალურ რეჟიმში, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად ხუთმა თანამშრომელმა ისარგებლოს საბუღალტრო პროგრამით. ამასთან, 7 ვირტუალური სერვერიდან:
ორი ემსახურება User Management-ს და მათი პოლიტიკის გავრცელებას, მესამე ვირტუალური სერვერი ემსახურება ვებ გვერდს რომლის მისამართია: http://openlabyrinth.dtmu.ge/, მეოთხე ვირტუალური სერვერი გამოყოფილია თანამშრომლების ინფორმაციის სარეზერვოდ (Backup-ისთვის), მეხუთე ვირტუალური სერვერი განკუთვნილია ანტივირუსის სასერვეროდ, მეექვსე არეგულირებს USB,CD,DVD-მოწყობილობების მუშაობას პერსონალურ კომპიუტერებთან, რაც იცავს კომპიუტერებს დავირუსებისგან გარეშე მოწყობილობებისგან, მეშვიდე ვირტუალური

სერვერის მეშვეობით ხდება შიდა ქსელის დაკავშირება გარე ქსელთან, ეს ვირტუალური სერვერი უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან იცავს შიდა ქსელს გარედან შემოტევისაგან.

დტსუ–ში გამოყენებულია ფიზიკური Firewall, რომელიც იცავს ლოკალურ ქსელს გარედან მართლსაწინაამღდეგო ქმედებებისგან;

დტსუ–ს ინტერნეტის პროვაიდერია შპს "მაგთიკომი", რომელიც 2013 წლიდან უზრუნველჰყოფს ლოკალური ინტერნეტის მოწოდებას 100 მბ/წმ, ხოლო გლობალური ინტერნეტის 15 მბ/წმ სიჩქარით. უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია დაფარულია უსადენო ინტერნეტით, რომელიც დაყოფილია ორ ნაწილად:

- სტუდენტებისთვის;
- ადმინისტრაციისთვის და ლექტორებისთვის;

ელექტრონული სერვისები

http://lms.aieti.ge - უნივერსიტეტი სარგებლობს საკუთარი შიდა ელექტრონული ბაზებით LMS.AIETI.GE, რომელსაც შემდეგი ფუნქციები გააჩნია:

- ✓ სემესტრების მართვა
- ✓ ჯგუფების მართვა
- ✓ სტუდენტების მართვა
- ✓ შეფასებების შეყვანა (ელ.ჟურნალი)

არსებული ბაზა გამართულია და მასში ხდება სტუდენტთა დასწრებების, აქტიურობის და ზეპირი შეფასებების აღრიცხვა. ელ.ბაზას შეუძლია გამოთვალოს პრე-ქვიზური ქულა, რათა დადგინდეს მოდულის საბოლოო ქვიზზესტუდენტისდაშვების საკითხი. ქვიზის ქულის ასახვის შემდეგ ელ.ბაზაში შეფასებების შეტანა ხდება Excel-ის ფაილით, რაც ამარტივებს კოორდინატორების მუშაობას.

ელ. ბაზას აქვს შესაბამისი ანგარიშების ბეჭდვის ფუნქცია, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ბაზაში არსებული თითოეული ჯგუფის შეფასებები დაიბეჭდოს ფურცელზე და შენახულ იქნას როგორც "Hard copy"; ელექტრონული ბაზის მეშვეობით ხდება სემესტრული რეიტინგების დადგენა, რათა მოხდეს მომდევნო სემესტრის ჯგუფების ფორმირება;

http://db.dtmu.ge - სტუდენტთა პორტალი. Db.dtmu.ge-ზე სტუდენტები ეცნობიან თავიაანთ შეფასებას – დასწრება, აქტიურობა,ზეპირი გამოცდა, ქვიზის შეფასება; აგრეთვე ზემოთ ხსენებული პორტალი გამოიყენება სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ.

http://www.dtmu.ge - უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდია: www.dtmu.ge, სადაც განთავსებულია ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ. მასზე მიმდინარე რეჟიმჟი თავსდება მიმდინარე სიახლეები და განცხადებები. არსებული ვებ გვერდიდან სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გადავიდნენ საკუთარ სტუდენტურ გვერდზე, სადაც მათ საკუთარი შეფასებების ნახვა შეუძლიათ დეტალურად. (უნივერსიტეტს ასევე აქვს დომეინი: www.dtmu.edu.ge, რომელიც გადამისამართებულია dtmu.ge-ზე).

უნივერსიტეტი ასევე ფლობს აკადემიური საქმიანობისთვის (სწავლება, სწავლა, შეფასება) შემდეგ ელექტრონულ რესურსებს:

http://www.anatomy.tv - უნივერსიტეტს შეძენილი აქვს ANATOMY.TV-ს ლიცენზია. აღნიშნული ელექტრონული რესურსი მომხარებლებს აძლევს საშუალებას გაეცნოს და დეტალურად დაათვალიეროს 3D ტექნოლოგიით აწყობილი ადამიანის ანატომია. გარდა სასწავლო

გვერდებისა აღნიშნულ რესურსს ასევე აქვს საკუთარი ტესტირების ფუნქციაც. აღნიშნულ რესურსთან წვდომა თავისუფლად არის შესაძლებელი უნივერსიტეტის ტერიტორიიდან (ლიცენზიის შესყიდვისას მოხდა დტსუ–ს გარე IP მისამართის დაფიქსირება), ასევე, თუ სტუდენტს ან ლექტორს სურს რესურსთან წვდომა არა უნივერსიტეტის ტერიტორიიდან ამისათვის შესაძლებელია მომხმარებლის სახელით და პაროლით სისტემაში შესვლა.

http://moodle.dtmu.ge - უნივერსიტეტს დანერგილი აქვს Moodle პლატფორმა, სერვერზე ავტომატურად არის გააქტიურებული მუდმივი განახლების მოდული, რაც იმას ნიშნავს, რომ Moodle-ს ოფიციალური განახლებები ავტომატურად ისახება ჩვენს სერვერზე არსებულსი სტემაზე. ამ ეტაპზე გამოყენებულია Moodle 3.4.1+ ვერსიას.

დტსუ არის პროექტ „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL" მონაწილეთა კონსორციუმის წევრი, რომლის ფარგლებშიც აქვს წვდომა შემდეგ ელექტრონურ რესურსებთან და ბაზებთან:

BioOne Complete
The New England Journal of Medicine
Royal Society Journals Collection
Edward Elgar Publishing Journais and Development Studies e-books
Sage Premier
Cambridge Journals Online
e-Duke Journals Scholarly Collection
Openedition Journals (დანართი #106).

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ასევე გააჩნია ელექტრონული სახელმძვანელოების ბაზა.

დტსუ–ს ნაქირავები აქვს სერვერი უცხოურ კომპანიასთან: Dreamhost.com. არსებულ სერვერზე არის განთავსებული ყველა ის ვებგვერდი, რომელიც ირიცხება უნივერსიტეტის ბალანსზე.

ყველა თანამშრომელს აქვს კორპორატიული მეილი, რომელთა დაბოლოებაში არის ასახული @dtmu.edu.ge; არსებული მეილ სერვერიც მდებარეობს Dreamhost-ის სერვერზე. რომელთა ადმინისტრირებას ახორციელებს IT დეპარტამენტი (დანართი #108).

აგრეთვე, უნივერსიტეტი 2016 წლის სექტემბრიდან თანამშრომლობს საქართველოს სამეცნიერო–საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - „გრენა"–სთან, რომლის სერვერზე არის განთავსებული ელ.ბაზა: db.dtmu.ge(დანართი #107);

უნივერსიტეტს გააჩნია ქვიზების ჩასატარებელი პროგრამა, რომელიც 2015 წელს სპეციალური დაკვეთით მომზადებული პროგრამაა, და შემუშავდა პროგრამისტის შტატთან მჭიდრო თანამშრომლობით, რათა მაქსიმალურად მორგებოდა დტსუ საჭიროებებს (დანართი #109). არსებულ პროგრამაში ჩატვირთულია ყველა საგამოცდო მასალა. ქვიზების ოთახის შიდა ქსელი იზოლირებულია ყველა სხვა ვირტუალური ქსელისგან, დაკავშირებულია სერვერთან, რომელთან წვდომაც მხოლოდ სასწავლო დეპარტამენტის 2 პასუხისმგებელ პირს აქვს. სტუდენტის მიერ მიღებული გამოცდის ანუ ქვიზის მონაცემი ინახება ზემოთ ხსენებულ სერვერზე და მონაცემების დამუშავება ხდება სასწავლო დეპარტამენტის მიერ. დათვლილი მონაცემები ასახვა ხდება lms.aieti.ge-ს ბაზაში.

უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ცხრილების შესადგენი პროგრამა "asc timetables", რომელიც იძლევა საშუალებას ინახოს საერთო დატვირთულობა ჯგუფების, აუდიტორიების, ლექტორების

მიხედვით.

პერსონალური ინფორმაციის შენახვა და მისი უსაფრთხოება

დტსუ-ში სტუდენტების შესახებ ინფორმაცია ინახება ელ.პლატფორმაზე lms.aieti.ge. მოცემულ ელ.ბაზაში არსებობს 3 ტიპის როლი:

- ადმინისტრატორი;
- კოორდინატორი;
- სტუდენტი;

თითოეული როლი დაცულია პერსონალური მომხმარებლის სახელით და პაროლით, პაროლი დაშიფრულია "md5" შიფრაციით. ავტორიზაციის გავლის შემდეგ „ილოგება" მონაცემები, თუ რომელმა მომხმარებელმა, რომელ საათზე გაიარა ავტორიზაცია, რა ოპერაციული სისტემით, რომელი „ბრაუზერით", რა IP მისამართით. ადმინისტრატორს და კოორდინატორს შეუძლია სრულად გააკონტროლოს სტუდენტების აღრიცხვა და აგრეთვე შეიტანოს ნიშნები ელ.ბაზაში.

სტუდენტი პირად გვერდზე ხედავს მხოლოდ თავის ნიშნებს დეტალურად, რომელ მოდულში, რა საგანზე, რა შეფასება აქვს. Lms.aieti.ge განთავსებულია dreamhost.com-ის სერვერზე, რომელიც მდებარეობს აშშ-ში. დტსუ dreamhost-თან თანამშრომლობს 2008 წლიდან. უნივერსიტეტს აქვს მისი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ანხორციელებს მათ მართვას; ასევე აქვს ხედვა ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების შესახებ (დანართი #111).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (დანართი #111)
2. ხელშეკრულება ინტერნეტ-პროვაიდერთან (დანართი #110)
3. ინფორმაცია ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების შესახებ (დანართი #106)
4. ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები (დანართი #111)
5. დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი #107, #108)
6. მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინვენტარიზაციის მასალები (დანართი #89)
7. მომსახურების ხელშეკრულება საგამოცდო პროგრამის მომზადების შესახებ (დანართი #109)

7.4. ფინანსური რესურსი

უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია;
უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას;
უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე;
უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება;
უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

აღწერა და შეფასება

დტსუ ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების მაღალი ჩართულობით შექმნილ ფინანსურ დოკუმენტს. დაწესებულების ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის

დაფინანსების წყაროებია:

1. საგანმანათლებო პროგრამების სწავლის საფასური;
2. ეროვნული და საერთაშორისო ფონდების გრანტები;
3. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სხვა ნებადართული შემოსავალი;
4. სხვა საწარმოებში წილობრივი მონაწილეობიდან მიღებული დივიდენდები.

უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დიპლომირებული მედიკოსის, დიპლომირებული მედიკოსის ე-პდს, სადოქტორო და სარეზიდენტო საგანმანათლებო პროგრამების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლები, რომლის მოცულობა 2012 წლიდან 2018 წლამდე ყოველწლიურად მზარდია:



ყოველწლიურად მზარდია აგრეთვე დტსუ-ს ბიუჯეტის დაფინანსების სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების მოცულობაც, რომელიც თავის მხრივ შედგება ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლებიდან, სხვადასხვა საკომისიო-ადმინისტრაციული შემოსავლებისაგან, სხვა საწარმოებში წილობრივი მონაწილეობით მიღებული დივიდენდებისაგან და სხვა ტიპის საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან (დანართი #113).



დტსუ-ს ფუნქციონირების მთელ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ მიუღია. უნივერსიტეტის ბიუჯეტის გეგმის შემოსავლების ნაწილში სრულად არის გათვალისწინებული ყველა სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შესაძლებელია უნივერსიტეტმა მიიღოს წლის განმავლობაში. დაგეგმვის პროცესში სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საბიუჯეტო (კალენდარული) წელი არ ემთხვევა სასწავლო წელს (პერიოდს), შესაბამისად, სტუდენტთა სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავლების დაგეგმვა ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლისათვის პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების გათვალისწინებით. როგორც არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, პროგრამებზე გამოყოფილი ადგილებისა და მიღებული სტუდენტების რაოდენობა ძირითადად საკმარისია ფინანსურად პროგრამის უზრუნველყოფისათვის და დანარჩენი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, უნივერსიტეტს აძლევს საშუალებას განახორციელოს რეინვესტირება როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის ამაღლებისათვის, ასევე სხვა მიზნებითაც, რაც ქმნის ფინანსური უზრუნველყოფის უფრო მყარ და გრძელვადიან გარანტიებს მომავალში. გარდა აღნიშნულისა, გრძელვადიანი ინვესტიციების განსახორციელებლად უნივერსიტეტი იყენებს ბანკიდან მოზიდულ ფინანსურ საშუალებებს, რომლითაც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სათაო შენობასთან დამატებითი ფართის შეძენა და თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად სარემონტო სამუშაოების ჩატარება საერთო თანხით 182240 ლარი და ქ. რუსთავში ახალი შენობის მშენებლობა თანხით 2759664 ლარი.

ბოლო წლების შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების არსებობა რისკების მართვისა და ფინანსების ეფექტიანად განაწილების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ის გარემოება, რომ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ბიუჯეტი ექვსჯერ და მეტად გაიზარდა. ბუნებრივია, ეს არ არის ფინანსური რესურსების მაქსიმუმი, რომლის მიღწევაც არის შესაძლებელი. უნივერსიტეტი განაგრძობს მუშაობას დაფინანსების დივერსიფირებული წყაროების მოძებნის მიმართულებით როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ადამიანური თუ მატერიალური რესურსები ბიუჯეტის უფრო მეტად გაზრდის მიზნით.

უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, მზარდი და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზების შემდგომ გათვალისწინებული იქნა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ეკონომიკური კლასიფიკატორის მუხლების მოთხოვნის შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შედგენილი 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი საბოლოო ჯამში ემსახურება უნივერსირეტის მისიის შესრულების ხელშეწყობას (დანართი #112, #113, #114).

დტსუ-ის ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვის პარალელურად ხორციელდება ხარჯების დაგეგმვა. ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნას ყველა იმ აუცილებელი ხარჯის დაფინანსება, რომელიც ევალება უნივერსიტეტს, როგორც სამეწარმეო სუბიექტს, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. ასეთ ხარჯებს განეკუთვნება სახელმწიფო გადასახადები და მოსაკრებლები, საშტატო განრიგითა და ხელშეკრულებებით აღებული სახელფასო ვალდებულებების შესრულება, სტიპენდიების გაცემა, ფასეულობებისა და მომსახურებების მომწოდებლებთან ანგარიშსწორება, საწევრო გადასახდელების გადახდა, სტუდენტთა მობილობის, კვლევების ხელშეწყობის დაფინანსება და ა.შ.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულია როგორი გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნული გეგმების ეფექტური განხორციელების მიზნით.

ადმინისტრაციული ხარჯების წილი საერთო ბიუჯეტში შეადგენს 6 – 15%. მასში გათვალისწინებულია როგორც სახელფასო, ასევე მატერიალური და სხვა დანახარჯები. წლების მიხედვით დინამიკაში იკვეთება კლების ტენდენცია.

უნივერსიტეტი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია, რაც განაპირობებს სწავლების პროცესის, კვლევების, სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის, აგრეთვე სპორტული ღონისძიებების, ინფრასტრუქტურის მდგრად განვითარებას. როგორც მიმდინარე პერიოდში, ასევე მომავალში. მმართველმა ჯგუფმა იმსჯელა და დაამტკიცა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის 2018 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტები:

1	**საგანმანათლებო და საინფორმაციო რესურსების განვითარება** (სწავლების, სწავლისა და კვლევითი პროცესების ხელშეწყობისათვის).
2	**თანამშრომლობის გაღრმავება წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან** (გაცვლითი სტუდენტური პროგრამები, მივლინებები, სტუდენტური კონფერენციები, ინტერნაცონალიზაცია და ა.შ.)
3	**სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა** (სამეცნიერო მივლინებები და კონფერენციები, კვლევათა დაფინანსება, ინტერნაციონალიზაცია)
4	**ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება** (არსებული მშენებლობის დასრულება, შენობა ნაგებობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი)

5	**სასწავლო გარემოს გაუმჯობესება და განვითარება**
6	**თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება** (სხვადასხვა ტრეინინგ კურსების ორგანიზება, მ.შ. უცხო ენის სწავლება)
7	**სხვადასხვა ინიციატივების მხარდაჭერა** (სახელობითი სტიპენდიების დაფინანსება, თანამშრომელთა წახალისება, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და ა.შ.)

აღნიშნული პრიორიტეტები ყოველწლიურად იქნება განახლებადი შესაბამისი პერიოდების საჭიროებებიდან გამომდინარე.

ხარჯების მოცულობა, ისევე როგორც შემოსავლები, წლების დინამიკაში იზრდება ბიუჯეტის შესაბამისად. უნივერსიტეტის ფუნქციონირების პერიოდში ყოველწლიური ბიუჯეტი ძირითადად პრეფიციტულია და ყველა ხარჯის დაფინანსება ხდება დროულად, ასევე ხდება დამფუძნებელ პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინება (დანართი #115). უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯების დინამიკა 2012 – 2017 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება:



გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო და არასაექსპლუატაციო ხარჯებისა, უნივერსიტეტის მიერ ხდება გრძელვადიანი აქტივების დასაკუთრება და შესაბამისად დაფინანსება, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში შეძენილი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ღირებულებამ შეადგინა 3075104 ლარი, აგრეთვე ფინანსური საშუალებები გახარჯულია ახალი მშენებლობისათვის და არსებული შენობის რეკონსტრუქციაზე 2941904 ლარი, დაფინანსებულია დაფუძნებულ საწარმოში ინვესტიცია 423858 ლარი, შევსებულია ბიბლიოთეკის ფონდი 59063 ლარით. გრძელვადიან აქტივებში საანგარიშო პერიოდში სულ გახარჯულია 6076071 ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის, რომ უნივერსიტეტს გააჩნდეს ძირითადი საქმიანობისათვის მყარი და სტაბილური მატერიალური და ფინანსური ბაზა, როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ პერიოდებში.

უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისათვის და მუდმივად

განხორციელებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის თანაბრად. ამ მიმართულებით გაწეული ხარჯი ბოლო ექვსი წლის განმავლობაში დაახლოებით შეადგენს ბიუჯეტის 3 – 6%, ხოლო შრომის ანაზღაურებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა დაახლოებით მეხუთედს (დანართი #112, #113, #114).

სისტემა ფინანსური მართვისა და კონტროლის მიმართულებით ახალი შემუშავებულია და ამ ეტაპზე ხდება მისი პრაქტიკაში დანერგვა და გამოცდა. სამომავლოდ განსაზღვრულია ფაქტობრივად განხორციელებული ფინანსური მართვის კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტის შექმნა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება.

უნივერსიტეტში მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმი შემუშავებულია დაწესებულების წესდებით. კერძოდ შპს-ს მენეჯერული მმართველობის უფლება გააჩნია მხოლოდ პრეზიდენტს. ამასთან უნივერსიტეტის საქმინობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პრზიდენტის მიერ რექტორის დანიშვნით ხორციელდება მმართველობითი უფლებამოსილების დელეგირება. პრეზიდენტი მმართველი ჯგუფის მეშვეობით ჩართულია ბიუჯეტირებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში. დაწესებულება ეკონომიკურ და სააღრიცხვო პოლიტკას განსზაღვრავს და ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტის დებულების შესაბამისად აღიარებული ეკონომიკური და სააღირცხვო პოლიტიკის შესაბამისად. რექტორის მიერ (სტრატეგიული განვითარებისა და მართვის დეპარტამენტის, ფაკულტეტის ჩართულობითა და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით) დამტკიცეული ბიუჯეტის ფარგლებში დაწესებულების შიდა თუ სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშგება-აღრიცხვაზე პასუხისმგებელია ფინანსური დეპარტამენტი და მისი წარმომადგენლები.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი, რაც უნივერსიტეტში ინერგება უნივერსიტეტის წესდების, საქმიანობის სხვა წესების, რეგულაციების და დტსუ-ში ადამიანური რესურსების მართვის კონცეპტუალური დოკუმენტების შესაბამისად (დანართი #116).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უსდ-ის ბიუჯეტი: 2018 (დანართი #112)
2. უსდ-ის ბიუჯეტი: 2017 (დანართი #114)
3. დაფინანსება და მათი წყაროები2012–2017 წლებისთვის (დანართი #113)
4. ფინანსური ანგარიში (დანართი #115)
5. დტსუ-ში ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემა (დანართი #116)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

1. უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საკითხის (მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების) მნიშვნელობის გაცნობიერება და მასზე ზრუნვა

2. უნივერსიტეტის მხრიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაწეული ხარჯები
3. უნივერსიტეტის მხარდაჭერა და კო-ფინანსირება საერთაშორისო პროექტებში
4. უნივერსიტეტის მხარდაჭერა და შტატის სტიმულირება ახალი, განვითრებაზე ორიენტირებული პროექტების შექმნაში
5. უსდ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია
6. უნივერსიტეტის მხრიდან, საინფორმაციო და სხვა აქტივობებით, უცხოელი აბიტურიენტების მოზიდვა და მათ პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა
7. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციიც კონსორციუმის წევრობა, ერთობლივ ტრენინგებში, სწავლებასა და ვორქშოპებში მონაწილეობის შესაძლებლობა
8. უნივერსიტეტის მიერ საბიბლიოთეკო გარემოს გაუმჯობესებისთვის ჩატარებული სამუშაო; აგრეთვე წიგნადი და სხვა სასწავლო რესურსის შევსებაზე ზრუნვა
9. საბიბლიოთეკო ფონდის განახლებადობა და მრავალფეროვანი, საინტერესო სტუდენტებისთვის
10. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დოკუმენტის შემუშავება

გასაუმჯობესებელი მხარეები

1. მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა
2. უნივერსიტეტის საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის მუდმივ განახლება, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა
3. საბიბლიოთეკო ასოციაციის კონსორციუმის რესურსის მაქსიმალური გამოყენება: პროაქტიული პოზიცია და ერთობლივი ღონისძებების ორგანიზებაში ჩართულობა
4. ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის შესავსებად პროგრესული (შემოსავლების შესაბამისი) ბიუჯეტის დადგენა და ათვისება
5. ბიბლიოთეკის ადგილის და როლის გაზრდა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში: ბიბლიოთეკის დღეების დაწესება; საბიბლიოთეკო სივრცეში ჯგუფური მუშაობის, სხვა საინტერესო ღონისძებების (წიგნის, სხვა ანალოგიურის განხილვა, პრეზენტაცია, მცირე სამეცნიერო სიმპოზიუმები/სემინარები) მოწყობა სტუდენტებისა და პედაგოგების ერთობლივი მონაწილეობით
6. ბიბლიოთეკის e-ბაზასთან წვდომის შესაძლებლობა ნებისმიერი ადგილიდან
7. გრანტების მომზადებასა და განხორციელებაზე მეტი ფოკუსირება გრძელვადიან- და მოკლე- ვადიანი ფინანსური სტრატეგიების დაფუძნება უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის (აკადემიური და კვლევითი) ხარისხზე
8. სწორად განსაზღვრული სტრატეგიების ეფექტურად განხორციელების (ფინანსური რესურსების სწორი განაწილება, აკადემიური და ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების განსაზღვრა და მუდმივი რევიზირება) შესაძლებლობათა ზრდა.

ნაწილი III: წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი

ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს თვითშეფასების ფორმა ჩანაწერის, გრაფიკული ჩანართების და/ან ფორმაზე თანდართული დოკუმენტაციის სახით[10]	დანართი
უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება დაკავშირებული დანართები	
☒ უსდ-ის მისია	**დანართი 1** **დანართი 2** **დანართი 3**
☒ სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი)	**დანართი 1** **დანართი 4**
☒ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	**დანართი 6**
☐ საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები	**დანართი 9**
☒ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები	**დანართი 7** **დანართი 8**
☒ უსდ-ს საქმიანობს წლიური ანგარიშები (სამოქმედო გეგმის შესაბამისად)	**დანართი 5.1** **დანართი 5.2**
უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
☒ უსდ-ის სტრუქტურა	**დანართი 3** **დანართი 10**
☒ უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები	**დანართი 11** **დანართი 12** **დანართი 41** **დანართი 49** **დანართი 50**
☒ მართვის ორგანოებში არჩევის/ დანიშვნის წესი და პროცედურები	**დანართი 13**

[10]შენიშვნა: თვითშეფასების შევსებულ ფორმასთან ერთად სავალდებულოა ☒ - ნიშნით მონიშნული დოკუმენტების ინგლისურ ენაზე არსებობა

☐ უსდ-ის საქმისწარმოების წესი	**დანართი 14**
☒ ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა	**დანართი 15**
☒ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა	**დანართი 16**
☒ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	**დანართი 17**
☐ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი	**დანართი 17** **დანართი 18**
☐ უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის მექანიზმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	-
☐ პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით	**დანართი 18**
☒ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტიანობის შეფასება	**დანართი 19**
☒ გამოკითხვების (მაგ. სტუდენტთა, პერსონალის და ა.შ) შედეგების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშები	**დანართი 20** **დანართი 21** **დანართი 22**
☒ ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში	**დანართი 23**
☒ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები	**დანართი 24** **დანართი 56**
☐ ეთიკისა და ქცევის წესები და მათ დარღვევებზე რეაგირების პროცედურები	**დანართი 27**
☐ პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები	**დანართი 25** **დანართი 26** **დანართი 39**
☐ უსდ-ის შინაგანაწესი	**დანართი 28**
საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული დანართები	
☒ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია	**დანართი 29**
☒ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები[11]	**დანართი 31**
☐ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი	**დანართი 32** **დანართი 33**
☐ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით, და შედეგების გამოყენების ანგარიში	**დანართი 35 (1,2,3,4)**
☐ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ (მათ, შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით	**დანართი 34**
☐ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები	**დანართი 22** **დანართი 44** **დანართი 117**
☐ პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები	**დანართი 30**
☐ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**დანართი 38**

[11]სავალდებულოა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების მოკლე აღწერის, სტრუქტურის, მიზნებისა, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის ინგლისურ ენაზე არსებობა

☒ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი	**დანართი 36** **დანართი 37** **დანართი 39**
☐ აკადემიური კალენდარი	**დანართი 39**
☐ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია	**დანართი 40**
უსდ-ის პერსონალის მართვა	
☒ პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისი რეგულაციები (მათ შორის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების, შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები)	**დანართი 43**
☒ პერსონალის პირადი საქმეები;[12]	**დანართი 54**
☐ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის	**დანართი 52** **დანართი 53**
☐ აკადემიური პერსონალის საკონკურსო დოკუმენტაცია (კონკურსის გამოცხადების, არჩევის ან/ და დანიშვნის ბრძანებები	**დანართი 45** **დანართი 51**
☒ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში	**დანართი 42** **დანართი 48**
☐ სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები	**დანართი 55**
☐პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები	**დანართი 47**
☒აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა (სემესტრული დატვირთვის სქემები) და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც);	**დანართი 56** **დანართი 57**
☒აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;	**დანართი 46**
☐პროგრამების მიხედვით, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	**დანართი 57**
სტუდენტები და მათი მხარდაჭერის მექანიზმები	
☒ უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები	**დანართი 61**
☐ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი	**დანართი 27** **დანართი 62** **დანართი 63** **დანართი 64** **დანართი 58** **დანართი 59**
☐ კარიერული მხარდაჭერის სერვისები	**დანართი 66** **დანართი 67** **დანართი 68** **დანართი 69**
☒ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ (მათ, შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით	**დანართი 34**
☐განხორციელებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივები/პროექტები	**დანართი 65**
☐ სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები და შედეგები	**დანართი 39** **დანართი 60**

[12]წარმოდგენილი უნდა იქნას პერსონალის განახლებული CV და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო სავალდებულა მხოლოდ პერსონალის CV-ების ინგლისურ ენაზე არსებობა

	დანართი 62 **დანართი 96**
კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	
☒ინფორმაცია უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემრსულებლო საქმიანობის შესახებ	**დანართი 71**
☐ თანამშრომლობის მემორანდუმ(ებ)ი ეკონომიკურ აგენტებთან და მათთან თანამშრომლობით დაგეგმილი, მიმდინარე და განხორციელებული კვლევითიპროექტები	**დანართი 88**
☒უნივერსიტეტის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია	**დანართი 72**
☐მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის პროექტების მოკლე აღწერები (დეპარტამენტების/ფაკულტეტების მიხედვით)	**დანართი 73**
☐სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის შესახებ და შედეგების გამოყენების ანგარიში	**დანართი 74**
☐ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო და ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი ფაკულტეტების მიხედვით	**დანართი 84**
☒უნივერსიტეტის შემთხვევაში, ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო ნაშრომების აბსტრაქტები, სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები	**დანართი 80**
☒ სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი	**დანართი 76**
☐ კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები	**დანართი 79**
☐ კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები	**დანართი 77**
☐უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია	**დანართი 78**
☐ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები მათი კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში ჩართვისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ	**დანართი 82**
☐ერთობლივი კვლევითი/სახელოვნებო/შემოქმედებითი აქტივობები და თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან	**დანართი 83**
☒ კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები	**დანართი 86**
☒ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა	**დანართი 85**
☒ განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში ფაკულტეტების/დეპარტამენტების მიხედვით (აკადემიური პერსონალის აფილირების გათვალისწინებით)	**დანართი 81**
მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსები	
☐ უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	**დანართი 87** **დანართი 93** **დანართი 90**
☐ მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ ინვენტარიზაციის მასალები	**დანართი 89**
☐ პრაქტიკის/კვლევით-სამეცნიერო ობიექტთან დადებული ხელშეკრულება	**დანართი 88**

☒სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში	**დანართი 99**
☐გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი	**დანართი 92**
☐ სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი	**დანართი 91**
☐ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები	**დანართი 70** **დანართი 94** **დანართი 97**
☐შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი	**დანართი 98**
☐სახანძრო უსაფრთხოების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი	**დანართი 95**
☐წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია/ინვენტარიზაციის მასალები	**დანართი 101**
☐საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	**დანართი 102**
☐ ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა	**დანართი 103**
☒ ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები	**დანართი 105**
☐ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები, ჩატარებული შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები	**დანართი 100**
☒სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ;	**დანართი 104**
☒ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა	**დანართი 111**
☐ ხელშეკრულება ინტერნეტ-პროვაიდერთან	**დანართი 110**
☐ ინფორმაცია ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების შესახებ	**დანართი 106**
☐ ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები;	**დანართი 111**
☐ დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი	**დანართი 107** **დანართი 108** **დანართი 109**
☐ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ	**დანართი 112** **დანართი 113** **დანართი 114**
☒ უსდ-ის ბიუჯეტი	**დანართი 112**
☒დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა	**დანართი 113**
მიმდინარე ან/და წინასაანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშები	**დანართი 115**
☐პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებებისა და ანგარიშვალდებულების წესი და ფორმა;	**დანართი 116**
☐ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი	**დანართი 116**

დანართი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციისკოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი[13]	პროგრამის განხორციელების ადგილი	*სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
ფაკულტეტის დასახელება: უმაღლესი სამედიცინო სკოლა "აიეტის" მედიცინის ფაკულტეტი										
1	**დიპლომირებული მედიკოსის**	**ქართული** (პროგრამის სწავლების და შეფასების ნაწილში გამოიყენება ინგლისურენოვანი კომპონენტები)	**დიპლომირებული მედიკოსი 90101**	**360 კრედიტი**	**აკრედიტირებული**	**25.11.2011. №341**	**ქ. თბილისი**	**0**	**86%**	**88%**
2	**დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს)**	**ქართული** (პროგრამის სწავლების და შეფასების ნაწილში გამოიყენება ინგლისურენოვანი კომპონენტები)	**დიპლომირებული მედიკოსი 90101**	**376 კრედიტი**	**აკრედიტირებული**	**01.07.2014 №143**	**ქ. თბილისი**	**0**	**0**	**0**
3	**ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში**	**ქართული**	**მედიცინის ან ბიოლოგიის დოქტორი**	**180 კრედიტი**	**აკრედიტირებული**	**25.11.2011. №342**	**ქ. თბილისი**	**100%**	**100%**	**100%**

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი										
#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პროგრამის განხორციელების ადგილი	*სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2										

[13] იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაცია მინიჭებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა სხვა აკრედიტაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციის მიერ, მიუთითეთ მისი დასახელება

***შენიშვნა:** უსდ-ს შეუძლია დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების ნაცვლად წარმოადგინოს მიმართულებების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, სქოლიოში უნდა გაკეთდეს შესაბამისი მითითება

****შენიშვნა:** მონაცემების ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების ჭრილში წარმოსადგენად საჭიროებისამებრ გააკეთეთ ცხრილების კოპირება

დანართი 2. მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების და პროგრამების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით

ფაკულტეტის დასახელება: უმაღლესი სამედიცინო სკლო "აიეტის" მედიცინის ფაკულტეტი						
	პროგრამების დასახელება	საფეხური	სტუდენტების რაოდენობა		უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
			აქტიური	შეჩერებული		
1	**დიპლომირებული მედიკოსის**	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	769	99	452	42
2	**დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს)**		84	6	50	0
ფაკულტეტის დასახელება: უმაღლესის სამედიცინო სკოლა „აიეტი"-ს მედიცინის ფაკულტეტი						
1	**ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში**	დოქტორანტურა	31	29	0	5
2						

დანართი 3. მონაცემები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით:

ფაკულტეტის დასახელება: უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“-ს მედიცინის ფაკულტეტი	
პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული)	189
სულ აკადემიური პერსონალი	68
პროფესორი	17
ასოცირებული პროფესორი	39
ასისტენტ პროფესორი	12
ასისტენტი	0
სამეცნიერო პერსონალი	0
მეცნიერი	0
პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	64
აფილირებული პროფესორი	17
აფილირებული ასოცირებული პროფესორი	36
აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**11**
აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	5
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	116

დანართი 4. სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით

ფაკულტეტის დასახელება:	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი[14]
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	0.56	1.38	2021 წელი
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	0.2	0.17	2021 წელი
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	63	57,3	2021 წელი
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	0.34	0.56	2021 წელი
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	0.07	0.082	2021 წელი
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	0.97	1.33	2021 წელი
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	0.92	1	2021 წელი
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	86%	90%	2021 წელი
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	5	5	2021 წელი
(უსდ-ს მიერ დადგენილი სხვა სამიზნე ნიშნულები			

[14]სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს

დანართი 5. დაწესებულების ფართი მისამართების მიხედვით

დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით	
ფაქტობრივიმისამართი (1)	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. 13/ ჭიაურელის 6
მიწის (უძრავიქონების) საკადასტროკოდი	01.13.02.009.013.23.501; 01.13.02.009.013.01.02.505; 01.13.02.009.013.01.02.512; 01.13.02.009.013.01.02.507.
ფართობი კვ.მ-ში	1600.53 კვ.მ
ფაქტობრივიმისამართი (2)	ქ. თბილისი. აკ.წერეთლის გამზ. 117.
მიწის (უძრავიქონების) საკადასტროკოდი	01.13.06.001.010
ფართობი კვ.მ-ში	448.07
დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით	
ფაქტობრივიმისამართი (1)	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. 13/ ჭიაურელის 6
მიწის (უძრავიქონების) საკადასტროკოდი	01.13.02.009.013.23.501; 01.13.02.009.013.01.02.505; 01.13.02.009.013.01.02.512; 01.13.02.009.013.01.02.507.
ფართობი კვ.მ-ში	830.76 კვ.მ
ფაქტობრივიმისამართი (2)	ქ. თბილისი. აკ.წერეთლის გამზ. 117
მიწის (უძრავიქონების) საკადასტროკოდი	01.13.06.001.010
ფართობი კვ.მ-ში	203.65კვ.მ